N 3 2023

მასწავლებელი

საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების საქართველო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესში“



მასწავლებელი

№3(94), 2023

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მაია ჯალიაშვილი, მაია ფირჩხაძე,
თინათინ ზარდიაშვილი,
ანა ღვინიანიძე, თამთა კობახიძე,
ლევან ალფაიძე, ცირა ბარბაქაძე,
ქეთევან კობალაძე,
ლელა კოტორაშვილი,
თემურ სუყაშვილი,
ქეთევან ოსიაშვილი,
მარიამ ჯამდელიანი,
ნინო ლომიძე,
ქრისტინე სურგულაძე,
ქეთევან კუპატაძე,
ირმა ტაველიძე,
ნასტასია არაბული,
დიანა ანფიმიადი,
ირმა კახურაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.

ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 8-374

www.tpdc.ge

ნატო ინგოროყვა

ჩვენი ჟურნალის გარეკანზე შეამჩნევდით მასწავლებელს, რომლის ფიქრი ასე იკითხება: „რას ვეუბნებით ბავშვებს ისეთს, რაც წლების შემდეგაც ემახსოვრებათ?“

ჩვენს პროფესიაში ეს მართლაც საფიქრალი ამბავია. მეტიც, მასწავლებლის დანიშნულებაცაა.

გადავწყვიტე, რედაქტორის წერილში ამჯერად სხვისი წერილი გამეხსენებინა, უფრო სწორად, რამდენიმე ამონარიდი ამ წერილიდან.

აბრაამ ლინკოლნი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი იყო ქვეყნისთვის ძალიან რთულ დროს. ის იყო პირველი პრეზიდენტი, რომელიც მოკლეს. მასზე საუბარი დიდხანს შეიძლება, მაგრამ, მოდი, დავუბრუნდეთ წერილს, რომელიც მან შვილის მასწავლებელს მისწერა:

„...მესმის, მან აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ ყველა ადამიანი გულწრფელი და სამართლიანი არ არის, მაგრამ გთხოვთ, ისიც ასწავლოთ, რომ ყოველ გარეწარზე თითო გმირი მოდის, ხოლო ყოველ ეგოისტ პოლიტიკოსზე – თითო თავდადებული ლიდერი.

ასწავლეთ, რომ სადაც მტერია, იქ მეგობარიც გამოჩნდება. ვიცი, ამას დრო დასჭირდება, მაგრამ თუ შეძლებთ, იქნებ ასწავლოთ, რომ ერთი ნაშოვნი დოლარი სჯობია ხუთ ნაპოვნს. ასწავლეთ წაგების მიღება და გამარჯვებით ტკბობა.

თუ შეძლებთ, მოაშორეთ შური, ასწავლეთ ხმადაბალი სიცილის საიდუმლო. მიეცით საშუალება, თავიდანვე შეიგნოს, რომ ტრაბახა და თავკერძა ყველაზე იოლი დასამარცხებელია და თუ შეძლებთ, დააინტერესეთ წიგნებით...

მიეცით თავისუფალი დრო, რომ იფიქროს ცაში მონავარდე ჩიტებზე, მზის სხივებში გახვეულ ფუტკრებზე და ყვავილებზე, რომლებიც კლდეებზეც კი ხარობენ.

ასწავლეთ, რომ დამარცხება გაცილებით საპატიოა, ვიდრე თაღლითობა. ასწავლეთ, სჯროდეს საკუთარი აზრებისა და იდეების მაშინაც კი, როცა ეუბნებიან, რომ ცდება... ასწავლეთ, იყოს რბილ ადამიანებთან რბილი და ხისტებთან – ხისტი.

ეცადეთ, შეასმინოთ ჩემს ვაჟს, რომ არ აჰყვეს ბრბოს ფეხის ხმას... ასწავლეთ, მოუსმინოს ყველას, თუმცა ასწავლეთ ისიც, რომ ყველაფერი, რასაც მოისმენს, შეაფასოს ჭეშმარიტების კუთხით და დაიტოვოს გაგონილიდან მხოლოდ საუკეთესო.

თუ შეძლებთ, ასწავლეთ, იცინოს მაშინ, როცა დარდიანია... ასწავლეთ, რომ ცრემლებში არაფერია სამარცხვინო. ასწავლეთ, დასცინოს ცინიკოსებს და ერიდოს ზედმეტად უგემოვნოებს...

ეს ადვილი საქმე არ არის, ვიცი, მაგრამ სცადეთ... ჩემი ვაჟი ხომ ისეთი კარგია!“

წერილი 1855 წელს დაიწერა, მაგრამ, როგორც ჩანს, არსებობს მარადიული ღირებულებები და აღზრდასთან დაკავშირებული მარადიული დილემები, რომელთა გადაჭრას ჩვენ, მასწავლებლებს გვანდობენ.

გამოცდილება

მაია ფირჩხაძე

8 | როგორ დავეხმაროთ მოსწავლეს კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირების უნარების გამომუშავებაში

არგუმენტირების უნარის გამოსამუშავებლად დროა საჭირო. სასურველია, მასწავლებელმა მას სისტემატური ხასიათი მისცეს, დაიწყოს მარტივი ტექსტებითა და მარტივი არგუმენტებით და თანდათან მიაღწიოს სასურველ ფორმატს. მთავარია, რომ ამ გზით მოსწავლეს გამოუმუშავდება კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირების უნარები, რაც მნიშვნელოვანი პირობაა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად.

თინათინ ზარდიაშვილი

12 | როგორ ზრდის ლიტერატურა მეცნიერების მიმართ ინტერესს

დაწყებით კლასებში მათემატიკასა და მეცნიერებასთან ლიტერატურის დაკავშირება შესაძლებელია შემდეგი გზებით: მკითხველთა თეატრი; ლიტერატურა ბუნებისა და მათემატიკის გაკვეთილზე; ხმამაღალი კითხვა და ამბების თხრობა.

მარიამ ჯამდელიანი

42 | აქტივობები წიგნიდან „სიყვარულით, ელლი“

მხატვრულ ლიტერატურაში ახალი ავტორების აღმოჩენა სარკმლების გაღებას ჰგავს – რაც უფრო მეტ სარკმელს ვაღებთ, მით მეტ სინათლეს ვუშვებთ მოსწავლეების სამყაროში.

ნინო ლომიძე

46 | მხატვრული ტექსტი – ემოციური ინტელექტის განმავითარებელი ინსტრუმენტი

ემოციური ინტელექტის განვითარებაზე ზრუნვა, სწავლა-სწავლების პროცესის იქით მიმართვა, რომ დავეხმაროთ ახალგაზრდებს, ამოიცნონ საკუთარი და სხვისი ემოციები და საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედონ, მრავალი სოციალური პრობლემის გადაჭრის ბუნებრივი გზაა.

ქეთევან კუპატაძე

53 | ლალაჰანეს გოგონები

უკან მთელმა კლასმა გამოგვაცილა. გოგონები დამპირდნენ, რომ ქიმიკოსები გამოვლენ. ფიქრობთ, დავიჯერე? არა, რა თქმა უნდა, ამას შთაბეჭდილების ქვეშ მყოფები დამპირდნენ. თუმცა, ის ზუსტად ვიცი, რომ ქიმია ოდნავ სხვა თვალით დავანახე.

განათლების ფსიქოლოგია

ანა ღვინიანიძე

14 | „ჩვეულებრივად“ ყოფნის შეუძლებლობის შესახებ – ხისტი წესების შიგთავსი

წესები წარმოადგენს როგორც საკუთარ თავთან, ასევე ირგვლივ მყოფებთან ურთიერთობის მოწესრიგების საშუალებას. თუ მე შემიძლია, ვიცხოვრო წესში ასახული წესრიგისამებრ, მაშინ საკუთარი თავისა თუ სხვების მიმართ ჩემი დამოკიდებულებაც ასე თუ ისე გაწონასწორებულია.

ქეთევან კობალაძე

31 | „რთული ბავშვები“ – განსხვავებული შეხედულებები

როდესაც ხართ მშობელი, რომელსაც საკუთარი ქცევის მართებული საზღვრები აქვს დაწესებული, შვილებსაც სწორი ქცევითი საზღვრებით აღზრდით. ოღონდ საჭიროა რეალობის მიღება და საკუთარ თავზე მუშაობა, რათა დაინახოთ და შემდეგ აღმოფხვრათ ის ხარვეზები, რომლებსაც თქვენსავე ქცევით საზღვრებში აღმოაჩენთ.

ლელა კოტორაშვილი

34 | დღის ჩანაწერი წერის სწავლებისთვის

დღის ჩანაწერი წერის სწავლების ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდად იქცა და ბავშვები უფრო ვრცელი წერილობითი ტექსტების წერისკენ სიხარულით მიჰყავს.

თემურ სუყაშვილი

37 | რესურსები არაძალადობრივ ქმედებებსა და მშვიდობის სწავლებაზე

სასკოლო განათლების ერთ-ერთი მიზანია, აღზარდოს მოქალაქე, რომელსაც შეუძლია საკუთარი და სხვათა უფლებების დაცვა ყველა კანონიერი საშუალებით. ამდენად, არაძალადობრივი საპროტესტო ქმედებების შესახებ ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით – საქართველოში, რომელიც ჯერ კიდევ დემოკრატიზაციის პროცესშია და სადაც მყარი ინსტიტუტების მშენებლობა ჯერ არ დასრულებულა.

ქეთევან ოსიაშვილი

39 | უმცროსკლასელთა სწავლაში ჩამორჩენის მიზეზები და მათი დაძლევის გზები

მეტყველება ერთ-ერთი ცენტრალური, უმნიშვნელოვანესი ფსიქიკური ფუნქციაა. ის უდიდეს გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკური პროცესების ჩამოყალიბებასა და გონებრივ განვითარებაზე. აზროვნების განვითარება დიდწილად მეტყველების განვითარებაზეა დამოკიდებული.

სარჩევი

ირმა ტაველიძე
27 კავკასიის სურათები

ნასტასია არაბული
28 ცუდად ნასწავლი გაკვეთილები

დიანა ანფიმიადი
29 დიმიტრი ყიფიანის გრამატიკა

ირმა კახურაშვილი
30 განათლება მონტესორის მეთოდით: როგორ შევაქოთ და მივცეთ მოტივაცია ბიჭებს?

პროფესია – მასწავლებელი

მაია ჯალიაშვილი

4 მასწავლებლის გზა

თუ მასწავლებლის ტონში მბრძანებლობა ჭარბობს, მოსწავლეებს საყოველთაო კონტროლის შიში უჩნდებათ და თავდაჯერებას კარგავენ, ხოლო თუ პედაგოგის ხმაში თანაგრძნობის, მხარდაჭერის, ქომაგობის ნიშნებია, მოსწავლის ენთუზიაზმი იმატებს.

ქრისტინე სურგულაძე

50 პროფესია – მასწავლებელი

ერთი დამღლელი დღის ბოლოს ჩემმა მეგობარმა, რომელიც ფარმაცევტია, მკითხა, რომელი პროფესია უფრო რთულიაო. მე ვუთხარი: შენი, რადგან აფთიაქში შემოსული მომხმარებელი ხშირად გეჩხუბება, მე კი დაღლას და გადაწვას მოსწავლეების მიერ უკან დაბრუნებული სიყვარული მიწონის-მეთქი. დღემდე ასე ვფიქრობ.

მოსაზრება

თამთა კობახიძე

17 სასკოლო განათლება – გამოწვევები და პერსპექტივები

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა, ისევე, როგორც სხვა ქვეყნების სისტემები, მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, თუმცა არსებობს საერთო პრობლემები, რომლებიც ეხება ყველას და არასასურველი შედეგები მოაქვს როგორც ლოკალური, ისე გლობალური თვალსაზრისითაც.

ცირა ბარბაქაძე

24 რა არის CHAT-GPT? – რესურსი პროფესორებისა და მასწავლებლებისთვის

ჯერ კიდევ როდის ამბობდა ბილ გეიტსი: „სახელმძღვანელო კვდება, ნეკროლოგის წერის დროაო“. სამყარო ისე სწრაფად იცვლება, რომ არათუ საუკუნის წინანდელი, გუშინ დაწერილი სახელმძღვანელოებიც კი დღეს უკვე მოძველებულია!

საერთაშორისო გამოცდილება

ლევან ალფაიძე

20 თამაში ზედამხედველობის გარეშე – რატომ არის ეს აუცილებელი ბავშვებისთვის?

თუ ბავშვს პატარ-პატარა თავგადასავლები არ გადახდა, ვერ შეძლებს, მცირე დაბრკოლებები თვითონვე გადალახოს; თუ მშობლების გარეშე ვერ წავიდა მეგობრებთან, ლონდონში მოგზაურობას ვერასოდეს დაგეგმავს და ვერ ექნება განცდა, რომ ყველაფერს თვითონვე გაართმევს თავს. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანია.

მაია ჯალიაშვილი

მასწავლებლის გზა

თუ მასწავლებლის ტონში მბრძანებლობა ჭარბობს, მოსწავლეებს საყოველთაო კონტროლის შიში უჩნდებათ და თავდაჯერებას კარგავენ, ხოლო თუ პედაგოგის ხმაში თანაგრძნობის, მხარდაჭერის, ქომაგობის ნიშნებია, მოსწავლის ენთუზიაზმი იმატებს.

ვის ხედავს მასწავლებელი, როდესაც სკოლისკენ მიეჩქარება და სარკეში გაელვებულ სახეს მოჰკრავს თვალს? ეს თან თვითონ არის, თან – სხვა, ის, ვინც ცოტა ხანში მოსწავლეებისთვის გზად უნდა იქცეს. გზად, რომელსაც ბავშვები ბედნიერებისკენ მიჰყავს. რა თქმა უნდა, რთული როლია, ამიტომაც სარკეში ჩახედვისას ეჭვიც ჩანს ხოლმე ჩრდილივით დაფენილი: მართლა სიხარულითაა სავსე სწავლა-განათლების გზა თუ, პირიქით, მოვალეობის მოხდის ტანჯვა-წამებით? ამ კითხვაზე თავის მტვრევა უსარგებლოა, რადგან პასუხი ყოველთვის მრავალმნიშვნელოვანია და იმის მიხედვით იცვლება, რა გუნება-განწყობილებაზეა ადამიანი, რა ცოდნა-გამოცდილება აქვს.

დროთა განმავლობაში მასწავლებელიც თავისი მოსწავლეებივით იცვლება. ბავშვები მიდიან და მოდიან და თავიანთ კვალს ტოვებენ. სასკოლო ცხოვრების პირველი წლები თითქოს ოჯახური ცხოვრების გაგრძელებაა. მასწავლებლები ყოველი გზით ცდილობენ, მშობლიური სითბო აგრძნობინონ მოსწავლეებს. ამიტომაც იგონებს ალექს პორტნოი ამ დროს ასე: „წარმოიდგინეთ, ცნობიერებაში ისე ღრმად მქონდა ჩაბეჭდილი, რომ სკოლაში სწავლის პირველ წელს, მგონი, მჯეროდა: ყოველი მასწავლებელი დედაჩემი იყო, ოღონდ გადაცმულ-შენიღბული. გაისმებოდა თუ არა ბოლო ზარი, სახლში გამოვრბოდი და ენაგადმოგდებულს ყოველ ჯერზე ეს მაინტერესებდა: დედას მანამდე თუ მივუსწრებდი, სანამ გარდასახვას დაასრულებდა. შინ დაბრუნებულს მუდამ სამზარეულოში მხვდებოდა და მაგიდაზე რძესა და ფხვიერ ნამცხვარს მიდგამდა. მე კი, იმის მაგივრად, რომ ეს წარმოდგენები გამფანტვოდა, მისი ჯადოსნობის მიმართ მოწიწება მემატებოდა“ (ფილიპ როთი, „პორტნოის სინდრომი“). ამ ეპიზოდის მიხედვით, ორგვარი განცდა ეუფლება ბავშვს: ერთი, რომ ისეთივე დაცულია სკოლაში, როგორც შინ, დედის კალთას შეფარებული, და მეორე – აწუხებს ერთგვარი შებოჭვა თავისუფლებისა. დედა გვერდიდან არ შორდება, სკოლაშიც მიჰყვება, რათა შვილის ყოველი ნაბიჯი აკონტროლოს. ამიტომ დიდი ოსტატობა სჭირდება დაწყებითი კლასების მასწავლებელს, რომ მოსწავლეს არ ჰქონდეს არცერთი ზემოთ დასახელებული განცდა. არც ის, რომ ტოტალურად აკონტროლებენ, არც ის, რომ სკოლა საფრთხეებით სავსე გარემოა, სადაც მშობლის ხელი ვეღარ მისწვდება და ვერ დაიცავს.

ერთ წერილში აკაკი წერეთელი წუხდა: „ვისაც კი „ანა-ბანა“ უსწავლია ჩვენში და ნებართვაც აუღია, რომ იგივე „ანაბანა“ სხვებსაც ასწავლოს, ვისაც კი გაუგონია შორიდან პესტალოცისა და დისტერვეგის სახელები, გადაუთვალიერებია, უშინჯავს და წაუკითხავს ვოდოვოზოვი, თავი მწიფე პედაგოგი ჰგონია და დიდ მოძღვრათაც მოაქვს... დიდი პედაგოგობა რა საჭიროაო? ვინც კი სრულიად გამონიჭებული არ არის, ვინ არ იცის, რომ მოსწავლე ყმაწვილისათვის მავნებელია ის, რაც მის ბუნებას არ შეჰფერის“ (აკაკი წერეთელი, „წერილები ჩვენს მწერლობაზე“). აკაკის თეორიული განათლება საკმარისად არ მიაჩნია იმისთვის, რომ ადამიანმა ვინმეს აღზრდა-განათლებას თავი გაართვას – ამისთვის მოზარდის „ბუნების“ ცოდნაა საჭირო. ეს კი გულისხმობს იმას, რომ

პედაგოგმა კარგად უნდა იცოდეს მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებანი, რათა სწავლების პროცესში გაითვალისწინოს. ამ თვალსაზრისით, საუკეთესო გზა გამოცდილება, დაკვირვება და ანალიზია. თუ პედაგოგობა ისეთი არჩევანია, რომელიც ადამიანის სულის, გულისა და გონების მიერ არის გაკეთებული, მაშინ სკოლა განვითარების ასპარეზად იქცევა, ხოლო თუ მხოლოდ დროებითი პოლიგონია, მაშინ ეს გამოცდილებაც არ ჩნდება.

გამოცდილებამ ათქმევინა რუსთაველს: გონიერთა მწვრთელი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდესო. გაკვეთილზე გონიერნიც სხედან და უგუნურნიც, ამიტომ, ბუნებრივია, მასწავლებელი ყველას თანაბრად ვერ შეძრავს თუ გააღვიძებს სწავლისთვის. ზოგი თვალს დროზე გაახელს, ზოგი – გვიან, იქნებიან ისეთნიც, ცხოვრების ბოლომდე თვალდახუჭულნი რომ ივლიან. მასწავლებელი ყველას იოლად იცნობს, მაგრამ უნდა შეძლოს, არ გამოარჩიოს. უბრალოდ, დავალებები ისე გაანაწილოს, რომ ყველამ თავისი საზრდო მიიღოს.

მასწავლებელს მოულოდნელ დილემად გამორჩეულ მოსწავლეებთან ურთიერთობაც შეიძლება ექცეს. აკაკი ბაქრაძე ერთ წერილში აღნიშნავს: „რა თქმა უნდა, ნიჭიერ ყმაწვილებს ყურადღება უნდა მიექცეს და ზრუნვაც არ უნდა მოაკლდეს, მაგრამ დათვური სამსახური არ გამოგვივიდეს. საქმე ის გახლავთ, რომ წინასწარ არავის შეუძლია განჭვრიტოს, უამრავი მხატვარი ბავშვისგან ბოლოს და ბოლოს რომელი იქნება ჭეშმარიტი ხელოვანი. ყმაწვილკაცობაში ადამიანი სხვადასხვა პროფესიას ეტანება. თავადაც არ იცის, რას ითხოვს მისი სული და გული. უკვე მოწიფული ირჩევს ცხოვრებისა და საქმიანობის მიზანს. ზოგიერთი მოწიფულობაშიც ვერ ახერხებს ამას და მთელი ცხოვრება გაწამებული აქვს. სამწუხაროდ, ეს შეცდომა ყველაზე ხშირად სწორედ ხელოვანთ მოსდით. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბავშვთა ნახატებს არავითარი მხატვრული ღირებულება არა აქვთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ნახატებში სამყაროს ინფანტილური ხილვაა, რაც მხოლოდ ღიმილს იწვევს. პედაგოგიკური თვალსაზრისით კი მხოლოდ წაქეზების მნიშვნელობა თუ ექნება“.

აკაკი ბაქრაძე ერთ ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე ამახვილებს ყურადღებას: შეიძლება თუ არა ზედმეტმა ან, ერთი შეხედვით, უწყინარმა წამახალისებელმა ქებამ უარყოფითი შედეგი მოიტანოს? მისი აზრით, „წაქეზებას უარყოფითი მხარეც აქვს. ხშირად იგი ბაქიობის, ცრუ სიამაყის, ცხვირაწეულობის წყარო ხდება“. აკაკი ბაქრაძე ყურადღებას მშობლებზე ამახვილებს. მისი აზრით, ამპარტავნების მავნე „სენი იმდენად ბავშვებს არ ემართებათ, რამდენადაც ფილისტერ მშობლებს. სწორედ ისინი ყოყოჩობენ და კუდაბზიკობენ „ნიჭიერი“ შვილებით. მშობლების ეს განწყობილება ზემოქმედებს ბავშვებზეც და ხასიათი, თვისებები უფუჭდებათ. მერედა, ხომ არ დაგვავიწყდა „მზრუნველი“ მშობლების გრძელი რიგი სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, სპორტული დაწესებულებების, მუსიკალური სკოლების, უცხო ენათა მასწავლებლების წინ? ასეთი „ზრუნვა“ ზოგჯერ აჩლუნგებს ბავშვებს“ (ჟურნალ „დილის“ მიმოხილვა“).

„სწავლის ძირის სიმწრის“ (როგორც გურამიშვილი იტყვის) დასაძლევად სხვადასხვა გზის მონახვაა საჭირო. აკაკი ბაქრაძე იგონებს: „ბავშვობაში ერთი პატარა გერმანული ლექსი მასწავლეს. მისი შინაარსი ასეთი იყო: რძით სავსე კასრში ორი ბაყაყი ჩავარდა; ერთმა იფიქრა, აქედან რაღა ამომიყვანსო და ბედს დაემორჩილა. ფეხები აღარ გაანძრია და რძეში დაიხრჩო. მეორემ კი ბრძოლა არ შეწყვიტა, ფეხები მანამ იქნია, სანამ რძისაგან კარაქი არ მოდღვიბა, მყარ კარაქს დაეყრდნო და კასრიდან ამოხტა. მე ყოველთვის კარაქის მდღვებავი ბაყაყის ნებისყოფა და იმედიანობა მხიბლავდა და დღესაც მხიბლავს“. ასეთი ცხოვრებისეული თუ ლიტერატურული, მითოლოგიური და ზღაპრული მაგალითები ყოველთვის დიდ ზეგავლენას ახდენს მოსწავლეთა მოტივაციაზე, ამიტომაც კარგი იქნება, მშრალ თვალსაჩინოებასთან ერთად, რომელიც შესაძლოა რუტინული სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი იყოს, გაკვეთილი ცოცხალი, შთამბეჭდავი ამბებითაც გამრავალფეროვნდეს.

მასწავლებლის ენერგია და განწყობილება გაკვეთილზე იდუმალ სივრცეს ქმნის. მკვლევარ იუკი ტერადას აზრით, პედაგოგის ხმის ტონალობაც კი უმნიშვნელოვანესია, რადგან, უპირველესად, სწორედ ის აყალიბებს საკლასო კულტურას. მართლაც, ხმას აქვს თავისი ამოუხსნელი მაგია.

მკვლევრებმა დაასკვნეს, რომ თუ მასწავლებლის ტონში მბრძანებლობა ჭარბობს, მოსწავლეებს საყოველთაო კონტროლის შიში უჩნდებათ და თავდაჯერებას კარგავენ, ხოლო თუ პედაგოგის ხმაში თანაგრძნობის, მხარდაჭერის, ქომაგობის ნიშნებია, მოსწავლის ენთუზიაზმი იმატებს. ხმის ტონალობა ან ზრდის, ან ამცირებს მანძილს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. მასწავლებელმა არ უნდა გამოიყენოს ისეთი ტონი, რომელიც ბარიერს აღმართავს მასა და მოსწავლეს შორის.

ის ქმნის ნდობის ატმოსფეროს, ამცირებს სტრესს და აქრობს კონფლიქტის შესაძლებლობას, ხელს უწყობს სწავლის წყურვილის გაჩენას. იუკი ტერადა ხმის ფენომენისადმი მიძღვნილ სტატიაში აღნიშნავს, რომ პედაგოგმა შეიძლება ის გამოიყენოს საკლასო სივრცის მართვის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ინსტრუმენტად. მასწავლებლები ხმის ნაირგვარ მოდულაციას მიმართავენ ისე, რომ ხშირად ვერც კი აცნობიერებენ ამას და არც აკონტროლებენ, მაგრამ თუ უფრო გონივრულად მიუდგებიან, მაშინ კიდევ ერთ საჭირო უნარს გამოიყენებენ, რათა ცოდნის მიღებისა და გადაცემის პროცესი იოლი და სასიამოვნო გახდეს. პედაგოგი გაკვეთილზე ხმას სხვადასხვა საქმისთვის იყენებს – ხან ინსტრუქციას აძლევს ამა თუ იმ დავალებისთვის, ხან კითხვებს სვამს, ხან კომენტარებს აკეთებს, ხან მასალას ხსნის, ხან მოსწავლეთა დისციპლინაზე ამახვილებს ყურადღებას. მისმა ხმამ ხელი უნდა შეუწყოს ერთი აქტივობიდან მეორეზე ლოგიკურ გადასვლას. მასწავლებელს შესაძლოა წლები დასჭირდეს, რომ მსახიობივით დაეუფლოს თავის ხმას, მოათვინიეროს და ყოველი ამოცანის შესაფერისად მომართოს.

იუკი ტერადა წერილში მოიხმობს 2022 წელს ჩატარებულ კვლევას, რომელსაც ძალიან საინტერესო შედეგები აქვს. მკვლევრებმა დაიწყეს ხმის ტონის ნიუანსების შესწავლა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს იმას, თუ როგორ შეუძლია



მასწავლებელმა არ უნდა გამოიყენოს ისეთი ტონი, რომელიც ბარიერს აღმართავს მასა და მოსწავლეს შორის. ბავშვები არა შიშს, არამედ მოკრძალებასა და პატივისცემას უნდა განიცდიდნენ მასწავლებლის მიმართ.

მასწავლებლის ხმის ტონს საკლასო კულტურის ჩამოყალიბება. ესექსისა და რედინგის უნივერსიტეტების მკვლევრებმა გააანალიზეს, როგორ რეაგირებდნენ დაწყებითი კლასის მოსწავლეები ჩვეულებრივ ინსტრუქციებზე (მაგალითად, „დამშვიდების დროა“, ან „დაჯექი, ვიწყებთ გაკვეთილს“), რომლებიც მიწოდებული იყო სხვადასხვა ინტონაციითა და გრადაციით – მაკონტროლებლიდან ნეიტრალურამდე, მუქარის შემცველიდან მხარდაჭერის გამომხატველამდე. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვები უცვლელი დარჩა, ტონალობის ცვლილებამ დიდი გავლენა მოახდინა კლასის განწყობილებაზე.

მკვლევრებმა დაასკვნეს, რომ თუ მასწავლებლის ტონში მბრძანებლობა ჭარბობს, მოსწავლეებს საყოველთაო კონტროლის შიში უჩნდებათ და თავდაჯერებას კარგავენ, ხოლო თუ პედაგოგის ხმაში თანაგრძნობის, მხარდაჭერის, ქომაგობის ნიშნებია, მოსწავლის ენთუზიაზმი იმატებს. ხმის ტონალობა ან ზრდის, ან ამცირებს მანძილს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. მასწავლებელმა არ უნდა გამოიყენოს ისეთი ტონი, რომელიც ბარიერს აღმართავს მასა და მოსწავლეს შორის. ბავშვები არა შიშს, არამედ მოკრძალებასა და პატივისცემას უნდა განიცდიდნენ მასწავლებლის მიმართ. როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, ხმას აქვს იდუმალი ძალა, წარმომთქმელის წასვლის შემდეგაც დიდხანს დარჩეს და ღრმა კვალი დატოვოს. ამის არაერთი მაგალითი ვიცით ისტორიიდანაც. ორატორები, უპირველეს ყოვლისა, იმით აღწევდნენ წარმატებას, რომ ხმის მოდულაციებს ოსტატურად იყენებდნენ. მთავარი იყო არა ის, რას ამბობდნენ, არამედ ის, თუ როგორ წარმოთქვამდნენ სიტყვებსა თუ ფრაზებს. ონლაინსწავლებამ აჩვენა ცოცხალი ხმის ძალა. ეკრანის მიღმიდან წამოსული ხმა თითქოს კარგავდა იმ ემოციურ ზემოქმედებას, რომელსაც პირისპირ ურთიერთობისას ახდენდა. დისტანცირებული მასწავლებლის ხმას თითქოს სიმკაცრე შეემატა.

ილიას მრავლისმეტყველი რჩევა არ უნდა დაგვავიწყდეს: „ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა“. ეს ნათელი სურათი თვალწინ უნდა ედგას მასწავლებელს. მაგრამ „სანთლები რომ აანთო, თავად უნდა ატარებდე გულით ცეცხლს“ (გაბრიელა მისტრალი). ეს გულის „ცეცხლი“ ყველას ნებისმიერ საქმეში სჭირდება და მისი მოფრთხილებაც არ არის იოლი საქმე. მაგრამ რაკი „წილი ნაყარია“, როგორც კეისარი იტყოდა, და მასწავლებლის პროფესია არჩეულია, „რუბიკონიც უნდა გადაილახოს“ – ასეთია ლოგიკა ცხოვრებისა, რომელსაც თავისი დაუწერელი კანონი აქვს – კანონი სიცოცხლისა, მარადიული მოძრაობისა. სასკოლო ცხოვრებაც სიცოცხლის დიდი გზის მნიშვნელოვანი ნაწილია. ცნობილი ფილმის, „მონანიების“, ალუზიას თუ მივმართავთ და ვიკითხავთ: „მასწავლებელი ტაძრამდე მიმიყვანს?“ (ტაძარში ცოდნა-განათლების სინათლე ვიგულისხმოთ), პასუხი დაბეჯითებით და დაუეჭვებლად უნდა გაისმას: „დიახ. ეს გზა, მასწავლებლის გზა, „ტაძრამდე“ მიგიყვანთ“.

მაია ფირჩხაძე

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეს კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირების უნარების გამომუშავებაში

არგუმენტირებაზე მუშაობა სწავლის დაწყებით საფეხურზევე იწყება და მისი სრულყოფა, ცოდნის შეძენასთან ერთად, საფეხურებრივად გრძელდება. მნიშვნელოვანია, რომ საწყის ეტაპზე მასწავლებელმა თავად დასვას შეკითხვა: როგორ განვუვითარო ეს უნარი მოსწავლეს? როგორ ვასწავლო? რით დავიწყო? სასურველია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს არგუმენტირების ალგორითმი და ნაბიჯ-ნაბიჯ წაიყვანოს მოსწავლე წარმატებისკენ.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლა-სწავლების ერთ-ერთი მიზანი კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარებაა. კრიტიკული აზროვნება გულისხმობს მტკიცებულებებისა და დამაჯერებელი არგუმენტების ჩამოყალიბებას, თანაც ისე, რომ სხვის გამოცდილებას ვერ გამოიყენებ. არგუმენტირების (შესაფერისი არგუმენტებითა და მაგალითებით საკუთარი მოსაზრების დასაბუთების) უნარი ცნების შინაარსის განხილვაშიც ეხმარება მოსწავლეს, რითაც ხელს უწყობს კომპლექსურ დავალებებზე შემოქმედებითად მუშაობას და აკადემიური წარმატების მიღწევას. ეს მნიშვნელოვანი უნარი კი სასწავლო პროცესში უნდა გამოიმუშაოს მოსწავლემ, რაშიც მას მასწავლებელი უნდა დაეხმაროს.

არგუმენტირებაზე მუშაობა სწავლის დაწყებით საფეხურზევე იწყება და მისი სრულყოფა, ცოდნის შეძენასთან ერთად, საფეხურებრივად გრძელდება. მნიშვნელოვანია, რომ საწყის ეტაპზე მასწავლებელმა თავად დასვას შეკითხვა: როგორ განვუვითარო ეს უნარი მოსწავლეს? როგორ ვასწავლო? რით დავიწყო?

სასურველია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს **არგუმენტირების ალგორითმი** და ნაბიჯ-ნაბიჯ წაიყვანოს მოსწავლე წარმატებისკენ.

არგუმენტირების ალგორითმი

I ეტაპი – მოქმედების გეგმის გაცნობა

პირველი ნაბიჯი – **მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობს, მუშაობა დაიწყოს ავტორის პოზიციის ფორმულირებით,** მაგალითად: „ავტორი დაასკვნის, რომ...“, „ავტორი მიიჩნევს, რომ....“, „ავტორის პოზიცია ასეთია...“, „ავტორი ცდილობს, აგვიხსნას, რატომ...“

მეორე ნაბიჯი – მასწავლებელი სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით ეხმარება მოსწავლეს, ღრმად გაიაზროს ტექსტი და შემდეგ სთავაზობს, **იმუშაოს ავტორის პოზიციის მიღებაზე / გაზიარებაზე/ დათანხმებაზე ან პირიქით – უარყოფაზე (ვერ მიიღებს ავტორის აზრს/ ვერ დაეთანხმება ავტორს/ ვერ გაიზიარებს მის შეხედულებას) შემდეგი ფორმულების მეშვეობით:** „მე ვეთანხმები (არ ვეთანხმები) ავტორს იმიტომ, რომ...“, „ძნელია, არ დაეთანხმო ავტორის მოსაზრებას იმიტომ, რომ...“

დავალების შესასრულებლად მოსწავლეს უკვე განხილული აქვს ტექსტი და, შესაბამისად, ეყრდნობა შემდეგი ტიპის ინფორმაციას:

- **ექსპლიციტურს** (ავტორი მკაფიოდ წარმოაჩენს და ხსნის თავის პოზიციას);
- **იმპლიციტურს** (ავტორის პოზიცია პირდაპირ არ იკვეთება ტექსტში, მაგრამ მთლიანობაში ის ტექსტის ენით, რიტორიკული შეკითხვებით და ა.შ. საკმაოდ მკაფიოდ ავლენს პრობლემისადმი საკუთარ დამოკიდებულებას);
- **თეზისს** (რომელიც მკაფიოა, ცხადია, ნათელია და უცვლელად გასდევს მთელ ტექსტს).

მესამე ნაბიჯი:

- **არგუმენტების მოყვანა** (არანაკლებ 2 არგუმენტი-

სა) **და საკუთარი მოსაზრების დაცვა** (რისთვისაც სასურველია შესაბამისი მასალის /ლიტერატურის დამოწმება).

შედეგების ჩამოყალიბებას, დასკვნების გამოტანას არ ითხოვს დავალების პირობა, მაგრამ მოსწავლეს უნდა ახსოვდეს, რომ დავალებას უნდა ჰქონდეს დასრულებული ფორმა, რისთვისაც საჭიროა ნაშრომის ლოგიკური დაბოლოება. ეს შეიძლება იყოს არა მარტო ზოგადი შედეგების ჩამოთვლა, დასახელება, არამედ

ლესთან ჯერ ამუშავებს ცნებას „არგუმენტაცია" და შემდეგ გადადის „არგუმენტის ტიპებზე".

მასწავლებელი განიხილავს ცნება „არგუმენტს" შემდეგ კონტექსტში:

ა) ზოგადი ნაწილი: არგუმენტი – ეს არის საბუთი, რომელიც მოჰყავთ რამის დასამტკიცებელად; მსჯელობა ან მსჯელობათა სისტემა, რომელსაც იშველიებენ რაიმე სხვა მსჯელობის ან მსჯელობა-

1. **ლოგიკური (რაციონალური) არგუმენტები: ფაქტები** (რომლებიც გადმოცემულია წინადადებებით; სამეცნიერო მუშაობის შედეგები (თეორიები, ჰიპოთეზები, აქსიომები და ა.შ.); **სტატისტიკური ინფორმაცია, ანუ რაოდენობრივი მაჩვენებლები** (მაგალითად, საბრძოლო შენაერთების რაოდენობა; საზოგადოების წევრთა რიცხოვნობა და სხვ.), **საქმის ვითარების ობიექტური მაჩვენებლები** (მაგალითად, ხმელთაშუა

ადამიანის ქცევას კონკრეტულ გარემოში მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, მათ შორის კი უმთავრესი გამოცდილება და აზროვნების სქემებია, რომლებიც ჩვენი შეხედულებების ფორმირებას ახდენენ და საბოლოოდ კონკრეტული ქცევისკენ გვიბიძგებენ.

პრობლემის გადაჭრის გზების ჩვენებაც, მითითება შემდეგ მოქმედებაზე, რაც სასურველად მიაჩნია მოსწავლეს პრობლემის გადასაჭრელად.

II ეტაპი

რაც შეეხება არგუმენტირების ეტაპს – მასწავლებელი მოსწავ-

თა სისტემის ჭეშმარიტების დასამტკიცებლად;

ბ) დასაბუთების წინაპირობა, დასაბუთების საბუთი, საფუძველი. ზოგჯერ არგუმენტს უწოდებენ მთელ დასაბუთებასაც.

არსებობს 3 ტიპის არგუმენტები:

ზღვა შავ ზღვაზე დიდია), **ბუნების კანონები, იურიდიული კანონები, ოფიციალური დოკუმენტები, დადგენილებები, ნორმატიული აქტები** (ანუ ისინი, რომელთა შესრულება აუცილებელია);

2. **წყაროზე დაფუძნებული არგუმენტები:** ექსპერიმენ-

ტებისა და ექსპერტიზის მონაცემები; მოწმეთა ჩვენებები; წყაროდან მოყვანილი ციტატები; მაგალითები ცხოვრებიდან ან მხატვრული ლიტერატურიდან; ცნობილი, პატივსაცემი ადამიანების მოსაზრებები; საზოგადოებრივი აზრი, რომელიც მიუთითებს საზოგადოებაში არსებულ ღირებულებებსა და ქცევის წესებზე;

3. **არგუმენტაციის მნიშვნელოვანი ელემენტია ილუსტრაცია/ დემონსტრაცია**, რომელიც საშუალებას გვაძლევს, აბსტრაქტული ცნება წარმოვადგინოთ ვიზუალური სახით, მაგალითით. ის ამყარებს არგუმენტს და დასკვნის გამოტანაში გვეხმარება. ეს შეიძლება იყოს:

- კონკრეტული მაგალითი (ძირითადად – ცხოვრებისეული, რომელიც მიგვითითებს, რომ ეს ნამდვილად შეიძლებოდა მომხდარიყო);
- ლიტერატურული მაგალითი (ნაწარმოებიდან, ტექსტიდან მოყვანილი მაგალითი);
- შესაძლო მაგალითი (რომელიც მიგვითითებს, რა შეიძლებოდა მომხდარიყო გარკვეული პირობების შემთხვევაში).

მაგალითად, არგუმენტი: „ხანდახან ადამიანის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ შეიძლება უფრო მეტი გვითხრას ამ ადამიანის შესახებ, ვიდრე მისი ჩაცმულობის ან გარეგნობის აღწერამ. ამიტომ არის, რომ ავტორი ყურადღებას ამახვილებს პერსონაჟის სიტყვებზე როგორც მისი ხასიათის გასაღებზე“.

მოცემული არგუმენტის ილუსტრაციის/ დემონსტრაციის შესაძლო ვარიანტი:

„ჩემს ახლობლებს შორის არავის აქვს უხეში ენა. ან ვის გაუხარდება ასეთი ნათესავის ყოლა? მაგრამ შემიმჩნევია, რომ ადამიანები თითქოს სიტყვით გეფერებიან, სინამდვილეში კი მოგებაზე უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე შენზე“.

დასკვნა: მაშასადამე, „ყველაზე უკეთესად ადამიანები თავიანთი სიტყვით, ენით შეიცნობიან“.

III ეტაპი – არგუმენტაციის ხერხების გამოყენება.
ამ ეტაპის დასაწყისში მასწავლებელი მაგალითებს ტექსტიდან არჩევს:

მოსწავლეებს ვაძლევთ შეკითხვას: „რითაა განპირობებული, რომ დასავლეთ საქართველოში ზამთარი თბილია?“ მოსწავლეები გაიხსენებენ დასავლეთ საქართველოს კლიმატურ-გეოგრაფიულ მახასიათებლებს, შავი ზღვის ფაქტორს, წყლის წრებრუნვას და კითხვას უპასუხებენ.

დასკვნა: „ამგვარი ჩამონათვალი შეიძლება უსასრულოდ ბევრი იყოს. მიზეზები, ცხადია, დედამიწის ზოგად აგებულებაშია. მთავარია, მათგან ყველაზე არსებითის, ფაქტსა და მოვლენასთან ყველაზე ახლოს მყოფის, ყველაზე შესაბამისის დასახელება“.

ბ) **მნიშვნელოვანია ცნების შესაბამისი აზრობრივი ნიმუშების მიწოდებაც, შემდეგში კი მოსწავლეებს პასუხების მიგნება აღარ გაუჭირდებათ, მაგალითად:**

არგუმენტი, რომელიც დაფუძნებულია	მიზანი	გამორჩეული მახასიათებლები	მაგალითები
მაგალითზე			
ილუსტრაციაზე/ დემონსტრაციაზე			
ნიმუშზე (დადებითზე ან უარყოფითზე)			

IV ეტაპი – არგუმენტების შერჩევა. ამ დროს:

ა) **თავდაპირველად მასწავლებელი მოსწავლეებს არგუმენტების შერჩევაში ეხმარება, მერე კი მოსწავლეები დამოუკიდებლად მოქმედებენ.**

მაგალითად, გვაქვს ასეთი თეზისი: „დასავლეთ საქართველოში თბილი ზამთარი იცის“.

ნიმუში	ცნება
1. **თხრილი**	ა) **ცოდნის შეძენისკენ მისწრაფება**
2. **ღრუბლიანი ცა**	ბ) **ჩუმი იმედი**
3. **ტყის ხანძარი**	გ) **საშიშროების შეგრძნება**
4. **ალპინისტი, რომელიც მწვერვალზეა**	დ) **ტერორიზმი**
5. **ცეცხლის კვამლი შორს, მთაზე**	ე) **ოცნება**
6.	ვ) .....

არგუმენტირების უნარის გამოსამუშავებლად დროა საჭირო. სასურველია, მასწავლებელმა მას სისტემატური ხასიათი მისცეს, დაიწყოს მარტივი ტექსტებითა და მარტივი არგუმენტებით და თანდათან მიაღწიოს სასურველ ფორმატს. მთავარია, რომ ამ გზით მოსწავლეს გამოუმუშავდება კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირების უნარები, რაც მნიშვნელოვანი პირობაა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად.

ნიმუშის მიხედვით არგუმენტის დასაბუთების /უარყოფის მაგალითია შემდეგი სახის დავალებაც:

დაფიქრებულხართ, რა შინაარსს დებენ ადამიანები სიტყვებში „კარგი ადამიანი“? რას ნიშნავს ეს სიტყვები თქვენთვის? როგორ გესმით ისინი? დაწერეთ თქვენი აზრი ამის თაობაზე. მოიფიქრეთ თეზისი, რომელსაც დაიცავთ, დაასაბუთებთ. თქვენთვის ცნობილი ადამიანებიდან (მწერლები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები...) რომელს უწოდებდით „კარგ ადამიანს? რატომ?

V ეტაპი – არგუმენტირებისას დაშვებულ ტიპურ შეცდომებზე ყურადღების გამახვილება:

- **არგუმენტირებისას დაშვებულ შეცდომებს შორის** ყველაზე ხშირად გვხვდება **ტავტოლოგია, არგუმენტების ჩანაცვლება ახსნა-განმარტებით და მაგალითის მაგივრად ტექსტის პერიფრაზირება** (ნაწყვეტის მოყვანა/მოთხრობა);
- **მნიშვნელოვანია მტკიცებულების გაფორმებაც.** ყოველი ახალი არგუმენტი უნდა დავიწყოთ აბზაცით (ამ გზით არგუმენტი ადვილად გვხვდება თვალში ნაშრომის გადახედვის დროსაც). სასურველია, არგუმენტი იწყებოდეს სიტყვებით: „უპირველესად... მეორე მხრივ... აქედან გამომდინარე...“, – რაც ხელს უწყობს ინფორმაციის ლოგიკურად დალაგებას და გადმოცემას.
- **თუ მოსწავლე ეთანხმება ავტორს, მათი თეზისები ერთმანეთს დაემთხვევა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ავტორისეული არგუმენტების ნაცვლად, თავისი არგუმენტი უნდა მოიყვანოს.**

VI ეტაპი – პოზიციის გამოხატვა, როდესაც ავტორს არ ვეთანხმებით:

- **ავტორისგან განსხვავებული პოზიცია მოსწავლეებს იშვიათად აქვთ** (ან ეშინიათ, გაურბიან „სუსტ“ არგუმენტებს, ან უბრალოდ არ უპირისპირდებიან ავტორის მოსაზრებას), თუმცა **ეთიკური ნორმების დაცვით მოსწავლეს შეუძლია თავისი აზრის გამოხატვა,** მაგალითად, ასეთი ფორმულირებით: „ძნელია, არ დაეთანხმო ავტორს, მაგრამ არსებობს ფაქტები, რომლებიც...“, ან „ძირითადად ვიზიარებ ავტორის პოზიციას, მაგრამ მინდა შევნიშნო, რომ...“, „ავტორს მხედველობიდან გამორჩა, რომ...“

ასეთ დროს არგუმენტი შეიძლება ასეთი კონსტრუქციის იყოს: „როგორც ვხვდები... ჩემი აზრით...“ – და ა.შ.

- **იმისთვის,** რომ მოსწავლეს თავისი აზრის გამოხატვა მოუნდეს, სასურველია, შევთავაზოთ ტექსტები, სადაც ავტორის მოსაზრებების ერთმნიშვნელოვნად მიღება ძნელია.

ამავე მიზნით შეიძლება, მოსწავლეს ასეთი დავალებაც შევთავაზოთ:

- მოიყვანეთ არანაკლებ ორი არგუმენტისა:

ა) თეზისის დასამტკიცებლად;
ბ) თეზისის უარსაყოფად;

- მოყვანილი მტკიცებულებების/უარყოფის საფუძველზე გამოიტანეთ შესაბამისი დასკვნა.

VII ეტაპი – ტექსტთან მუშაობა და თხზულების დამოუკიდებელი ანალიზი:

- მასწავლებელი მოსწავლეებს ექსპერტის მოვალეობის შესრულებას სთავაზობს, მასალად კი ისინი საკუთარ თხზულებებს გამოიყენებენ. უფრო უკეთესია ორი ვარიანტის გამოყენება – მასწავლებლის მიერ შემოწმებულისა და შეუმოწმებლის. მოსწავლე:
- ინდივიდუალურად/ჯგუფში განიხილავს ჯერ შეუმოწმებელ ნამუშევარს, მერე კი მასწავლებლის მიერ შემოწმებულს;
- მომდევნო ეტაპზე თავის ვარიანტს შეადარებს მასწავლებლის მიერ შემოწმებულს;
- დასკვნის გამოტანისას ხელახლა გადახედავს მოყვანილ არგუმენტებს და განიხილავს ტექსტთან მათ შესაბამისობასა და სისწორეს.

ცხადია, არგუმენტირების უნარის გამოსამუშავებლად დროა საჭირო. სასურველია, მასწავლებელმა მას სისტემატური ხასიათი მისცეს, დაიწყოს მარტივი ტექსტებითა და მარტივი არგუმენტებით და თანდათან მიაღწიოს სასურველ ფორმატს. მთავარია, რომ ამ გზით მოსწავლეს გამოუმუშავდება კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირების უნარები, რაც მნიშვნელოვანი პირობაა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად.

თინათინ ზარდიაშვილი

როგორ ზრდის ლიტერატურა მეცნიერებისადმი ინტერესს

„ჩემს მოსწავლეებს უკვირთ, რომ მათემატიკისა და მეცნიერების მასწავლებელი ვარ – მე ხომ ასე ძალიან მიყვარს კითხვა, მაშ, რატომ არ ვასწავლი ლიტერატურას?“ – წერს ტიფანი პერი.

სკოლაში საგნების სწავლება პირობითი დაყოფით ხდება, სამყაროში კი ყველაფერი ერთიანია. ცხოვრებაში ჩვენ მოვლენებს შემადგენელ ნაწილებად არ ვყოფთ.

ლიტერატურული თეატრი – ეს არის ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც აერთიანებს კითხვას, წერას, მსჯელობას, ხელს უწყობს ლიტერატურის მოძიების, ხმამაღალი კითხვის, თანამშრომლობის უნარების განვითარებას. მოსწავლეები ეჩვევიან მოკლე სცენარების წერას და ხატოვნად კითხვას.

დაწყებით კლასებში მათემატიკასა და მეცნიერებასთან ლიტერატურის დაკავშირება შესაძლებელია სამი გზით:

1. მკითხველთა თეატრი;
2. ლიტერატურა ბუნებისა და მათემატიკის გაკვეთილზე;
3. ხმამაღალი კითხვა და ამბების თხრობა.



ლიტერატურული თეატრი – ეს არის ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც აერთიანებს კითხვას, წერას, მსჯელობას, ხელს უწყობს ლიტერატურის მოძიების, ხმამაღალი კითხვის, თანამშრომლობის უნარების განვითარებას. მოსწავლეები ეჩვევიან მოკლე სცენარების წერას და ხატოვნად კითხვას. მაგალითად, შეიძლება გამოვიყენოთ სასამართლო პროცესის სცენარი: „მე ყველაზე მნიშვნელოვანი ვარ", – როცა მეექვსეკლასელები ადამიანის ორგანიზმის შესწავლას ასრულებენ. თემის შეჯამებასთან ერთად მოსწავლეები გაეცნობიან სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, მის მონაწილეებს, ნაფიცი მსაჯულის ინსტიტუტს. მოსამართლის როლი შეიძლება შეასრულოს მშობელმა ან მასწავლებელმა.

ბუნების გაკვეთილებზე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად კარგი საშუალებაა ლექსების, ზღაპრებისა და მოთხრობების გამოყენება. თამარ ადამიას შემეცნებითი ზღაპრები ამ მხრივ ძალიან სასარგებლო რესურსია. მაგალითად, მწერის განვითარების შესწავლისას გამოგვადგება, „როგორ დაიბადა პეპელა პელო", რომელიც ზედმიწევნით აღწერს პეპლის განვითარების ოთხციკლიან პროცესს. მოსწავლეები ზღაპრის მიხედვით ამ პროცესს დახატავენ და წარმოადგენენ, იმსჯელებენ პეპლის საცხოვრებელ გარემოზე, პეპლისა და მუხლუხის კვების თავისებურებებზე.

ლექსი „მარტოსული პლანეტის ფიქრები" მნიშვნელოვან სამეცნიერო დებულებებს შეიცავს. მისი წაკითხვის შემდეგ მოსწავლე გაეცნობა და დაახასიათებს პლანეტებს. ლექსის ანალიზი მას აბსტრაქტული აზროვნების განვითარებაში დაეხმარება. მოსწავლე იმსჯელებს, რომელ მეცნიერულ დებულებაზეა საუბარი ამა თუ იმ სტრიქონში და ასე, ბუნებისმეტყველებასაც ჩაუღრმავდება. შესაძლოა, მანაც დაწეროს პატარა ლექსი ან ჩანახატი რომელიმე პლანეტის შესახებ. მთავარია, ჩვენ, მასწავლებლებმა დავარწმუნოთ, რომ ხელოვნებაში შეცდომა არ არსებობს. შესაძლოა, სადმე სასვენი ნიშანი დააკლდეს, ასო გამორჩეს, მაგრამ მისი ნამუშევარი მაინც ძვირფასია.

ხმამაღალი კითხვა და თხრობა მოსწავლეს, უპირველეს ყოვლისა, მეტყველებისა და კითხვის უნარების გაუმჯობესებაში დაეხმარება. საამისოდ ბევრი მოთხრობის პოვნა შეიძლება. მაგალითად, მეხუთე ან მეექვსე კლასში სწავლის დაწყებისას, პირველ გაკვეთილზე, მოსწავლეებს ვუკითხავ ამონარიდს ნილს სიმეონის (გიორგი მასხარაშვილის) „თოთხმეტი კრისტალის თეორიიდან". მთავარ გმირს, უგოს, მეცნიერების ცოდნა ტყვეობიდან თავის დაღწევაში დაეხმარება. ამით მოსწავლეებს მეცნიერების მნიშვნელობაზე მივანიშნებ. ამ მოთხრობაში გაკვეთილის ჩასატარებლად საუკეთესო იდეებია ინტეგრირებული. მჟავები და ტუტეებიც არის განხილული, ენერგიის ალტერნატიული წყაროებიც, მინერალებიც. საინტერესოდ არის აღწერილი ფინეთის ტყეები და მღვიმეები, იქაური სასკოლო ცხოვრება. წიგნი კარგი რესურსია როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური მიმართულებით მუშაობის დროს.

დაწყებით კლასებში მათემატიკასა და მეცნიერებასთან ლიტერატურის დაკავშირება შესაძლებელია შემდეგი გზებით: მკითხველთა თეატრი; ლიტერატურა ბუნებისა და მათემატიკის გაკვეთილზე; ხმამაღალი კითხვა და ამბების თხრობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თამარ ადამია, „შემეცნებითი ზღაპრები", ელფის გამომცემლობა, 2015 წ.
2. ნილს სიმეონი, „14 კრისტალის თეორია", ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა https://edut.to/3PpNAzS



ანა ღვინიანიძე

„ჩვეულებრივად“ ყოფნის შეუძლებლობის შესახებ – ხისტი წესების შიგთავსი

წესები წარმოადგენს როგორც საკუთარ თავთან, ასევე ირგვლივ მყოფებთან ურთიერთობის მოწესრიგების საშუალებას. თუ მე შემიძლია, ვიცხოვრო წესში ასახული წესრიგისამებრ, მაშინ საკუთარი თავისა თუ სხვების მიმართ ჩემი დამოკიდებულებაც ასე თუ ისე გაწონასწორებულია.

„**ყველაფერი** პირველივე ჯერზე **უზადოდ** *უნდა* გავიგო და გავიაზრო“, „**ყველაზე** ჭკვიანი *უნდა* ვიყო“, „**ყველაფერში თანაბრად** წარმატებული *უნდა* ვიყო“, „**განსაკუთრებული** *უნდა* ვიყო“, „**განსაკუთრებულ, ყველასგან** გამორჩეულ წარმატებას *უნდა* მივაღწიო“.

გეცნობათ?

ესენი იმ ხისტი წესების მაგალითებია, რომლებითაც ადამიანები საკუთარ ქცევას წარმართავენ, განიცდიან. რაც მთავარია, საკუთარი თავისადმი დამოკიდებულებას ხშირად სწორედ ეს წესები განსაზღვრავს. ხისტი წესები, ერთი მხრივ, მოიცავს მოთხოვნას, რომელიც არეკლილია სიტყვაში „უნდა“, ხოლო მეორე მხრივ – განზოგადებებს, რომლებიც არეკლილია სიტყვებში: „ყოველთვის“, „ყველაფერი“, „ყველა“, „არაფერი“ და ა. შ.

წესები წარმოადგენს როგორც საკუთარ თავთან, ასევე ირგვლივ მყოფებთან ურთიერთობის მოწესრიგების საშუალებას. თუ მე შემიძლია, ვიცხოვრო წესში ასახული წესრიგისამებრ, მაშინ საკუთარი თავისა თუ სხვების მიმართ ჩემი დამოკიდებულებაც ასე თუ ისე გაწონასწორებულია. მართალია, ზემოთ დასახელებული ყველა წესი სასიცოცხლო ძალის ამომხაპავი და უკიდურესად „მიმტაცებელია“, მაგრამ, სინამდვილეში, მათი არსებობა სხვა, გაცილებით მტკივნეული განცდების გაცოცხლებისგან მიცავს. მირჩევნია, წესების დასაცავად გავიღო სასიცოცხლო ძალა, ვიდრე განვიცადო ის, რაც მათ დარღვევას მოჰყვება. თითოეული მათგანი მოიცავს ნაგულისხმევ საფრთხეს იმ შემთხვევისთვის, თუ ისინი **უზადოდ** და **უგამონაკლისოდ** არ შესრულდა. ადამიანები, რომლებმაც ასეთი წესები გაუცნობიერებლად შექმნეს ან გაიშინაგნეს, ხშირად ივიწყებენ, რომ მათი სიხისტე და მოუქნელობა ცხოვრების მრავალფეროვნებასა და მრავალგანზომილებიანობასთან შეგუების საშუალებას არ იძლევა.

რაში გვჭირდება ხისტი და მოუქნელი წესები?

ხისტი და მოუქნელი, მკაცრი მოთხოვნების ამსახველი წესები ადამიანებმა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გაიშინაგნეს. ქვემოთ მოცემული მაგალითი მკაფიოდ აღწერს, როგორ და რა შემთხვევაში ცოცხლდება ხისტი წესი, რომელი ემოციები და ქცევები ახლავს თან ასეთი წესების გაცოცხლებას. აღწერილი მაგალითი წარმოადგენს არაერთხელ, არაერთი ადამიანის მიერ გახმოვანებულ, ხან თითქმის და ხან სრულიად ერთი და იმავე შინაარსის მქონე წესების განზოგადებას.

აღწერილ მაგალითში თვალნათლივ ჩანს: ადამიანი ემზადება იმისთვის, რომ საფრთხეს გამოეხმაუროს. მისი სხეული გადადის საფრთხეზე პასუხის გაცემის მდგომარეობაში, რაზეც მიანიშნებს გულისცემის გახშირება, ციებ-ცხელების შეგრძნება, გულმკერდის არეში დაძაბულობის შეგრძნება, კიდურებში სიცივის შეგრძნება, ჟრუანტელი და ა.შ., ხოლო ქცევა ადასტურებს, რომ საფრთხე ნამდვილია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია, *სინამდვილეში* რატომ აღძრავს ზემოთ აღწერილი გამღიზიანებლების ერთობლიობა საფრთხის განცდას:

გარემოში არსებული ან შინაგანი გამღიზიანებელი ან მოვლენა

სასწავლო მასალის გაგების სირთულე ან მიკერძოებული დასკვნა იმის შესახებ, რომ სასწავლო მასალა სრულფასოვნად არ მესმის.

აზრი, რომელიც მებადება გარემოში არსებული გამღიზიანებლების პასუხად

„ვაითუ სწორად არ მესმის, რასაც ვკითხულობ?!“

სხეულებრივი ცვლილებები, ემოციები და სხეულებრივი შეგრძნებები, რომლებსაც განვიცდი აზრის პასუხად

შფოთვა / ჟრუანტელი, გულისცემის გახშირება და მისი თანმხლები სხეულებრივი შეგრძნებები, ციებ-ცხელების შეგრძნება, კიდურებში სიცივის შეგრძნება, სუნთქვის გახშირება და გაზედაპირულება და მისი თანმხლები სხეულებრივი შეგრძნებები.

ქცევები, რომლებითაც ვპასუხობ სხეულებრივ ცვლილებებს, ემოციებს და სხეულებრივ შეგრძნებებს

სასწავლო მასალისგან განშორება, გაქცევა, განრიდება, სიამოვნების აღმძვრელი ქცევებით, მაგალითად, თამაშით გატაცება.

ეს მაგალითი ორი ნაგულისხმევი ხისტი წესის არსებობას მოიცავს: „ყოველთვის ყველაფერი პირველივე ჯერზე უზადოდ და სრულყოფილად უნდა გავიგო და გავიაზრო“, „ირგვლივ მყოფების მოლოდინი ყოველთვის უზადოდ და სრულყოფილად უნდა გავამართლო“, თორემ...

გამრიყავენ და მიმატოვებენ.

ამ მსჯელობის თანახმად, ეს წესები ამგვარადაც შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: „იმისთვის, რომ ადამიანებმა ჩემზე წარმოდგენა და ჩემდამი კეთილგანწყობა არ დაკარგონ, ყველაზე ჭკვიანი და

გარემოში არსებული ან შინაგანი გამღიზიანებელი ან მოვლენა

სასწავლო მასალის გაგების სირთულე ან მიკერძოებული დასკვნა იმის შესახებ, რომ მასალა სრულფასოვნად არ მესმის.

აზრი, რომელიც მებადება გარემოში არსებული გამღიზიანებლის პასუხად

„ვაითუ სწორად არ მესმის, რასაც ვკითხულობ?!“

რა არის ყველაზე უსიამოვნო იმაში, თუ მართლაც არ მესმის, რასაც ვკითხულობ?

„ის, რომ პირველი წაკითხვისთანავე ვერ გავიგე“.

თავის მხრივ, რას ნიშნავს ის, რომ პირველი წაკითხვისთანავე ვერ გავიგე სასწავლო მასალა?

„ეს იმას ნიშნავს, რომ საკმარისად ჭკვიანი არ ვარ“.

თუ მართლა ასეა და საკმარისად ჭკვიანი არ ვარ, რა არის ამაში ყველაზე უსიამოვნო?

„ირგვლივ მყოფები ელიან, რომ ჩემს საქმიანობაში ყველაზე ჭკვიანი და წარმატებული ვიქნები, ახლა კი გაიგებენ, რომ არც იმდენად ჭკვიანი ვყოფილვარ, როგორიც ვეგონე“.

რა მოჰყვება ამას ყველაზე უსიამოვნო?

„ის, რომ ჩემთან ურთიერთობა აღარ ენდომებათ“.

რა მოჰყვება ამას ყველაზე უსიამოვნო?

„ის, რომ მარტო დავრჩები. არავინ მეყოლება, რომ მხარდაჭერისთვის მივმართო“.

რა მოჰყვება ამას ყველაზე უსიამოვნო?

„ის, რომ მარტო აღმოვჩნდები იმ ემოციების წინაშე, რომლებიც დამეუფლება და გადარჩენას ვერ შევძლებ“.

სხეულებრივი ცვლილებები, ემოციები და სხეულებრივი შეგრძნებები, რომლებსაც აზრის პასუხად განვიცდი

შფოთვა/ ჟრუანტელი, გულისცემის გახშირება და მისი თანმხლები სხეულებრივი შეგრძნებები, ციებ-ცხელების შეგრძნება, კიდურებში სიცივის შეგრძნება, სუნთქვის გახშირება და გაზედაპირულება და მისი თანმხლები სხეულებრივი შეგრძნებები.

ქცევები, რომლებითაც ვპასუხობ სხეულებრივ ცვლილებებს, ემოციებს და სხეულებრივ შეგრძნებებს

სასწავლო მასალისგან განშორება – გაქცევა, სიამოვნების აღმძვრელი ქცევებით, მაგალითად, თამაშით გატაცება.

ხისტი წესებით მოქმედმა ადამიანებმა მიტოვებისგან თავის დაცვის მცდელობაში საკუთარ თავს ჩამოართვეს დამაკმაყოფილებელი მიღწევებით კმაყოფილების ფუფუნება და ამ დროს დაკარგეს „გამორჩეული“ წარმატებების მიღწევის შესაძლებლობა, რადგან „ჩვეულებრივით“, ანუ დამაკმაყოფილებლით სიხარულის ბედნიერება არ ჰქონიათ.

წარმატებული უნდა ვიყო“, „თუ ყველაზე ჭკვიანი და წარმატებული არ ვიქნები, ადამიანებს ჩემთან ურთიერთობა აღარ ენდომებათ, გამრიყავენ და მიმატოვებენ“.

ამ ჯაჭვის თანახმად, ხისტი წესი შფოთვის განცდისგან თავდაცვის გზაა. ასეთი წესი ეყრდნობა დაშვებას, რომ *უპირობოდ* უნდა შესრულდეს. მოქნილი წესი კი დიდწილად ჟღერს როგორც *სასურველი*, თუმცა არა *უპირობოდ* გასათვალისწინებელი წინაპირობა საკუთარ თავსა და გარემოსთან შეგუებისთვის. მოქნილი წესი ამბობს, რომ *კარგი* და *სასურველია*, თუ *ძირითადს* და *მნიშვნელოვანს* გაიგებ და ეს *საკმარისია* იმისთვის, რომ კმაყოფილებისა და სიხარულის განცდის უფლება მისცე საკუთარ თავს. ის ასევე ითვალისწინებს, რომ ადამიანზე ბევრი ისეთი რამ ზემოქმედებს, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს განსაზღვრული ამოცანის წარმატებით შესრულებაში და მოიაზრებს ადამიანისადმი გულმოწყალე დამოკიდებულებას, თანაგრძნობას.

ხისტი წესებით მოქმედმა ადამიანებმა მიტოვებისგან თავის დაცვის მცდელობაში საკუთარ თავს ჩამოართვეს დამაკმაყოფილებელი მიღწევებით კმაყოფილების ფუფუნება და ამ დროს დაკარგეს „გამორჩეული“ წარმატებების მიღწევის შესაძლებლობა, რადგან „ჩვეულებრივით“, ანუ დამაკმაყოფილებლით სიხარულის ბედნიერება არ ჰქონიათ.

თამთა კობახიძე

სასკოლო განათლება – გამოწვევები და პერსპექტივები

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა, ისევე, როგორც სხვა ქვეყნების სისტემები, მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, თუმცა არსებობს საერთო პრობლემები, რომლებიც ეხება ყველას და არასასურველი შედეგები მოაქვს როგორც ლოკალური, ისე გლობალური თვალსაზრისითაც. კოვიდპანდემია სწორედ ასეთი გამოწვევაა და ზიანი, რომელიც მან მოიტანა, მსოფლიოს ქვეყნებისთვის პრობლემების სათავეში მოექცა მიგრაციასთან, სიღარიბესა და სოციალურ უთანასწორობასთან ერთად.

2020 წლის აპრილში, პანდემიის დასაწყისში, გაეროს გენერალურმა მდივანმა მოუწოდა წევრ ქვეყნებს, ბიუჯეტის დაგეგმვისას კოვიდით გამოწვეული საგანმანათლებლო კრიზისის დასაძლევად აუცილებელი რესურსებიც გაეთვალისწინებინათ. გაეროს, UNICEF-ისა და სხვა ორგანიზაციების მიერ შეგროვებული ფინანსური დახმარება, ათეულობით მილიონი ევრო, კონფლიქტებით დაზარალებული ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებზე გადანაწილდა. ეს იყო ერთ-ერთი პირველი აღიარება პანდემიით გამოწვეული საგანმანათლებლო დანაკარგებისა და მსოფლიოსთვის იმის შეხსენება, რომ 1990 წლის შემდეგ განათლებაში კრიზისულმა სიტუაციებმა გლობალური მასშტაბით მკვეთრად იმატა. კონფლიქტებისგან დაზარალებული ქვეყნები, განათლების გარეშე დარჩენილი ბავშვების მზარდი რაოდენობა, სიღარიბე, პანდემია... აღსანიშნავია, რომ ამ საფრთხეებზე არა მხოლოდ ევროპული, არამედ აზიური და ამერიკული ორგანიზაციებიც რეაგირებენ და პრობლემებს გლობალურ კონტექსტში განიხილავენ.

განათლების სისტემებზე პანდემიის ნეგატიური გავლენის შესამცირებლად საერთაშორისო ორგანიზაციების სწრაფი და ერთობლივი რეაქციები პრობლემის მასშტაბურობაზე მიუთითებს. პრობლემების ანალიზის დროს კვლევები ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ აკადემიურ და სოციალურ-ემოციურ უნარებზე – დანაკარგებს შორის მოიაზრება ჯანსაღ საკვებსა და სუფთა წყალზე/სუფთა გარემოზე წვდომის შემცირებაც, რაც მოსწავლეების ჯანმრთელობაზე ნეგატიურად აისახება.

ახლაც კი, როდესაც გვგონია, რომ პანდემია დასრულდა, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოსწავლეები არ დაბრუნებულან სკოლაში. 2022 წლის ბოლოს UNICEF-მა გამოაქვეყნა ანგარიში, რომლიდანაც ვიგებთ, რომ, მიუხედავად პანდემიის დასასრულის მოახლოებისა, 23 ქვეყანაში, სადაც 400 მილიონზე მეტი მოსწავლე ცხოვრობს,

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა, ისევე, როგორც სხვა ქვეყნების სისტემები, მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, თუმცა არსებობს საერთო პრობლემები, რომლებიც ეხება ყველას და არასასურველი შედეგები მოაქვს როგორც ლოკალური, ისე გლობალური თვალსაზრისითაც.

სკოლები სრულად არ გახსნილა. მაგალითად, ჩინეთში.

პანდემიის დროს სასწავლო პროცესის შეწყვეტა აისახა მილიარდ-ნახევარზე მეტ ბავშვზე, რაც კარგად არის აღწერილი „პანდემიით გამოწვეული სასკოლო დანაკარგების შეფასების კვლევაში“ (ქადაგიძე, 2021). ანგარიშში აღნიშნულია, რომ განათლების ეკონომიკის მკვლევართა შეფასებით, სასწავლო პროცესის ხანმოკლე შეწყვეტაც კი მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსწავლეების მიღწევებზე (Alban Conto et al., 2020). მსოფლიო ბანკის თანახმად, სკოლების ხუთი თვით საყოველთაო დახურვამ შესაძლოა

ხოლო მათემატიკაში 50%-ს პროგნოზირებს (ქადაგიძე, 2021).

PISA-ს 2018 წლის ანგარიშის თანახმად, კითხვაში მოსწავლეთა საშუალო მაჩვენებლით საქართველო PISA 2018-ში მონაწილე 784-იდან იმ 49 ქვეყანას შორისაა, რომლებშიც მოსწავლეთა მიღწევების საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება OECD-ის 37 წევრი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. სამი კომპონენტის შეფასების შედეგებიდან ირკვევა, რომ საქართველოში მოსწავლეებს პირველი კომპონენტის დავალებები განსაკუთრებით უჭირთ. ინფორმაციის მოძიების კომპონენტში ესოდენ მოკრძალებული შედეგი



გამოიწვიოს სასწავლო დანაკარგები, რომელთა ამჟამინდელი ღირებულება 10 ტრილიონ აშშ დოლარს აღემატება (Azevedo et al., 2020) (ციტირებულია ქადაგიძე, 2021).

საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო კვლევების შედეგები პანდემიით გამოწვეულ სასწავლო დანაკარგებს უკავშირდება. ხელმისაწვდომი კვლევები საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ, რომ, მიუხედავად სწავლების დისტანციური ფორმის გამოყენებისა, მოსწავლეებს სასწავლო დანაკარგები მაინც ექნებათ. ცალკეული კვლევები პანდემიის პირობებში წიგნიერებაში მოსწავლეთა მიღწევების დაახლოებით 70%-ს,

პარალელური და დაბრუნებითი ძიების უნარების განუვითარებლობაზე მეტყველებს.

როგორც მათემატიკაში, ისე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებშიც მოსწავლეთა საშუალო მაჩვენებლით საქართველო PISA 2018-ში მონაწილე 79 ქვეყნიდან იმ 46-ს შორის მოხვდა, რომლებშიც მოსწავლეთა მიღწევების საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება OECD-ის წევრი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს.

ირკვევა, რომ საქართველოში მოსწავლეებს უკვე ჰქონდათ მნიშვნელოვანი ჩამორჩენა წიგნიერებაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერე-

ბებში OECD-ის წევრ ქვეყნებს შორის. კვლევათა შედეგების შეჯამებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მონაცემები კიდევ უფრო გაუარესდება, ხოლო პანდემიით გამოწვეული დანაკარგები რა სირთულეებს შექმნის სამომავლო პერსპექტივაში, სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის აღქმული სისტემის მიერ.

საერთაშორისო კვლევები ასევე განიხილავს იმ დაშვებას, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ სკოლაში შეიძლება უფრო ნაკლებმა მოსწავლემ იაროს, ვიდრე მანამდე. გლობალური მასშტაბით პრობლემა უფრო მეტად შეეხება ღარიბ ოჯახებს, სადაც ბავშვის შრომა დოვლათის შექმნის მექანიზმად და/ან ოჯახის რჩენის საშუალებად არის მიჩნეული.

2021 წლის OECD-ის ანგარიშში, რომელიც სკოლების დახურვის შესაძლო საფრთხეებსა და ეფექტებზე საუბრობს, ნათქვამია, რომ პანდემიამ კიდევ უფრო გააღრმავა სოციალური უთანასწორობა და სასწავლო შედეგების მიხედვით მოსწავლეთა მიღწევებს შორის მანძილი გაზარდა. მაგალითად, მაღალშემოსავლიან ოჯახებს, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ, მხარდაჭერა გაეწიათ შვილებისთვის არაფორმალური აქტივობებით, სასწავლო დანაკარგების ნაწილი განსხვავებულად შეეხო, ვიდრე ღარიბ ოჯახებს.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2021 წლის ანგარიში გვთავაზობს რეკომენდაციებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ ქვეყნებმა საგანმანათლებლო სისტემების პოსტკოვიდური გამოწვევების დროს. მთავარ რეკომენდაციებს შორისაა საგანმანათლებლო სივრცეების ადაპტირება (ტრადიციული საგაკვეთილო სივრცის მოდერნიზაცია), ტექნოლოგიებზე იაფი და უფასო წვდომა (მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის), სასწავლო გეგმების სამეცნიერო ცოდნით გამდიდრება, განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა, მასწავლებელთა პროფესიული კავშირების წახალისება და ზოგადი განათლების დაფინანსების ზრდა.

საქართველოს კონტექსტში პანდემიის შემდგომ დანაკარგებთან გამკლავების საშუალებად რემედიაციის პროგრამების გაძლიერება სახელდება, რომლების მიზანს, ერთი მხრივ, პანდემიით გამოწვეული დანაკარგების აღმოფხვრა და, მეორე მხრივ, სისტემის გაძლიერებისა და კრიზისების ეფექტური დაძლევისათვის ლოკალური და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება უნდა წარმოადგენდეს (ქადაგიძე, 2021). ამ რეკომენდაციებს შორისაა დაფინანსების გაზრდა (არათუ შემცირება), სოციალურ კონტექსტზე მორგებული პროგრამების შემუშავება, ეთნიკურ უმცირესობებზე ფოკუსირებული პროგრამები, ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება.

გლობალური მასშტაბით პრობლემა უფრო მეტად შეეხება ღარიბ ოჯახებს, სადაც ბავშვის შრომა დოვლათის შექმნის მექანიზმად და/ ან ოჯახის რჩენის საშუალებად არის მიჩნეული.

ლევან ალფაიძე

თამაში ზედამხედველობის გარეშე – რატომ არის ეს აუცილებელი ბავშვებისთვის?

ინტერვიუ ბოსტონის კოლეჯის მკვლევართან, ევოლუციონისტ-ფსიქოლოგთან, დოქტორ პიტერ გრეისთან[1]

თუ ბავშვს პატარ-პატარა თავგადასავლები არ გადახდა, ვერ შეძლებს, მცირე დაბრკოლებები თვითონვე გადალახოს; თუ მშობლების გარეშე ვერ წავიდა მეგობრებთან, ლონდონში მოგზაურობას ვერასოდეს დაგეგმავს და ვერ ექნება განცდა, რომ ყველაფერს თვითონვე გაართმევს თავს. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანია.

ჯინი (*1000 Hours Outside*-ის წარმომადგენელი): პიტერ გრეის წიგნმა „*Free to Learn*" ჩემი ცხოვრება შეცვალა. მე მისი სხვა წიგნებიც მაქვს, შეგიძლიათ, ნახოთ ისინი ჩემს თაროზე. დოქტორო გრეი, ან პიტერ, როგორც მთხოვეთ, მომემართა, მინდა, საჯაროდ გითხრათ დიდი მადლობა და დაგიდასტუროთ, რომ თქვენ შეცვალეთ ჩემი და ჩვენი ოჯახის ცხოვრება. შეცვალეთ იგი ჩვენი შვილებისთვის. ამ ცვლილებამ ჩვენს ოჯახში თაობებზე მოახდინა გავლენა. მე დღეს გამოვდივარ საოჯახო სწავლების (ე.წ. ჰოუმსქულინგი – მოძრაობა ამერიკაში, როდესაც მშობლები ბავშვებს შინ ასწავლიან განათლების ადგილობრივ განყოფილებასთან შეთანხმებული პროგრამით. ჰოუმსქულინგი დაშვებულია აშშ-ის ორმოცდაათივე შტატში, – ლ.ა) კონფერენციებზე. თუ შეიძლება, მოკლედ წარმოგვიდგინეთ თავი და მოგვიყევით, როგორ დაიწერა თქვენი წიგნი.

დოქტორი პიტერ გრეი: სიამოვნებით მოგიყვებით. მე გახლავართ მკვლევარი და პროფესორი ბოსტონის კოლეჯში. ცოტა ხნის წინ პენსიაზე გავედი და შევწყვიტე სწავლება, თუმცა ვაგრძელებ კვლევასა და სტატიების წერას. მე ფსიქოლოგ-ევოლუციონისტი ვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ მაინტერესებს ადამიანის ბუნება და ბუნებრივი სელექციის საკითხები. უკვე მრავალი წელია, ვიკვლევ და ვსწავლობ ბავშვების განვითარებას, მათ ბუნებას, უფრო ზუსტად, იმ ბუნებრივ გზებს, რომელთა მეშვეობითაც ბავშვები სწავლობენ, ვითარდებიან და გარე სამყაროს იკვლევენ.

ჩემმა კვლევებმა იქამდე მიმიყვანა, რომ გავხდი თვითმართული განათლების მეთოდების ადვოკატი – ეს ის გზაა, როდესაც ბავშვები საკუთარი ინიციატივით სწავლობენ. ბავშვები, ჩემი რწმენით, ბიოლოგიურად შექმნილნი არიან ისე, რომ თვითონვე შეძლონ სწავლა გარე სამყაროდან: თამაშისადმი ლტოლვა, ცნობისმოყვარეობა, სოციალურობა და გაზრდის სურვილი ის მთავარი სტიმულები და საშუალებებია, რომლებიც მათ სწავლისკენ უბიძგებს. ასევე მჯერა, რომ ჩვენი [როგორც ბიოლოგიური სახეობის] დახვეწა-განვითარება ბუნებრივი სელექციის მეშვეობით სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობდა და განათლების უნარის ჩამოყალიბებას ემსახურებოდა.

შესაბამისად, მსურს, მივცეთ ბავშვებს თვითმართული განათლების საშუალება და უფლება. ვფიქრობ, ჩვენ მიერ ბავშვების ცხოვრების კონტროლი მზარდია და ეს ხელს უშლის მათ, სრულად გამოიყენონ თვითგანათლების ბუნებრივი ინსტინქტი. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი კვლევითი ინტერესები გადაიკვეთება თქვენს ინტერესებთან. კერძოდ, ორივეს გვსურს, ბავშვებს მეტი დრო ჰქონდეთ თამაშისთვის, განსაკუთრებით კი გარეთ თამაშისთვის, რათა მათ გარშემო არსებული სამყარო გამოიკვლიონ.

ჯინი: ჩვენ საოჯახო სწავლების გზაზე შემთხვევით მოვხვდით. ახლა ჰოუმსქულერების ოჯახი ვართ, თუმცა ადრე მსურდა, დირექტორი გავმხდარიყავი – მემართა სკოლა და მთელი დღეები ეს მეკეთებინა. მაგრამ მაშინ სახლში ბევრი ბავშვი გვყავდა და უბრალოდ ვერ შევძელი დირექტორობა. ამან განაპირობა, რომ ბავშვების განათლებისადმი ჩვენი დამოკიდებულება სრულიად შეიცვალა.

1 (ნაწყვეტი 1000 Hours Outside-ის პოდკასტიდან). იხ. ვრცლად: https://www.1000hoursoutside.com/blog/when-school-wasnt-such-a-big-deal-interview-with-dr-peter-gray

სწორედ ამ დროს თქვენი წიგნი გახდა ამ ახალი მიდგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. საშუალება მოგვეცა, უკეთ გაგვეგო, რას ვაკეთებდით და დღემდე მადლიერები ვართ ამისთვის.

თუ შეიძლება, გვიამბეთ თქვენი შვილის ამბავი, რომელიც წიგნის ბოლოს მოიყვანეთ მაგალითად. როგორც მახსოვს, წერთ, რომ 1982 წელს თქვენი 13 წლის ვაჟი მარტო, მობილური ტელეფონის გარეშე, სრულიად დამოუკიდებლად გაემგზავრა ლონდონში. მართლა ასე იყო? თქვენი სიტყვებით, მარტომ დაგეგმა თავისი მოგზაურობა, 12 წლისამ გამოიმუშავა ფული ამ მოგზაურობისთვის და მარტო გაფრინდა ლონდონში ორი კვირით იქაურობის სანახავად.

დოქტორი გრეი: უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვა, რომ მაშინ ლონდონში ნამყოფი არ ვიყავი. ჩვენ ყოველთვის შინ ყოფნა გვერჩივნა, მიწას ძლიერად მიბმული ოჯახი ვიყავით. მას შემდეგ ბევრს ვმოგზაურობ, მაგრამ იმ დროს, ფაქტობრივად, არსად ვიყავით ნამყოფი.

ჩემი ვაჟი, ჩვენგან განსხვავებით, მოგზაურობის მოყვარული აღმოჩნდა და ლონდონში გამგზავრება გადაწყვიტა. მიზეზიც ჰქონდა იქ წასასვლელად: იმ დროს ძლიერ იყო გატაცებული ცნობილი სამაგიდო თამაშით „დილეგები და დრაკონები“. შედეგად უამრავი რამ ისწავლა ბრიტანეთის ისტორიის შესახებ და იმ მუზეუმების ნახვა სურდა, რომლებშიც მისთვის საინტერესო ნივთები და

ჩემმა კვლევებმა იქამდე მიმიყვანა, რომ გავხდი თვითმართული განათლების მეთოდების ადვოკატი - ეს ის გზაა, როდესაც ბავშვები საკუთარი ინიციატივით სწავლობენ. ბავშვები, ჩემი რწმენით, ბიოლოგიურად შექმნილნი არიან ისე, რომ თვითონვე შეძლონ სწავლა გარე სამყაროდან: თამაშისადმი ლტოლვა, ცნობისმოყვარეობა, სოციალურობა და გაზრდის სურვილი ის მთავარი სტიმულები და საშუალებებია, რომლებიც მათ სწავლისკენ უბიძგებს.

არტეფაქტები იყო გამოფენილი. სურდა ციხესიმაგრეების ნახვაც... ამიტომაც ერთ დღეს ჩვენთან მოვიდა და გვითხრა, რომ ლონდონში გამგზავრებას გეგმავდა. ჩვენთან საუბრისას მოგზაურობა უკვე დაგეგმილი ჰქონდა.

იმ დროს 12 წლისა გახლდათ და შეგახსენებთ, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ გვქონდა ინტერნეტი *(ინტერნეტის გამოყენება და მსოფლიოს პირველი ბრაუზერის კოდი ბრიტანელმა მეცნიერმა ტიმ ბერნერს-ლიმ 1993 წელს გახადა საჯარო გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი, – ლ. ა.*). ყველაფრის დაგეგმვა თვითონ მოუხდა: მოძებნა ბიბლიოთეკაში წიგნები, ჩამოწერა საჭირო საქმეების სია, გაარკვია, რა იყო საჭირო წასასვლელად, სასტუმროს დასაჯავშნად და სხვა. ამ ყველაფრის შემდეგ მოვიდა ჩვენთან და თავისი გეგმის შესახებ შეგვატყობინა.

ჩემი მთავარი საფიქრალი ის იყო, რომ ჩემს შვილს პირველი ტიპის დიაბეტი ჰქონდა და ამ სახის დიაბეტით მარტოს უნდა ემგზავრა. ისიც უნდა ვთქვა, რომ ცხრა წლიდან, როდესაც მისი დაავადების შესახებ შევიტყვეთ, ის თვითონვე იკეთებდა ინსულინის ინექციებს და ამ საქმეს ყოველთვის ყურადღებით ეკიდებოდა. როდესაც გეგმა გაგვაცნო, ჩვენი პირველი რეაქცია უარყოფითი იყო. მან კი გვითხრა: „კარგად იცით, რომ მე დიაბეტი სულ მექნება, მაგრამ 18 წლის რომ გავხდები, წასვლას ვერ ამიკრძალავთ. გამოდის, რომ მხოლოდ ჩემი ასაკის გამო მეუბნებით უარს“.

ამ სიტყვების შემდეგ უკან დავიხიეთ და ვაღიარეთ, რომ ის, მიუხედავად ასაკისა, პასუხისმგებლობიანი პიროვნება იყო და საკუთარ თავზე ზრუნვა შეეძლო. გვითხრა, რომ მოგზაურობისას აპირებდა სპეციალური მედალიონის ტარებას, რომელიც ინსულინზე რეაქციის ან სხვა გართულების შემთხვევაში სხვებს შეატყობინებდა მისი დიაბეტის შესახებ. ამის შემდეგ გამოგვიცხადა, რომ საკუთარი სახსრებით აპირებდა მოგზაურობას და რესტორანში მუშაობით ფული უკვე შეგროვებული ჰქონდა.

80-იანი წლები დღევანდელობისგან განსხვავდებოდა, თუმცა რესტორანში, დროებით სამუშაოზე, 12 წლის ბავშვის მუშაობა მაშინაც სავსებით კანონიერი იყო. როგორც გვითხრა, ჯერ თეფშებს რეცხავდა, შემდეგ გრილზე მუშაობდა და ამას მოგზაურობისთვის ფულის შესაგროვებლად აკეთებდა.

საბოლოოდ ყველაფერი შედგა. მან იმოგზაურა და, როგორც მოგვიყვა, პარიზშიც კი ჩავიდა ლონდონიდან.

აქვე უნდა გითხრათ, რომ იმ დროს ასეთი მოგზაურობა არც ისე უცნაურად ჟღერდა, როგორც დღეს, თუმცა ჩემი ვაჟის სამოგზაუროდ მარტო წასვლამ მაშინაც ბევრი გააკვირვა.

XX საუკუნეში 12-13 წლის მოზარდებისთვის ტრანსატლანტიკური მოგზაურობა არც ისე უცნაური ამბავი იყო. ბევრი ევროპელი ახალგაზრდა ახალ ცხოვრებას ახალ სამყაროში სწორედ ამ ასაკში იწყებდა. მოზარდების მიერ საკუთარი ცხოვრების მართვა არცთუ იშვიათი იყო. ასეთი გადაწყვეტილებები მათთვის ზრდის გამოცდილებად იქცეოდა ხოლმე.

ამის შემდეგ ჩემმა ვაჟმა ბევრგან იმოგზაურა. მას უყვარს მოგზაურობა და ყოველთვის შეიძლება საამისოდ ფულის გადადება.

შეიძლება ითქვას, რომ ბავშვებისადმი დამოკიდებულება ჩემ თვალწინ შეიცვალა. ახლა მათ ნაკლებად აძლევენ უფლებას, გარეთ იყვნენ და იქ თავისუფლად ითამაშონ. შიშმა დაისადგურა. ჩემს ახალგაზრდობაში ბავშვების ეზოში ყოფნა და თამაში ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. მშობლები თვითონვე გზავნიდნენ მათ გარეთ სათამაშოდ. შესაძლოა, ცვლილება მას შემდეგ მოხდა, რაც 80-იანებში ცენტრალურმა პრესამ ბავშვების გატაცების რამდენიმე შემთხვევა გააშუქა. ალბათ მაშინ გაჩნდა ხიფათის შეგრძნება, რომელიც ეზოში ბავშვების მარტო ყოფნას უკავშირდება... რა თქმა უნდა, ხიფათი ყოველთვის არსებობდა და იარსებებს, თუმცა წინათ, როგორც ჩანს, მასზე ყურადღებას არ ამახვილებდნენ და არც ინფორმაცია ხვდებოდა საჯარო სივრცეში.

რაც შეეხება ბავშვების მოტაცება-გაქრობის საფრთხეს, რომლისაც ყველას ასე ეშინია: ეს ძალიან, ძალიან იშვიათად ხდება. რა თქმა უნდა, შესაძლოა, ვინმეს მეხიც დაეცეს, შესაძლოა, რამე მოულოდნელიც მოხდეს, მაგრამ როგორც კი ეს პრესაში მოხვდება, შემთხვევა სხვა მნიშვნელობას იძენს. ის საერთოეროვნულ ამბად გადაიქცევა. ქვეყნდება დაკარგული ბავშვების ფოტოები და

დილით, ტელევიზორის ყურებისას, ყველას გვიჩნდება შეგრძნება: „ვაიმე, ღმერთო, ხომ შეიძლებოდა, ეს ჩემი შვილი ყოფილიყო!“

უსმენ რადიოში განცხადებებს დაკარგული ბავშვის შესახებ და შიში და ფორიაქი გიპყრობს: „სად არის ახლა, ამწუთას, ჩემი შვილი?“ თავს უყურადღებო მშობლად გრძნობ (თუმცა ასეთი არ ხარ), გეუფლება შეგრძნება, რომ იქ, გარეთ, ხიფათი და უბედურებაა ჩასაფრებული და შემდეგ ეს შიში შენში ფეთქდება, უსაზღვრო ხდება. ჩნდება განცდა, რომ თუ გამუდმებით არ ადევნებ თვალ-ყურს შვილს ან არ გეგულება ვინმე, ვინც ამას შენ მაგივრად აკეთებს, უყურადღებო მშობლად იქცევი. შფოთვას ემატება საკანონმდებლო სისტემის რეაქცია მშობლის უყურადღებობაზე (როცა შეიძლება, ბავშვის გაზრდის უფლება ჩამოგართვან). თუ თქვენი შვილი უთქვენოდ წავიდა სათამაშოდ, რაც წინათ ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ, დღეს ეს შეიძლება მშობლის უყურადღებობად და დანაშაულადაც კი ჩაითვალოს.

ამ შეგრძნებებს, ბავშვებზე ზრუნვის ასეთ რეჟიმს მოჰყვა სასკოლო სისტემის აქეთ „მომართვაც“. სკოლა ყოველთვის არსებობდა, მაგრამ წინათ მას არც ისე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. 80-იანების შემდეგ ეს შეიცვალა.

50-იან წლებში, როდესაც დაწყებით სკოლაში ვსწავლობდი, საშინაო დავალებას არ გვაძლევდნენ. შესაძლოა, ხანდახან მასწავლებელს ეთხოვა ჩვენთვის, დაგვეწერა რამე ამბავი ან ლექსი, რამე სახალისო საკლასო ოთახში წასაკითხად. იმ დროს წიგნებს, რვეულებს და სხვა ნივთებს არ დავათრევდით, შინ დაბრუნებულებს კი უამრავი დრო გვრჩებოდა სათამაშოდ.

სკოლაში სწავლის ყველა წელს ვერ გავიხსენებ, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ მეექვსე კლასი ჯერ კიდევ დაწყებით სკოლას ეკუთვნოდა. მეექვსე კლასში სასკოლო დღე ექვსი სასკოლო საათისგან შედგებოდა, თუმცა აქედან ორ საათს გარეთ, ეზოში ვთამაშობდით. შუადღემდე და ნაშუადღევს ნახევარსაათიანი შესვენებები გვქონდა. ვინც ახლოს ცხოვრობდა, ამ დროს ფეხით მიდიოდა შინ ლანჩისთვის, უმეტესობას კი ლანჩი თან გვქონდა. მას გარეთ მივირთმევდით, მერე კი ვთამაშობდით. ამ დროს, როგორც მახსოვს, მასწავლებლები ზედამხედველობას არ გვიწევდნენ. ვთამაშობდით იმას, რაც გვინდოდა. ზამთარში ვგუნდაობდით, თოვლის ციხესიმაგრეებს ვაშენებდით. იმ დროს ბიჭისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო ჯიბის დანის ტარება და დანით თამაში. დანებს ერთმანეთს არ ვესროდით, მაგრამ ხეში ჩასობაში ვვარჯიშობდით. წარმოიდგინეთ, ჯაყვით რამდენნაირი თამაშის მოფიქრება შეიძლება!

სკოლაშიც კი მოლოდინი ისეთი იყო, რომ ბავშვი საკლასო ოთახსა თუ დერეფანში თვითონვე მიხედავდა თავს. ყოველწუთიერი ზედამხედველობა არ იყო მიღებული.

არც იმას მოელოდა ვინმე, რომ ბავშვები საათობით წყნარად ისხდებოდნენ მერხებთან, მერე კი გულმოდგინედ შეასრულებდნენ დავალებებს. არ მახსოვს, ერთ საათზე მეტხანს ვმჯდარიყავი სკამზე.

ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა და ეს ნამდვილად არ არის ნორმალური.

შესაძლოა, ამან მოახდინა გავლენა 60-70-იანი წლებისა და 80-იანების დასაწყისის ბავშვებზე, ჩემი ვაჟის ჩათვლით. მათ გაუჩნდათ განცდა, რომ შეუძლიათ, თვითონ მიხედონ თავს, აკეთონ თავიანთი საქმეები, მოაგვარონ პრობლემები. დღეს თითქოს ხელს ვუშლით ბავშვებს, ასეთი გამოცდილების მიღების საშუალებას არ ვაძლევთ. თუ ბავშვს პატარ-პატარა თავგადასავლები არ გადახდა, ვერ შეძლებს, მცირე დაბრკოლებები თვითონვე გადალახოს; თუ მშობლების გარეშე ვერ წავიდა მეგობრებთან, ლონდონში მოგზაურობას ვერასოდეს დაგეგმავს და ვერ ექნება განცდა, რომ ყველაფერს თვითონვე გაართმევს თავს. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანია.

ცირა ბარბაქაძე

რა არის CHAT-GPT? – რესურსი პროფესორებისა და მასწავლებლებისთვის

Chat-GPT შექმნილია ადამიანის მსგავსი საუბრის სიმულაციისთვის და მისი გამოყენება შესაძლებელია ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა მომხმარებლის მხარდაჭერა, ვირტუალური ასისტენტი, ჩეთბოტი და სხვა. მას შეუძლია გაუმკლავდეს მოთხოვნების ფართო სპექტრს და ისწავლოს წარსული ურთიერთქმედებიდან, რათა გააუმჯობესოს თავისი პასუხები დროთა განმავლობაში.

ხელოვნურმა ინტელექტმა უბრალოდ კი არ მოგვიკაკუნა და იკითხა: „შეიძლება?“ – არა, მან ფართოდ შემოაღო ჩვენი ცნობიერების კარი და ჩაგვისახლდა, თანაც ისე, რომ შესახლებულებს ჩვენ უფრო ვგავართ. შეზღუდული ფუნქციები არ იკმარა და ბოთლიდან გათავისუფლებული ჯინივით სულ თან დაგვყვება მომაბეზრებელი კითხვით: „ახლა რას მიბრძანებ?“

ამას კი გვეკითხება, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ იმასაც, რაც უნდა ვისურვოთ, თავად გვკარნახობს.

და აი, ასპარეზზე გამოვიდა Chat-GPT – ტექსტების შემქმნელი ხელოვნური ინტელექტის პროგრამა. პირველად ეს ამბავი მოსწავლეებმა და სტუდენტებმა შეიტყვეს და გავრცელდა ვიდეოები: **„მასწავლებლებს და პროფესორებს არ გააგებინოთ!“** – და რომც გააგებინოთ, მრავალ მათგანს აზრადაც არ მოუვა, რა შეუძლია ამ უსულო სულიერს.

მოკლედ, გაილაღეს სტუდენტებმა: ამიერიდან შეუძლიათ, ნებისმიერი დავალება Chat-GPT-ს შეუკვეთონ და ისიც რამდენიმე წამში დააგენერირებს ნაშრომს თავისი შესავლითა და დასკვნითურთ.

არ გეგონოთ, ეს მრავალთავიან-მრავალხელიან-მრავალტვინიანი „არსება“ მარტივი დავალებების „წერით“ შემოიფარგლება. რაც გინდათ, ჰკითხეთ: რომელი მასწავლებელი, რომელი პროფესორი, რომელი მშობელი გაგცემთ ასეთ სრულყოფილ პასუხს?! თანაც ამბობენ: პლაგიატის აღმოჩენა შეუძლებელია, რადგან სულ რაღაც ორი წუთის შემდეგ იდენტურ კითხვაზე კონტენტს სრულიად ახლებურად აგიწყობთო.

ამ პროცესს ვეღარაფერი შეაჩერებს, ბიბლიოთეკებში წიგნების ძებნას და ბარათებზე საჭირო ინფორმაციის ამოწერას კაცობრიობა ვეღარ დაუბრუნდება, ისევე როგორც ვეღარ დაუბრუნდება ლამპისა და სანთლის შუქს (გარდა რომანტიკული შეხვედრებისა). განათლების სისტემა რომ სრულიად ტრანსფორმირდება, ამის მაუწყებელი სიოც უკვე ქრის.

ამის ფონზე, მინდა, ერთ რამეს დაუკვირდეთ: შეფასების სისტემებს სკოლებსა და უნივერსიტეტებში. პლაგიატის ძიება უკვე რამდენ პლატფორმაზეა შესაძლებელი და ალბათ ახალსაც მოიფიქრებენ, მაგრამ – იმის ფონზე, რაც ხდება – რა საერთო აქვს ამ ყველაფერს ნამდვილ ცოდნასთან? ბევრი არაფერი, უბრალოდ, დამახსოვრებულ ინფორმაციას ამოწმებენ.

არ ვიცი, როდის გავიგებთ, რომ რეალობა უკვე შეიცვალა! იმიტომ კი არა, რომ ამას ბილ გეიტსი ამბობს, – თავადაც ხომ გრძნობთ? ჯერ კიდევ როდის წერდა: „სახელმძღვანელო კვდება, ნეკროლოგის წერის დროაო“. სამყარო ისე სწრაფად იცვლება, რომ არათუ საუკუნის წინანდელი, გუშინ დაწერილი სახელმძღვანელოებიც კი დღეს უკვე მოძველებულია!

„ვფიქრობ, მომავალი ათი წლის განმავლობაში ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფა, საბოლოო ჯამში, შეასრუ-

ლებს საკუთარ დაპირებას სწავლებისა და სწავლის რევოლუციონირების მიმართულებით. ხელოვნურ ინტელექტს ეცოდინება შენი ინტერესები და სწავლის სტილი, რომელსაც პერსონალიზებულ კონტენტს მოარგებს, რომელიც არ მოგაწყენთ. ხელოვნური ინტელექტი გაზომავს, როგორ ითვისებთ მასალას, შეამჩნევს, კარგავთ თუ არა ინტერესს და გაარკვევს, რა გაძლევთ მოტივს, თანაც მყისიერ უკუკავშირს მოგცემთ. არსებობს მრავალი გზა, რომლითაც ხელოვნური ინტელექტი მასწავლებლებს და ადმინისტრატორებს დაეხმარება, მათ შორის – სტუდენტის მიერ საგნის შესწავლის ხარისხის გაზომვაშიც. მოსწავლეების საშინაო დავალების შესასწორებლად ChatGPT-ს მსგავს ხელსაწყოებს უკვე იყენებენ", – წერს ბილ გეიტსი.[1]

როგორც იცით, Chat-GPT არის OpenAI-ის პროდუქტი, რომელიც Microsoft-ს ეკუთვნის, მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი კი ბილ გეიტსია. ადრეულ ეტაპზე ის პირადად იყო ჩართული Chat-GPT-ს შექმნაში.

მაშ ასე: რას აკეთებს Chat-GPT? მას შეუძლია, ტექსტის სახით დაგიწეროთ ნებისმიერი რამ, დაწყებული უბრალო კითხვაზე პასუხით და დამთავრებული... დამთავრებული?! მისი შესაძლებლობები ხომ უსასრულოა.

ინფორმაციის ძებნა სხვაგან აღარ დამიწყია და თვითონ Chat-GPT-ს ვკითხე, ვინ არის და რა შეუძლია. აი, მოკლე პასუხიც, რომლის ქართული ვარიანტი უბრალოდ დავარედაქტირე:

„Chat-GPT არის AI ტექნოლოგიაზე მომუშავე სასაუბრო აგენტი, რომელიც იყენებს GPT (Generative Pre-trained Transformer) ენის მოდელს, რათა გამოიმუშაოს ადამიანის მსგავსი პასუხები მომხმარებლის კითხვებზე. ის ფლობს ტექსტების უზარმაზარ კორპუსს, რათა ჩასწვდეს ბუნებრივი ენის ნიუანსებს და შეუძლია შექმნას პასუხები, რომლებიც კონტექსტურად შესაბამისი და გრამატიკულად სწორია.

Chat-GPT შექმნილია ადამიანის მსგავსი საუბრის სიმულაციისთვის და მისი გამოყენება შესაძლებელია ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა მომხმარებლის მხარდაჭერა, ვირტუალური ასისტენტი, ჩეთბოტი და სხვა. მას შეუძლია გაუმკლავდეს მოთხოვნების ფართო სპექტრს და ისწავლოს წარსული ურთიერთქმედებიდან, რათა გააუმჯობესოს თავისი პასუხები დროთა განმავლობაში".

ამერიკელმა დიზაინერმა ამარ რეშიმ ექსპერიმენტი ჩაატარა და Chat-GPT-ს დააწერინა საბავშვო ტექსტი მითითებული სიტყვებით, მერე კი Midjourney-ს ილუსტრაციები დააგენერირებინა. სულ რამდენიმე საათი დახარჯა „ავტორმა" და წიგნი უკვე მზად იყო.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია ელისი, რომელიც აღმოაჩენს ხელოვნური ინტელექტის სამყაროს და შექმნის რობოტს, სახელად Sparkle-ს. სიუჟეტის მიხედვით, ელისი და Sparkle სამოგზაუროდ წავლენ და ცდილობენ, თავიანთი ცოდნის დახმარებით სამყარო უკეთესი გახადონ.

ამარ რეშიმ წიგნი ქაღალდზე გამოსცა და გაყიდა. მთელი ტირაჟი რომ გაიყიდა, შემდეგ ქინდლის ვერსია გამოუშვა, რომლის რამდენიმე გვერდიც ასე გამოიყურება:

Once upon a time

In a land far, far away, there was a group of magical beings known as artificial intelligence. These AI were incredibly smart and could do all sorts of amazing things.

One day,

a young girl named Alice discovered the magic of AI. She was amazed by their abilities and wanted to learn more.

1 https://forbes.ge/rasphiqrobs-bil-geitsi-khelovnur-inteleqtze/

Alice loved learning new things

Alice began to study the world of AI and learned that they could do all sorts of incredible things. They could help people with their work, solve complex problems, and even create beautiful art.

Sparkle said hello to the world for the first time

One day, Alice decided to put her knowledge of AI to the test. She built her own AI, named it Sparkle, and set it loose in the world.

ჯერ კიდევ როდის ამბობდა ბილ გეიტსი: „სახელმძღვანელო კვდება, ნეკროლოგის წერის დროაო“. სამყარო ისე სწრაფად იცვლება, რომ არათუ საუკუნის წინანდელი, გუშინ დაწერილი სახელმძღვანელოებიც კი დღეს უკვე მოძველებულია!

Chat-GPT მუსიკასაც წერს, ანალიზსაც აკეთებს, დასკვნებიც გამოაქვს. ის დაგიწერთ ესეს, დიპ-ლომს, დისერტაციას, შეგიმოწმებთ კოდებს... ლექსების წერაშიც ნავარჯიშევია. რა თქმა უნდა, რედაქტირება სჭირდება, მაგრამ, დამეთანხმე-ბით, ადამიანს მაინც საგრძნობლად უმარტივებს საქმიანობას.

Chat-GPT დაგიგენერირებთ სარეკლამო ტექსტებს, სცენარებს, სკრიპტებს ტრენდების გათვალისწინებით. მთავარია, სწორად მისცეთ დავალება.

არ ვიცი, ვის ეკუთვნის საავტორო უფლება მასთან თანამშრომლობით შედგენილ ტექსტებ-ზე, მაგრამ თუნდაც ეს ფაქტი რომ ბევრ რამეს გვეუბნება ჩვენს მომავალზე, უდავოა.

პროფესორ-მასწავლებლებო, ისღა დაგრ-ჩენიათ, კი არ აკრძალოთ, არამედ ითანამშ-რომლოთ და რესურსად გამოიყენოთ მსგავსი პლატფორმები.



www.mastsavlebeli.ge

ირმა ტაველიძე

კავკასიის სურათები

1890 წლის 28 მაისს ორი იტალიელი მკვლევარი, ემილ ლევიე და სტეფან სომიე, დიდ მოგზაურობას იწყებს – ლივორნოში გემზე იმ განზრახვით ადის, რომ მომდევნო თვეები კავკასიის ფლორის შესწავლაში, კავკასიელებზე დაკვირვებაში უნდა გაატაროს. სამოგზაურო ჩანაწერები, რომელთა ავტორიც ემილ ლევიეა, შვეიცარიულ ლიტერატურულ კრებულში ქვეყნდება, მათ ნაწილს კი – ქართულად თარგმნილს – ჟურნალ „მოამბეს“ მკითხველიც ეცნობა 1894 წელს.

ეს მომნუსხველი საკითხავი ხელში ვერ ჩამივარდებოდა, სამი წლის წინ გამომცემლობა „ვაზს“ წიგნად რომ არ გამოეცა, ანა ჭეიშვილისა და ანა მარგველაშვილის შესანიშნავი შესავლით. მკითხველის შემზადება დიდი საქმეა და ჩვენც მრავალ საყურადღებო ცნობას გვაწვდიან. ლევიესა და სომიეს კავკასიაში მოგზაურობისას მცენარეთა 1627 სახეობა შეუგროვებიათ, დიყის (Heracleum) ენდემური სახეობის თესლი კი ჩრდილოეთ კავკასიიდან ფლორენციაში წაუღიათ და ევროპაში მისი გავრცელებისთვის, ნებით თუ უნებლიეთ, ხელიც შეუწყვიათ.

„ჩვენ უკვე რუსეთის სამფლობელოში ვართ, ეს არის კავკასია“, – ასე იწყება ბათუმის მიწაზე ახლად ფეხდადგმული ემილ ლევიეს პირველი ჩანაწერი, 1890 წლის 17 ივნისით დათარიღებული. რას ამბობს მოულოდნელს? არც არაფერს, მაგრამ მაინც შემეცვალა განწყობა, კითხვის გაგრძელება კი მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ მოვახერხე. ბათუმის სურათი წარმოსახვით დახატულს ბოლომდე დაემთხვა: „ქუჩებში ჭაობებია და დახავსებული წყალი დგას. სახლები თითოსართულიანია“. გულის გასახარი შენიშვნაც აქვეა: „მცხოვრებთ რომ ვუკვირდებით, ასე გვგონია, ევროპაში ვართ-მეთქი“.

შვეიცარიული წარმოშობის იტალიელ ბოტანიკოსს ხშირად ახსენდება ევროპის სხვადასხვა მხარე აჭარისა თუ სვანეთის გზებზე ხეტიალისას, შედარებებს უშურველად არიგებს, მკითხველს თავისი აღფრთოვანების მოზიარედ ხდის. „ალაგ-ალაგ ასე გეგონება, იტალიაში ან შვეიცარიაში ვარო,“ – შენიშნავს ჯერ კიდევ მოგზაურობის დასაწყისში, ქედაში, და მოგვიანებით არც სამოთხის ხსენებას მოერიდება.

ბორჯომი: „წყლის დასალევი ადგილი კარგად მოწყობილია, ისე როგორც გერმანიის ცნობილ წყლებზე“.

სვანეთი: „ვაზი ადამიანის მონად გამხდარა, ერთი ხიდან მეორეზე გადადის, სწორედ ისე, როგორც ტოსკანაში“.

თბილისი: „მაღლიდან ქალაქი საღამოს ჟამს მშვენიერი სანახავია, ასე მგონია, ეიფელის კოშკიდან გადავცქერი გაჩირაღდნებულს პარიჟსა-მეთქი“. აქვე: „ევროპული სიცხოველე და მოძრაობა ტფილისს არ აკლია“.

ისევ სვანეთი: „ლაჰილას თოვლიანი ზურგი იუნეფრაუსავით ვარდისფრად შეიღება და მთლად ერთნაირად გავარვარდა, შემდეგ დაცხრა და მოიბინდა“.

მხოლოდ რამდენიმე ნიმუში ამოვწერე. მრავალ ასეთს ნახავს მკითხველი ემილ ლევიეს ჩანაწერებში. მკვლევარი ადგილების შედარებით არ კმაყოფილდება, ადამიანებსაც ყურადღებით აკვირდება და აფასებს. იმერელი კაცი „წმინდა ევროპული ტიპის მაგალითებს“ აგონებს, მის გარეგნობასა და შესამოსელს აღწერს, მერე კი დასძენს: „ამ ფაზისის ნაპირებზე ყოველ ფეხის გადადგმაზე გვხვდებოდნენ იმგვარი სახისანი, რომელიც ჩვენს იტალიელ ნაცნობ-მეგობრებს გვაგონებდნენ“. ყველაზე დიდ ზემოქმედებას კი ფლორის საკვლევად შორეულ მხარეში წამოსული ბოტანიკოსის ეს დასკვნა ახდენს: „კავკასია აშუქებდა ევროპას არა მარტო თავის მცენარეულობით, როგორც მაგალითად ვაზით [...], არამედ თავის მცხოვრებლებითაც“. ამ ყველაფერს ბუნებრივად მოჰყვება სიტყვები – ალბათ კავკასიამ ჩვენ უფრო მეტი მოგვცა, ვიდრე ჩვენ მივეციოთო.

წერილში ყურადღება მხოლოდ იმაზე გავამახვილე, რაც ყველაზე საგულისხმო მომეჩვენა – როგორ გვხედავდა უცხო თვალი, რა ადგილს გვიძებნიდა სამყაროს იმ სურათში, კარგა ხნის წინ რომ დაეხატა და არაერთხელ შეესწორებინა. წიგნში კი სხვა გზებიცაა, მოგზაურებთან ერთად გასავლელი და სამუდამოდ დასამახსოვრებელი, სხვა მნიშვნელოვანი დასკვნები, მდიდარი ენით მოთხრობილი წვრილწვრილი ამბები, იუმორი. ყველაზე მომნუსხველ ეპიზოდში ფეხშიშველი, დაფხრეწილკაბიანი სვანი გოგონები ჩნდებიან – ფერხული ჩაუბამთ და რაღაც სიმღერას გაჰკივიან. უცხოელების დანახვისას გაჩუმდებიან, ლამაზი თვალებით მიაშტერდებიან მათ, მერე კი სიცილი წასკდებათ და როცა სიცილი სტუმრებსაც გადაედებათ, წამში გაიფანტებიან – „თითქოს ქარს გაჰყვნენო...“

ასე დავამთავრებ ამ წიგნზე წერას. ქარით, გამქრალი სურათით.

რა აზრი მოეთხოვება ამგვარს ინტელიგენციას, როდესაც მან არ იცის წარსული თავის ერისა, არ იცის თვისება, ლტოლვილება იმის სულისა და გულისა, – არ იცნობს მის გონებრივს აგებულობას, არ იცის საზოგადოდ რომ ვსთქვათ, მისი სოციალური ყოფა-მდგომარეობა?!

ვაჟა-ფშაველა

ნასტასია არაბული

ცუდად ნასწავლი გაკვეთილები

სულო ცოდვილო, რამდენჯერ მიფიქრია სასოწარკვეთილსა თუ იმედგაცრუებულს, რომ ყველა უბედურება, რაც გვჭირს, ჩვენი ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებლების ბრალია. მათი, ვინც ლიტერატურაში შენახული ათასწლეულების მარტივი სიბრძნეები თავში სწორი აქცენტებით ვერ ჩაგვიჭედა და მათიც, ვინც ისტორია ჰეროიკულ ამბებად გვასწავლა და არა გამოცდილებად, სადაც შეცდომებს აანალიზებ, რომ იმავე ქვას აღარ წამოჰკრა ფეხი, სადაც შენამდე არაერთმა წაიფორხილა, ზოგმაც კისერი მოიტეხა ან თავი დაკარგა. ათასჯერ მაინც გავბრაზებულვარ ადამიანებზე, რომლებმაც ტექსტებისა და თარიღების სწავლება უფრო მნიშვნელოვან საქმედ მიიჩნიეს, ვიდრე დისკუსიის უნარების ჩამოყალიბება, ანალიზის უნარი, კერპების ნგრევა და ახალი ხედვის შესაძლებლობების გახსნა. რა შეიძლება იყოს უფრო კარგი სავარჯიშო გონებისთვის და საკვები სულისთვის, ვიდრე მომხდარი თუ გამოგონილი ამბები თავისი გმირებით და ანტიგმირებით? რამ შეიძლება გასწავლოს უკეთ სხვის ტყავში შეძრომა, სხვისი თვალით სამყაროს დანახვა და სხვადასხვა პერსპექტივიდან გარემოს აღქმა, გადარჩენის პრაქტიკების გამომუშავება?

ყოველთვის, როცა მიმდინარე ამბებიდან დისტანცირებისთვის, ფართო სურათის დასანახად ან სულაც ახალი პერსპექტივებისთვის ლიტერატურას და ისტორიას მივაკითხავ ხოლმე, იმაზე ვბრაზობ, სტერეოტიპებით რა მძლავრად არის დატვირთული სასკოლო სივრცეში „საპროგრამო ტექსტების“ სწავლება და რა უკონტექსტოდ ისწავლება ისტორია. ინტერპრეტაცია, მსჯელობა, კრიტიკა, ამბების სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა და მათ შორის კავშირების შემჩნევა, რის საშუალებასაც ეს ორი დისციპლინა იძლევა, თითქმის სრულიად უგულებელყოფილია პროგრამების დონეზეც და პრაქტიკაშიც. რჩება საზეპიროები, ლეგენდები და სადღეგრძელოები სამშობლოსა და სიყვარულზე.

მეტსაც გეტყვით, საზეპიროებშიც ვერ ვივარგეთ.

მორალურ კოდექსებად და ფასეულობრივ ორიენტირებად გამოსადეგი ნაწყვეტები კლასიკოსების ტექსტებიდან მხოლოდ ლამაზ სიტყვებად მივიჩნიეთ და არა სიბრძნეებად, რომლებიც ნავიგაციას გაგვიადვილებდა.

აბა, თქვენც დაფიქრდით, როგორ შეიძლება ადამიანს სკოლაში კარგად ჰქონდეს გააზრებული ეს ფრაზები და ისე ცხოვრობდეს, როგორც ჩვენ? სწავლის დაუცხრომელი სურვილის გარეშე, კრიტიკის მიუღებლობით, უკეთესი ხვალინდელი დღის რწმენის გარეშე, საკუთარი ბედის სხვაზე მინდობით?

„აწ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო? ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?“

დავით გურამიშვილი

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება
და გზა უვალი, ჩვენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება!“

ნიკოლოზ ბარათაშვილი

„მცოდნე კაცების ჭირნახულობა, გამოცდილება, ცოდნა რომ შენსას დაემატოს, კარგი იქნება? უფრო ადვილად არ გაიძლობ კუჭს? უფრო ცოტა ოფლით მეტს არ მოიმკი?“

ილია ჭავჭავაძე

„თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთიერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არ არის პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი“.

ვაჟა-ფშაველა

„არაფერს არ უნდა შევუშინდეთ, არაფერი არ უნდა დავმალოთ, რადგან დამალვით სენი კი არა რჩება, ძლიერდება, ხრწნის საზოგადოებრივს ორგანიზმს და სიკვდილს უმზადებს ერს“.

იაკობ გოგებაშვილი

„ამბობენ, რომ გვაქვს მოთმინების დიდი უნარი. რაა სულ თმენა? სხვა უნარიც გვიჩვენეთ კიდევ. შრომის უნარი, განათლების, გრძნობის უნარი“.

გალაკტიონ ტაბიძე

ეს – მხოლოდ კლასიკოსები. რამდენი ასეთი ზაფხულის ხვატში მონაბერ გრილ სიოსავით საჭირო და საამური რამეა ჩვენამდე დაგროვებულ გამოცდილებაში. მარტო ის რად ღირს, დავით აღმაშენებელი რომ ეუბნება დიდგორის ომის წინ ხალხს, თქვენი თავის რწმენა თუ გექნებათ, ეშმაკის ურიცხვ მიმდევრებს კი არა, თვით ეშმაკებსაც დაამარცხებთო და მართლაც რომ ამარცხებენ. როგორ შეიძლება, წლების განმავლობაში დიდგორის ამბავს ასწავლიდე და არ გჯეროდეს, რომ ყველაფერი შესაძლებელია, ოღონდ სიმტკიცით და დაუღალავი მონდომებით? როგორ შეიძლება, გრიგოლ ხანძთელის უდაბნოში გაჩენილი ახალი სახელმწიფოს მშენებლობის ამბებს უხსნიდე ბავშვებს, მთაწმინდელი ბერების დაუღალავი თარგმანების ისტორიებს ჰყვებოდე და ეჭვი გეპარებოდეს, რომ ჩვენი ადგილი ყოველთვის იქ იყო, სადაც ცოდნა და განათლება, შრომა და სიმართლე იყო მთავარი ღირებულებები?

ალბათ იმ ზიანის დათვლაც შეუძლებელია, რაც ცუდად ნასწავლ გაკვეთილებს მოაქვს და იმ სიკეთისაც, რაც კარგ მასწავლებლებს შეუძლია მოუტანონ საზოგადოებას - ორივეს მასშტაბი წარმოუდგენლად დიდია. რაც შესაძლებელი მგონია, იმ მარტივი პრინციპის დანერგვაა, რომელიც ერთობ ბანალურად ჟღერს და ყოველდღე შენი თავისთვის მარტივი კითხვების დასმას გულისხმობს:

აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?

რას ვეუბნებით ბავშვებს ისეთს, რაც წლების შემდეგაც ემახსოვრებათ?

რას ვასწავლით ისეთს, რაც რთულ დროს გამოადგებათ?

რა მაგალითს ვაძლევთ, რითაც ჩვენს სიტყვებს ვამყარებთ?

რა არის ის, რისთვისაც ღირს ჩვენი შრომა და გარჯა?

რა გვინდა გაიხსენონ ჩვენ შესახებ ჩვენ თვალწინ გაზრდილმა ბავშვებმა, როცა იმაზე დიდები იქნებიან, ვიდრე ჩვენ ვართ ახლა?

დიანა ანფიმიადი

დიმიტრი ყიფიანის გრამატიკა

დიმიტრი ყიფიანის შესახებ ჩვენს მოსწავლეებს ბევრჯერ უნდა ვუამბოთ – რუსეთის იმპერიის მსხვერპლი, ქართული ენის ღირსებისთვის შეწირული, აკაკის „განთიადის“ მიძღვნის ობიექტი, დიდი ქართველი მამულიშვილი... მოკლედ, დიმიტრი ყიფიანი იმ სახელებს შორისაა, რომელთა ღვაწლის გაცნობა აუცილებელია ჩვენი სასკოლო კურიკულუმის ფარგლებში.

მაგრამ გვითქვამს თუ არა ჩვენი მოსწავლეებისთვის ოდესმე, რომ ეს დიდი კაცი, ამავე დროს, თავისი დროის უდიდესი გრამატიკოსი და ენათმეცნიერი, ქართული ენის უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელოს, გრამატიკის წიგნის ავტორია?

მაშინ, როდესაც ქართული ენის რუსულით ჩანაცვლების პოლიტიკას, ხმამაღლა თუ ჩუმად, აქტიურად გეგმავდა რუსეთის იმპერია, დიმიტრი ყიფიანმა 1882 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოაქვეყნა „ახალი ქართული გრამატიკა“, რომლის გამოცემას ქართული ენისა და ქართული სკოლების დევნის პერიოდში არა მარტო პრაქტიკულ-პედაგოგიური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა.

პოლიტიკური მნიშვნელობის გარდა, შეუფასებელია თავად ამ წიგნის ლინგვისტური პროფილი, ავტორის მეცნიერული ალღო და გააზრების უნარი, თანამედროვე და პროგრესული ხედვა.

„მთელი ეს მასალა, – წერს აკ. შანიძე დიმიტრი ყიფიანის შესახებ, – ძალიან დამახასიათებელია იმდროინდელი ქართ. გრამატიკული აზროვნებისათვის და ააშკარავებს დ. ყიფიანის საღ გრამატიკულ ალღოს ბევრს საკითხებში. დ. ყიფიანს ნათლად აქვს წარმოდგენილი გრამატიკის დანიშნულება. მისი აზრით, ცოცხალ ენას თავზე კი არ ახვევენ კანონებს, არამედ იგი თვით იძლევა კანონებს. მკვლევარის საქმეა გამოარკვიოს ეს კანონები და არ უარყოს იგი“.

დავიწყოთ თავიდან. პირველ რიგში, გულისამაჩუყებელი და ემოციურია წიგნის მიძღვნა. გრამატიკის ეს სახელმძღვანელო ავტორმა მომავალი თაობისთვის დაწერა. „ახალი გრამატიკა – სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისთვის“, – ვკითხულობთ წიგნის სატიტულო გვერდზე.

მეორე, რაც ნებისმიერი საქმის კეთებისას უნდა ვისწავლოთ დიმიტრი ყიფიანისგან, გამოცდილების გაზიარება და გათვალისწინებაა. თავისი გრამატიკის შესავალ ნაწილში ავტორი ჩამოთვლის ქართული გრამატიკული აზროვნების ყველა წარმომადგენელს, ყველა სახელმძღვანელოს, რომელიც მის წიგნამდე დაწერილა. აქვე ამბობს, ეს ყველა წიგნი ან მოძველდა, ან აღარ იშოვება, ამიტომაც გადავწყვიტე ახლის დაწერაო.

„სხარტულად დაწერილი“ – გრამატიკის ამ წიგნის სახასიათო ნიშანია. დღესაც აქტუალურია, როგორ ავხსნათ გრამატიკის რთული საკითხები ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე. ამ მხრივ სავსებით შეიძლება, თანამედროვე სახელმძღვანელოების ავტორებმა დიმიტრი ყიფიანის ხედვა გაიზიარონ და გამოიყენონ კიდეც.

მაგალითად, ასეთი თვალსაჩინო და სახალისო ახსნა აქვს სიტყვის წარმოებას:

„როგორც ერთ ძირ ხეზედ აურიცხველი ტოტი და ფოთოლი იზრდება, სიტყვის ძირიც ისე ბარტყობს და მრავლდება, მაგალითად, „კაცი“ - კაცი, კაცური, კაცობრივი, უკაცო, ბერიკაცი...“

წიგნი სხვა წინამორბედებისგან პრაქტიკული, გასაგები, ცოცხალი ენით გამოირჩევა, კითხვა-პასუხის რეჟიმში განხილული გრამატიკული საკითხები, თვალსაჩინო მაგალითები მას თვისებრივად ახლებურ სახელმძღვანელოდ აქცევს.

ზუსტი და გასაგები დეფინიცია, რომელიც ამა თუ იმ საკითხს მთლიანად მოიცავს, გრამატიკის სახელმძღვანელოს წერისას მთავარი თავსატეხია. ამ კუთხით, დიმიტრი ყიფიანის სხარტი და მოხერხებული განმარტებები აღფრთოვანებასა და გაოცებას იწვევს. ამ წიგნში ყველა წესი თვალსაჩინოებიდან, ენობრივი მასალიდან გამომდინარეა, ყველა წესს თავისი პრაქტიკული არგუმენტი აქვს, აქ არ არის თეორია თეორიისთვის, უფრო პრაქტიკაზე დამყარებული თეორიაა.

რა არის სახელი? განა მშვენიერი განმარტება არაა? –

„ყოველს თვალით დასანახავს ან ფიქრით წარმოსადგენს საგანს უთუოდ სახელი ჰქვია რამე“.

ზმნის ბუნების ეს უზუსტესი ახსნა? –

„ზმნა ყოველი ენისთვის სულია მაცოცხლებელი“.

და ეს შესანიშნავი დასაბუთება ქართულ ენაში სქესის კატეგორიის არარსებობის შესახებ, თანასწორობასა და ქალთა უფლებების დაცვასთან რომ მივყავართ? –

„ქართული გრამატიკისათვის სქესების გარჩევა არას დროს არ არის საჭირო. ქართველები ამას ვადგევართ და ვამბობთ, რომ კაციცა და ქალიც ორივე ადამიანები ვართო და ერთი მეორეზედ უფრო ნარნარი და უფრო სატრფო იყოს, საქმით მეუღლეობას დიაღ, მაგრამ საგრამატიკო ბრუნვასა და მერყეობას რა ხელი აქვსო. ქალი რომ ჩვენი სატრფოა, რომ საფუძველია ამ წუთისოფელში ჩვენის ბედნიერებისა და იმედიანი ბურჯი ჩვენის საოჯახო მყუდროებისა, ეს ძველთაგანვე დამკვიდრებული ხასიათი არის ჩვენი ყოფაცხოვრებისა; – გრამმატიკულად გვემოწმება ამაზედ შემდეგი ჩვეულება: როდესაც ორივე სქესი ერთად იხსენება ლაპარაკში ან წერა-კითხვაში, უსათუოდ ჯერ ქალს ვახსენებთ, მერე კაცსა: – მაგალითად: ქალ-ვაჟი, და-ძმა, დედ-მამა, გოგო-ბიჭი, ცოლ-ქმარი, რძალ-მაზლი... ერთად ერთ შემთხვევაში ვახსენებთ ჯერ მამაკაცსა, მაშინ როდესაც გვირგვინოსნებზე ვლაპარაკობთ: მეფე-დედოფალი“.

დიმიტრი ყიფიანის ეს სახელმძღვანელო ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი გრამატიკის წიგნია, რაც წამიკითხავს. ავტორი კი არ წერს, არამედ ჩვენთან ერთად ფიქრობს, მსჯელობს, გვესაუბრება ჩვენ, თავის შვილებს, და ასეთ ანდერძსაც გვიტოვებს:

„ჩვენი სათქმელი აქ ის არის, რომ, როგორც ახლანდელი მეცნიერება გვიმტკიცებს, მთელს მსოფლიოში უძრავი არა არის რა, არა არის რა გაჩენილი ისეთი, რომ ან წინ არ მიდიოდეს, ან უკან არა რჩებოდეს. ენაც ამგვარ დაუცხრომელ მოძრაობაში არის. თუ წინ მიდის, ქება და დიდება იმის ფაკტორებს, თუ უკან რჩება – ფუ ამათ კაცობას.

რაც განგებას თქვენთვის გზა უჩვენებია, თქმა არ გაბედოთ, ვეღარ ვივლითო, თორემ თუ ერთი შედექით როდისმე, მდგარი წყალი ხომ იცით, დატბორდება და თუ დატბორდა, აყროლდება და ხავსს მოიკიდებს კიდეცა.

ენამაც უნდა იმდინარეოს“...

განათლება მონტესორის მეთოდით: როგორ შევაქოთ და მივცეთ მოტივაცია ბიჭებს?

ირმა კახურაშვილი

რა არის შექების საუკეთესო საშუალება? მშობლების რომელი სიტყვა გაახარებს ბავშვს ყველაზე მეტად? გთავაზობთ ნაწყვეტს პედაგოგების მიკი კანარისა და იოსიო მომოედას წიგნიდან „მონტესორი იაპონურად: ლეგენდარული სისტემა დამოუკიდებელი ბიჭების აღზრდისთვის“.

შეგახსენებთ, რომ მონტესორის მეთოდი პედაგოგიური სისტემაა, რომელიც XX საუკუნის პირველ ნახევარში იტალიელმა მასწავლებელმა და ექიმმა მარია მონტესორიმ შექმნა. ის ეფუძნება ბავშვის თავისუფალ აღზრდას, ბუნებრივ ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ფიზიკურ განვითარებას დიდაქტიკურად მომზადებულ გარემოში. დღეს არ არის აუცილებელი ბავშვების სპეციალურ საბავშვო ბაღში ან სკოლაში შეყვანა, რათა მათ მონტესორის სისტემით ისწავლონ. მშობლებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს ტექნიკა სახლში, პროფესიონალების რეკომენდაციების საფუძველზე.

მიკი კანარი სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღმზრდელია, მონტესორის საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობის ოცწლიანი გამოცდილებით. 2009 წლიდან ის ხელმძღვანელობს WASEDA Frontier-ის საბავშვო ცენტრის ფილიალს, რომელიც კარგად არის ცნობილი მონტესორის საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. ხელმძღვანელობს ასევე ბავშვთა მოვლის ცენტრს Meducare Bambino.

იოსიო მომოედა კი „კიტიძიუძის ბავშვთა სახლში“ მონტესორის საბავშვო ბაღის დირექტორია, მონტესორის ლა პეისის პედაგოგიური სკოლის წარმომადგენელი, მასწავლებელთა მომზადების კურსის ორგანიზატორი და რამდენიმე წიგნის ავტორი.

ფრაზები, რომლებიც ბიჭებს აძლევს მოტივაციას

ხშირად მეკითხებიან: „რა ვუთხრა ჩემს ვაჟს, რომ მეტად იყოს მოტივირებული?“

შეიძლება გაღიზიანებთ, რომ თქვენს შვილს არასდროს უნდა რამის გაკეთება ან რაიმეს დაუდევრად აკეთებს. ამ პრობლემასთან გამკლავება საკმაოდ მარტივია. იმდენად მარტივია, რომ ცოტათი მრცხვენია კიდეც ამის გაზიარება. უბრალოდ, უთხარით თქვენს შვილს რაც შეიძლება ხშირად: „შენ უკვე სულ მთლად დიდი ხარ“, „როგორი მამაცი მყავხარ“.

მე 17 წელი ვიმუშავე სკოლამდელ ბავშვებთან. ახლა ორი ვაჟი მყავს. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ ბიჭებს საკმაოდ მარტივი ხასიათი აქვთ და ამას თავისი დადებითი მხარეც აქვს.

მაგალითად, როგორც კი ეტყვით ბიჭს: „რა მამაცი მყავხარ“, – მას მაშინვე გაუჩნდება რაღაცის გაკეთების სურვილი.

ეს ფრაზები შეიძლება მეტად სასარგებლო გახდეს მაშინაც, როცა თქვენს პატარას ქოთანზე დაჯდომას აჩვევთ. ჩემი შვილი საფენებიდან შორტებზე რომ გადადიოდა, ყოველთვის ასე ვაქებდი: „როგორ გიხდება შორტი! უკვე სულ მთლად დიდი ხარ!“ როდესაც ჩემმა უმცროსმა ვაჟმა ტუალეტში ფეხზე მდგომმა მოშარდვა ისწავლა, ვუთხარი: „ახლა შენ ისეთივე ხარ, როგორიც შენი უფროსი ძმაა. ისეთივე ყოჩაღი!“

უმცროსი ბიჭები უფროსებს ნამდვილი აღტაცებით უყურებენ.

გოგონები მათზე უფროსი ასაკის გოგონების გავლენაზე მეტად, თანატოლი გოგონების გავლენას განიცდიან. ბიჭები, პირიქით, ყოველთვის უყურებენ უფროსებს ბიჭებს ხშირად სურთ, მალე დაემსგავსონ უფროს ძმებს და მეგობრებს. როდესაც იზრდებიან, ბევრი სხვა მწვერვალების დაპყრობას აგრძელებს. შესაძლოა, ეს ერთ-ერთი ის თვისება იყოს, რომელიც მამაკაცებისთვის თანდაყოლილია.

თუ გსურთ შვილის შექება, გამოიყენეთ ეს თავისებურება. ფრაზები, როგორიცაა: „შენ უკვე სულ მთლად დიდი მყავხარ“ ან „შენ ისეთივე ხარ, როგორიც შენი უფროსი ძმა“, – მას დიდ მოტივაციას მისცემს.

საბავშვო ბაღში განათლების ერთ-ერთი უპირატესობა ის არის, რომ თქვენი შვილი მუდმივად უყურებს სხვა, უფროს ბიჭებს. ისინი მისთვის მისაბაძი მაგალითები და განვითარების სტიმულები ხდებიან, ამიტომ კარგია, თუ ბიჭი ბაღში შესვლამდე მასზე უფროსი ბავშვების (ბიჭების) გარემოცვაში აღმოჩნდება.

როგორც აღვნიშნეთ, ბიჭები ბევრად უფრო სწრაფად სწავლობენ ტუალეტში ფეხზე დგომას, როცა ამის შესახებ უფროსი ბავშვებისგან ესმით და არა მშობლებისგან. სხვა ბიჭების მიერ წარმოთქმული სიტყვები მათზე მომაჯადოებლად მოქმედებს. „უფროსი ძმა“ უაღრესად გავლენიანი მისაბაძი მაგალითია ბიჭისთვის.

შეუქეთ გაწეული ძალისხმევა და არა შედეგი

ადამიანები ხშირად ამბობენ სიტყვას „შესანიშნავია“. ჩვენ მას დაუფიქრებლად წარმოვთქვამთ. თუმცა ამ სიტყვით მივუთითებთ ბავშვებს, თუ რას ვგრძნობთ მათი ქმედებების შედეგად.

არაფერია ცუდი იმაში, თუ ბავშვს კარგი შედეგისთვის შევაქებთ. მაგრამ მშობლებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ შვილების ძალისხმევას და იმ პროცესს, რომლითაც ისინი აღწევენ შედეგს.

თუ ყურადღებას აქცევთ მხოლოდ შედეგს, შეაქებთ ბავშვი მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმატებას მიაღწევს. თუ მნიშვნელობას ანიჭებთ ძალისხმევას, რომელსაც თქვენი შვილი დებს ნებისმიერ ქმედებაში, მაშინ ბავშვი ყოველთვის იგრძნობს, რომ აქებთ.

წარმოვიდგინოთ, რომ თქვენი ვაჟი ყველანაირად ცდილობდა, მაგრამ რაღაცას ვერ მიაღწია. თუ ის გრძნობს თქვენს მხარდაჭერას, მაშინ, წყენისა და მწუხარების ნაცვლად, მოუნდება, რომ შემდეგ ჯერზე მეტად ეცადოს. ეს მიდგომა პირდაპირ აისახება თქვენი შვილის მომავალ წარმატებაზე.

სწორედ ამიტომ, როცა თქვენი შვილი წარმატებას მიაღწევს, შეეცადეთ, მხოლოდ მშრალი „შესანიშნავია“ კი არ უთხრათ, არამედ: „რა ყოჩაღი ხარ!“. „ყოჩაღი“ ის სიტყვაა, რომელიც კარგად გადმოსცემს თქვენს ემოციებს. გარდა ამისა, მის მიღმა კიდევ ერთი მნიშვნელობაა: „დავინახე, როგორ ეცადე, რამხელა ძალა დახარჯე“. რაკი იცით, რამხელა რესურსი დახარჯა ბავშვმა, უთხარით, რომ ყოჩაღია. ამ სიტყვით გამოხატავთ თანაგრძნობასაც და იმასაც, რომ კარგად გესმით ბავშვის გრძნობების.

თუ რამე არ გამოუვიდა, უთხარით: „კარგი ცდა იყო“, „შენ ეცადე და ამიტომ ყოჩაღი ხარ“. შეეცადეთ, სიტყვებით გამოხატოთ, რომ დაინახეთ მისი ძალისხმევა და აღიარეთ მისი შრომა.

როდესაც მშობელი ბავშვს აქებს მხოლოდ დადებითი შედეგებისთვის, ბავშვი გრძნობს, რომ ქებას მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს, როცა რაღაცას მიაღწევს, ხოლო დროთა განმავლობაში, მისი დამსახურების მცდელობისას, ის განიცდის დიდ ზეწოლას და სტრესს.

ყოველ ჯერზე, როდესაც ბიჭი უშვებს შეცდომას და ვერ აღწევს კარგ შედეგს, არ იღებს მხარდაჭერას და შექებას, რაც მასში დეპრესიას და სევდას იწვევს. თუ შვილს ეტყვით, რომ მან კარგი საქმე გააკეთა, რომ ის ცდილობდა, ამით ზედმეტი ზეწოლისგან გაათავისუფლებთ.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ არა მარტო ბავშვებს, არამედ უფროსებსაც ყოველთვის არ შეუძლიათ წარმატებას მიაღწიონ. პირიქით, ზრდასრულები უფრო ხშირად განიცდიან წარუმატებლობას, ვიდრე ბავშვები. როდესაც ცხოვრების რთულ მომენტებში თანაგრძნობას ამჟღავნებთ შვილის მიმართ და აქებთ, მას კიდევ ერთხელ ცდის სურვილი უჩნდება. მინდა, ეს აზრი ყველა მშობელს მივაწოდო. არასოდეს დაივიწყოთ, რა გავლენას ახდენს თქვენი სიტყვები თქვენს შვილებზე.

დასასრული იხილეთ www.mastsavlebeli.ge-ზე

ქეთევან კობალაძე

„რთული ბავშვები“ – განსხვავებული შეხედულებები

„რთული ბავშვები“ ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო თემაა. განსაკუთრებულ სირთულეს მათი აღზრდის შესახებ რჩევა-დარიგებების გაცემა და კომენტარების გაკეთება წარმოადგენს. ამიტომაც შევარჩიე ამერიკელი ავტორების ჰენრი კლაუდისა და ჯონ ტაუნსენდის მოსაზრებები აღნიშნულ საკითხზე. მათი წიგნი სათაურით „როგორ აღვზარდოთ პასუხისმგებლობიანი მოზარდი“ ბესტსელერი გახდა და მრავალ ქვეყანაში საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა.

მცირე ინფორმაცია ავტორების შესახებ: ჰენრი კლაუდი ჯონ ტაუნსენდთან ერთად მრავალი ბესტსელერის ავტორია. თანაავტორებმა კალიფორნიაში კლინიკა დაარეგისტრირეს და კერძო პრაქტიკა აქვთ. კლაუდმა კლინიკურ ფსიქოლოგიაში დოქტორის ხარისხი ბიოლის უნივერსიტეტში მიიღო. ტაუნსენდი ფსიქოლოგიას ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში სწავლობდა, თეოლოგიას კი - დალასის თეოლოგიურ სემინარიაში. დოქტორის ხარისხი კლინიკურ ფსიქოლოგიაში მანაც ბიოლის უნივერსიტეტში მიიღო.

ჰენრი კლაუდისა და ჯონ ტაუნსენდის აღზრდის სტრატეგიის ნაწილია, მაშინაც კი შეინარჩუნოთ სიმშვიდე, როდესაც თქვენი შვილი მტრული განწყობით ხვდება მისთვის საზღვრების დაწესების მცდელობას. ამერიკელი ავტორები აღზრდის არსს აღსაზრდელისთვის საზღვრების დაწესებაში ხედავენ. ოჯახური აღზრდა, სხვა ყველაფერთან ერთად, მოიაზრებს სიმშვიდისა და მოთმინების შენარჩუნებას იმ დროსაც კი, როდესაც ბავშვი პირდაპირ ზიზღს გამოხატავს მშობლების მიერ საზღვრების დაწესებისას.

უნდა გვახსოვდეს, რომ ოჯახის წევრებს განსხვავებული მიზნები აქვთ. კერძოდ, ბავშვი ცდილობს, მშობლების მოთმინების უნარი გამოსცადოს და ამით რეალობა გააცნობიეროს, მშობლები კი საკუთარ თავს გამოცდას უწყობენ, როცა ბრაზის, უკმაყოფილების გამოხატვაზე, ისტერიკის მოწყობაზე უარს ამბობენ. ქცევის საზღვრების შემუშავება და დაცვა ძალიან რთულია. მშობლების უმრავლესობა დიდ ძალისხმევას დებს შვილების პირადი საზღვრების დაცვის საქმეში.

ჰენრი კლაუდი და ჯონ ტაუნსენდი „რთული ბავშვებისთვის“ საზღვრების დაწესებაზე გვესაუბრებიან. ბავშვებს სჭირდებათ მშობლები, რომლებმაც კარგად იციან საზღვრების მნიშვნელობა. ამ თემის უკეთ გასააზრებლად, მოდი, განვიხილოთ ასეთი სიტუაცია:

გიორგი „რთული ბავშვია“, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ მასწავლებლები.

ის, ერთი შეხედვით, უმართავი, ადვილად აღგზნებადი, უტიფარი და ახირებულია. მკითხველი დამეთანხმება, რომ საკმაოდ მძიმე დახასიათებაა, მაგრამ მოდი, ვნახოთ, როგორ მოხდა ასეთ „რთულ ბავშვად“ მისი ჩამოყალიბება.

გიორგის მშობლებს, ძალიან რბილ, საყვარელ ადამიანებს, მიაჩნდათ, რომ შვილის აღსაზრდელად დიდი ძალისხმევის გაწევა სულაც არ არის საჭირო. მაგალითად, როდესაც გიორგის სახლში მეგობრები იკრიბებოდნენ, შეეძლოთ, სასტუმრო ოთახში ეთამაშათ კალათბურთი. დედა დიდხანს ითმენდა, მერე ღიმილით მიმართავდა შვილს: „გიორგი, ჩემო კარგო, არ მინდა, გართობა ჩაგიშალო, მაგრამ ხომ არ შეგიძლია, შენს მეგობრებთან ერთად

ბავშვები, წესისამებრ, ძნელად აცნობიერებენ საკუთარი ქცევის არსს. მათ წარმოდგენა არ აქვთ, როგორ მართონ თავიანთი ცხოვრება, რათა მოვლენები სწორი გზით წარიმართოს. ბავშვებს უფროსების დახმარება სჭირდებათ. მშობლების მიზანი უნდა იყოს, უყვარდეთ შვილები და მათი ქცევისა ესმოდეთ.

როდესაც ხართ მშობელი, რომელსაც საკუთარი ქცევის მართებული საზღვრები აქვს დაწესებული, შვილებსაც სწორი ქცევითი საზღვრებით აღზრდით. ოღონდ საჭიროა რეალობის მიღება და საკუთარ თავზე მუშაობა, რათა დაინახოთ და შემდეგ აღმოფხვრათ ის ხარვეზები, რომლებსაც თქვენსავე ქცევით საზღვრებში აღმოაჩენთ.

სხვაგან ითამაშო?“ ბიჭი ერთს შეუღრენდა დედას და თამაში გრძელდებოდა. ცოტა ხანში გამოჩნდებოდა გიორგის მამა და იწყებდა ყვირილს: „ჰეი, ბავშვებო, რამდენჯერ უნდა გავიმეორო, რომ ამ ოთახში თამაში შეწყვიტოთ?!“ ბავშვები ზემო სართულზე ადიოდნენ და იქ განაგრძობდნენ კალათბურთის ილეთების დამუშავებას, რაც კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აყენებდა ქვემოთ დარჩენილ მშობლებს. მოკლედ, ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც სახლი ეკუთვნის ბავშვს და არა მთელ ოჯახს.

ეს შემთხვევა შეიძლება განვიხილოთ როგორც „რთული ბავშვების“ ჩამოყალიბების მაგალითი.

სწორი ღირებულებითი სისტემისა და მართებული საზღვრების მქონე ბავშვები ციდან არ ცვივიან. ის გარემოება, რომ ადამიანების უმრავლესობა მცირე ასაკიდანვე აპროტესტებს შეზღუდვებს, აკრძალვებს, ზოგ მოზარდს მომავალში ეხმარება პირადი საზღვრების დაწესებაში, ზოგს კი, პირიქით, ხელს უშლის. ფსიქოლოგების ნაწილს მიაჩნია, რომ ზრდასრულ ასაკში არაკონტროლირებული ქცევა ბავშვობაში მშობლების მხრივ შვილებისადმი არასწორი დამოკიდებულების შედეგია.

ამერიკელი ფსიქოლოგების აზრით, „რთული ბავშვების“ არსებობას განაპირობებს შემდეგი გარემოება: ის, თუ რას წარმოადგენს თითოეული ჩვენგანი დღეს, ორი ძალის მოქმედების შედეგია - ჩვენი გარემოცვისა და ჩვენი რეაქციებისა მის ზემოქმედებაზე. აღზრდა, ადამიანებთან ურთიერთობა, გარემო და სოციუმის შეფასება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხასიათის ფორმირებაზე. საბოლოო ჯამში, ამით განისაზღვრება, როგორ პიროვნებას მივიღებთ ზრდასრულ ასაკში.

ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათ მიზანს არ წარმოადგენს, მშობლებს დანაშაულის განცდა გაუჩინონ. ბავშვს შესაძლოა გარკვეული სირთულეები ჰქონდეს საზღვრების დაწესებისას. ზოგჯერ პრობლემები მისთვის პასუხისმგებლობისა და კეთილსინდისიერების გრძნობის გამომუშავების დროსაც იჩენს თავს. ბავშვის აღზრდის დროს უმთავრესია, მშობლებს თავად ჰქონდეთ საზოგადოებრივად მისაღები ქცევის საზღვრები.

ბავშვები რეაგირებენ მშობლების აღზრდის მეთოდებზე. მოდი, ზემოთ ნახსენები გიორგის ქცევის მაგალითზე ვთქვათ, რომ მას ჰქონდა პრობლემები,

რომლებიც აუცილებლად მოსაგვარებელი იყო. აქვე აღსანიშნავია, რომ ბავშვის ქცევის ინტერპრეტირების დროს გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: ქცევის ასახსნელად ყურადღება უნდა მიექცეს უფროსების ქცევას და მათ მოტივებს, მოთხოვნილებათა სისტემას, ხასიათს და იმ გარემოებებს, რომლებშიც მათ უწევთ ცხოვრება.

გიორგის ქცევებს თუ მივუბრუნდებით, გავიხსენებთ, რომ ის უპატივცემულოდ ექცეოდა მშობლებს, არ რეაგირებდა მათ შენიშვნებზე, ანუ ძალიან ჯიუტი და დაუმორჩილებელი ბავშვი იყო. გიორგის ქცევას რამდენიმე მხრიდან უნდა შევხედოთ. შეგვიძლია, იმპულსურობა, ეგოცენტრულობა და შენიშვნების მიუღებლობა ასაკობრივ თავისებურებებს დავაბრალოთ, მაგრამ ამ ხედვაში არ იქნება გათვალისწინებული მშობლების გავლენა ბავშვის ქცევაზე. გიორგი მათ მითითებებზე რეაგირებდა ზუსტად იმ დოზით, რის უფლებასაც თავად მშობლები აძლევდნენ. ბავშვმა იცოდა, რომ დედას არ ჰქონდა იმდენი ძალა, რამე შეეცვალა, თანაც ძალიან ეშინოდა კონფლიქტების. გიორგიც ძალიან კარგად სარგებლობდა მშობლის სისუსტით. რაც შეეხება მამას, მას შეეძლო ეჩხუბა, ეყვირა და განრისხებულიყო, მაგრამ სანამ მისი ემოციები ასეთ პიკს მიაღწევდა, შვილს საკმაო დრო ჰქონდა ნებისმიერი ხუშტურის ასასრულებლად. ამაზე უარესი კი ის იყო, რომ მამის ბრაზისთვისაც ყურადღება არ მიექცია და სხვაგან კიდევ უფრო უარესად მოქცეულიყო, რადგან იმ ტერიტორიაზე მშობელი მისი საქციელით აღარ დაინტერესდებოდა. მამისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ თავისი ფუნქცია შეასრულა, როდესაც იჩხუბა, იყვირა და ჩათვალა, რომ შვილს მისი ადგილი მიუჩინა.

ბავშვები, წესისამებრ, ძნელად აცნობიერებენ საკუთარი ქცევის არსს. მათ წარმოდგენა არ აქვთ, როგორ მართონ თავიანთი ცხოვრება, რათა მოვლენები სწორი გზით წარიმართოს. ბავშვებს უფროსების დახმარება სჭირდებათ. მშობლების მიზანი უნდა იყოს, უყვარდეთ შვილები და მათი ქცევისა ესმოდეთ. ზრდასრულებმა გზის გამკვლევის როლი უნდა შეასრულონ, რათა შვილებს მომავალში სრულფასოვანი ცხოვრების საშუალება ჰქონდეთ. მსგავსი მიდგომა ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს, მიაღწიონ მშობლების პიროვნული განვითარების დონეს, მაგრამ უფრო მეტის მისაღწევად საჭირო უნარ-ჩვევები არ გააჩნიათ. მშობლების მოვალეობაა, შვილებს პასუხისმგებლობა ასწავლონ. ბავშვებს არც ბუნებით ბოძებული თვითგანვითარების უნარი აქვთ. მათ მხოლოდ შეგუება და ადეკვატური რეაქციების გამოხატვა შეუძლიათ.

ამერიკელი ავტორების აზრით, სამყაროს მოწყობაზე პირველი და ყველაზე ფუნდამენტური წარმოდგენა სახლში იქმნება – იქ, სადაც ყალიბდება წარმოდგენები რეალობის, სიყვარულის, პასუხისმგებლობის გრძნობის, არჩევანისა და თავისუფლების შესახებ. თუ მშობლები შვილების მიმართ მზრუნველობასა და პასუხისმგებლობას იჩენენ, ბავშვები წარმატებით გადადიან ქცევის შინაგანი საზღვრებიდან გარე სამყაროს მიერ დაწესებული საზღვრების შემეცნებაზე. ბავშვობის ასაკში ტკივილის განცდისგან შვილების უპირობო დაცვა შემდგომში მოზარდებს აქცევს უსუსურ ადამიანებად, რომლებსაც სირთულეებთან გამკლავება არ შეეძლებათ. პრობლემურ სიტუაციაში აღმოჩენილი შვილების მშობლები საკუთარ თავს ეკითხებიან: „რატომ იქცევა ასე ცუდად ჩემი შვილი?“ – მაგრამ უკეთესი იქნება, თუ კითხვას ამგვარად დასვამენ: „რა ბრალი მიმიძღვის მე ჩემი შვილის არასწორი ქცევის ჩამოყალიბებაში?“ ამ კითხვაზე პასუხის ძებნა არცთუ სასიამოვნოა, რადგან ის „საკუთარ თვალში დირეს ძებნას“ ჰგავს. სამაგიეროდ, ამ მტკივნეულ პროცესს კეთილი ნაყოფი გამოაქვს, რადგან საბოლოო ჯამში მშობელი თავს ანებებს შვილის უზომო კონტროლს და შეუძლია, შვილისადმი საკუთარი დამოკიდებულება აკონტროლოს.

ამრიგად, როდესაც ხართ მშობელი, რომელსაც საკუთარი ქცევის მართებული საზღვრები აქვს დაწესებული, შვილებსაც სწორი ქცევითი საზღვრებით აღზრდით. ოღონდ საჭიროა რეალობის მიღება და საკუთარ თავზე მუშაობა, რათა დაინახოთ და შემდეგ აღმოფხვრათ ის ხარვეზები, რომლებსაც თქვენსავე ქცევით საზღვრებში აღმოაჩენთ.

ლელა კოტორაშვილი

დღის ჩანაწერი წერის სწავლებისთვის

დღის ჩანაწერი წერის სწავლების ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდად იქცა და ბავშვები უფრო ვრცელი წერილობითი ტექსტების წერისკენ სიხარულით მიჰყავს.

წერის სწავლება რთული პროცესია, თუმცა, ჩემს პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაკვირვებით, არ მყოლია მოსწავლე, რომელსაც აზრის წერილობით ჩამოყალიბება არ შესძლებოდეს. ეს იმედით მავსებს და გამუდმებით ვცდილობ, დაწყებითი საფეხურიდანვე მრავალფეროვანი ინსტრუქციები შევთავაზო ბავშვებს. ერთ-ერთი წერითი დავალება, რომელიც მათ მთელი გულით შეიყვარეს, დღის ჩანაწერებია.

ნებისმიერი ფორმის წერილობითი აქტივობის შესრულებისას თანმიმდევრულად ვიმეორებ რამდენიმე ეტაპს, კერძოდ:

1. ინსტრუქციის მკაფიო განმარტება;
2. მოდელირება – ინსტრუქციის მიხედვით მათ თვალწინ, ზოგჯერ კი წინასწარ, თავად ვწერ დავალებას და ხმამაღლა ვუკითხავ;
3. შემდეგ თავად წერენ და საკუთარ ნაშრომს კლასის წინაშე კითხულობენ;
4. ყურადღებიან მოსმენაში მოკლე ჩანაწერები მეხმარება – დღიურში ვინიშნავ საკვანძო სიტყვებს, რომელთა შესახებ განმავითარებელ კომენტარს ხმამაღლა ვამბობ და სახალისო ვიქტორინასაც ვთავაზობ;
5. თითოეული მოსწავლის ნაშრომში ყოველთვის მოიძებნება ისეთი აზრი, წინადადება ან სიტყვა, რომელიც აღნიშვნასა და წახალისებას იმსახურებს;
6. რედაქტირება – ორთოგრაფიასა და პუნქტუაციაზე მუშაობაც სახალისო და შედეგიანია, თუ ის ზემოთ აღწერილი პროცესის ნაწილად იქცევა;
7. კლასში მუშაობის შემდეგ საშინაო დავალების შესრულების – ინსტრუქციისთვის დამოუკიდებლად თავის გართმევის – დრო დგება;
8. საშინაო დავალებას ზოგჯერ ხმამაღლა კითხულობენ კლასში, ზოგჯერ კი მათ რვეულებს ვაგროვებ და ნაშრომის ქვეშ განმავითარებელ კომენტარებს ვუტოვებ. ამგვარი წერილობითი თუ სიტყვიერი მიმოცვლის უწყვეტი პროცესით წერის სწავლების ახალ ეტაპზე გადავდივართ. ხშირად ჩემ მიერ დაწერილი განმავითარებელი კომენტარები დღის ჩანაწერებად გადაიქცევა ხოლმე.
9. დროდადრო მოსწავლეების წერილობით ნამუშევრებს ბლოგზე ვაქვეყნებ, რაც მათ მოტივაციას მატებს. ბოლო დროს კი უფროსკლასელებსა და უმცროსკლასელებს ერთმანეთის საშინაო დავალებების წაკითხვისა და კომენტარების დაწერის საშუალებას ვაძლევ.

ყოველდღიური მუშაობა გარკვეული ხნის შემდეგ შესანიშნავ შედეგს იძლევა. ინსტრუქციის გაგება-შესრულებაშიც იწაფებიან და თავადაც უჩნდებათ კლასელებისთვის წერილობითი დავალებების მოფიქრების სურვილი.

დღის ჩანაწერის დადებითი მხარეები

ბავშვებისთვის სასიამოვნოა საკუთარ გამოცდილებაზე, ემოციებსა და დაკვირვებებზე წერა. ამგვარად მასწავლებლებს მათი შინაგანი სამყაროსა და ფიქრების გაცნობა შეგვიძლია. ხშირად ისეთ დეტალებს ტოვებენ წინადადებებს მიღმა, რომლებიც გვაფხიზლებს, ქმედებისკენ გვიბიძ-

გებს. მათ სამყაროს კიდევ უფრო ვუახლოვდებით. დღის ჩანაწერთან ერთად იზრდებიან და ეს არაჩვეულებრივი საშუალებაა დაკვირვებისთვის, მაგალითად, თანდათან იყენებენ მხატვრულ ხერხებს, პარალელებს ავლებენ წიგნებსა და ფილმებთან. დღის ჩანაწერით სამყაროზე დაკვირვებას ეჩვევიან და ესთეტიკური აღქმაც უფაქიზდებათ.

ინსტრუქცია

პირველ ხანებში ხშირად ამბობენ, რა დავწეროთ, არ ვიცითო, ამიტომ ინსტრუქციას ვაძლევ, მაგალითად:

1. რას ვხედავ?
2. რას ვგრძნობ?
3. რა მესმის?
4. რას ვფიქრობ?
5. გაიხსენე დღის ერთი ამბავი.
6. დასვი ერთი კითხვა.

თავდაპირველად დღის ჩანაწერს ამ ქარგის მიხედვით ვწერთ, მერე და მერე კი დაწვრილებითი მითითებები აღარ სჭირდებათ. თუკი ქარგას დავაკვირდებით, ადვილი ამოსაცნობია ჩემი მასწავლებლური ჩანაფიქრი, კერძოდ, ხედვა, შეგრძნება, სმენა, ფიქრი – ამ ყველაფერზე წერა მათ საკუთარი სივრცის აღქმას ასწავლის.

დღის ამბის გამოკვეთაც, ერთი შეხედვით, მარტივია, მაგრამ თავდაპირველად ძალიან უჭირთ. ამბობენ, რომ არაფერი მომხდარა. არადა, ყოველდღიურობა, ჩვეულებრივ დღეებს რომ ვეძახით, სავსეა ამბებით.

კითხვის დასმა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი უნარია. დღის ჩანაწერში ეს პუნქტი წიგნ „გედის საყვირის“ გამო გაჩნდა. სემ ბივერი, მთავარი პერსონაჟი ბიჭი, დღიურს წერს და ყოველი ჩანაწერის ბოლოს კითხვებს სვამს. კითხვის დასმით ბავშვის ცნობისმოყვარეობას გავააქტიურებთ და სააზროვნო უნარების განვითარებაში დავეხმარებით.

მეტი სიცხადისთვის დავიმოწმებ ერთ-ერთ გაკვეთილზე მოდელირებისთვის დაწერილ ჩემს დღის ჩანაწერს:

„ცაზე ვარსკვლავებია, ჰაერში – სუსხი. ზამთრის პირმა მოატანა. აცივდა. დღეს ჩემი ძმის საყვა-

წერის სწავლება რთული პროცესია, თუმცა, ჩემს პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაკვირვებით, არ მყოლია მოსწავლე, რომელსაც აზრის წერილობით ჩამოყალიბება არ შესძლებოდეს. ეს იმედით მავსებს და გამუდმებით ვცდილობ, დაწყებითი საფეხურიდანვე მრავალფეროვანი ინსტრუქციები შევთავაზო ბავშვებს. ერთ-ერთი წერითი დავალება, რომელიც მათ მთელი გულით შეიყვარეს, დღის ჩანაწერებია.

რელ მუსიკას ვუსმენდი. ზუსტად იმ დროს, როცა მე ზურაზე ვფიქრობდი, ფანჯარასთან თეთრი მტრედი მოფრინდა. ვიფიქრე, რომ ზურა მოვიდა. ამ ბოლო დროს ვფიქრობ, ადამიანების სულები პეპლებად და ჩიტებად ხომ არ გვევლინებიან.

ვგრძნობ, რომ მისმენთ და მიხარია. ვხედავ კომპიუტერის ეკრანზე აფერადებულ ფარდას, რომელსაც მე და ჩემი შვილები რაჭაში ნაჭრის საღებავებით წელიწად-ნახევარი ვხატავდით. ასე რომ, ჩემ უკან ამბავი კიდია. ამბავს ვხედავ.

რატომ არის ფიფქი მსუბუქი?“

შესაძლოა, დღის ჩანაწერის ქარგა პერიოდულად განახლდეს, მაგალითად, დავწეროთ, როგორი ამინდია, რა გაგვიხარდა ყველაზე მეტად, რა გვეწყინა, ვინ გვენატრება, რას ვკითხულობთ და ვუყურებთ...

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ავუხსნათ, რომ აუცილებელი არ არის, ყველა კითხვას უპასუხონ ან თანმიმდევრობა დაიცვან. დღის ჩანაწერის ქარგა წერის დროს ჩვენი ფიქრების მამოძრავებელ ძალად უნდა იქცეს. მან არ უნდა შეგვაფერხოს. ასევე, ზოგჯერ ვწერთ პერსონაჟის დღის ჩანაწერებს, რაც სიუჟეტის გააზრებასა თუ პერსონაჟის ხასიათზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმაში გვეხმარება. ისტორიული გმირების დღის ჩანაწერებიც დაგვიწერია, მაგალითად, მეოთხეკლასელებმა სამასი არაგველის დღის ჩანაწერები დაწერეს.

გიზიარებთ ბლოგზე გამოქვეყნებულ დღის ჩანაწერებს, რომელთა ავტორებიც მეოთხეკლასელები არიან.

https://shorturl.at/bexV2

ეს დავალება ჩემთვისაც დაუვიწყარი აღმოჩნდა. მახსოვს, თითოეულის ჩანაწერიდან სახალისო ვიქტორინისთვის რა ჩავინიშნე. 10 წლის გოგო-ბიჭებმა ყოველდღიურობა გულწრფელად და მრავალფეროვნად წარმოაჩინეს. ტყუპების – დათოსა და თაკოს – სახლში დედა ნამცხვარს აცხობს; ნიკოლოზი პატარა ძმას ეთამაშება და სიხარულისგან გავგიჟდიო, წერს; ცოტნე გამათბობელზე ჩამოსკუპებულ ღუნღულა მტრედს აკვირდება; ბარბარე ლიტერატურულ კაფესა და დაბადების დღეს ელოდება; დათუნა მამას საშაურმეში მიჰყავს; გაბრიელი მეგობრის შესახებ წერს, ისეთი თვალებით მიყურებს, ვიცი, მატყუებსო; ანდრია „ჰარი პოტერს“ კითხულობს და თვითმფრინავის გრძელ კვამლს ხედავს; თვითმფრინავი კიდევ ერთი ნიკოლოზის ჩანაწერშიც გაიელვებს; სოფო წიქარას წიგნზე ოცნებობს; სალომე რაღაცას ძერწავს, ჯერ არ გეტყვით, ხვალ გაჩვენებთო, და დაფაზე ახლაც გვაქვს გაკრული მისი გამოძერწილი ლოკოკინა, რომელსაც იაკობ გოგებაშვილის საინფორმაციო ტექსტში ორაგულები შავ ზღვაში თქვლეფენ; ნუცა მუსლიტერატურის მასწავლებელს მოწიწებით უსმენს; დაჩი ხაშურში მიდის და საღამოს ძაღლთან ერთად მთვარეს უყურებს; დემეტრე ცხრა ძმის მონუმენტის სანახავად მარაბდაში მიჰყავთ; ლიზის მამა და დაიკო ოლიმპიადაზე საუბრობენ; გოგა სალიტაზე დარდობს, რატომ არ დადის სკოლაშიო; თამარი უფროს ძმებზე წერს, ბრდღვიალა თვალებით მიყურებენო; საბა აზრებს ემშვიდობება; მეორე საბას დავალება არ აქვს და სანამ სხვები კითხულობენ, კლასის ამბებს დღის ჩანაწერში აღწერს.

ამგვარად, დღის ჩანაწერი წერის სწავლების ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდად იქცა და ბავშვები უფრო ვრცელი წერილობითი ტექსტების წერისკენ სიხარულით მიჰყავს.

თემურ სუყაშვილი

რესურსები არაძალადობრივ ქმედებებსა და მშვიდობის სწავლებაზე

პროტესტის მშვიდობიანი ფორმები დასაბამს უძველესი დროიდან იღებს. ძველ რომში ძვ. წ. 494 წელს დაიწყო დაბალი სოციალური ფენის, პლებეების, გამოსვლები, რომლებიც რომის სამეფოს მაშინდელ სოციალურ სტრუქტურას აპროტესტებდნენ. როგორც ცნობილია, პროტესტი 287 წლამდე გაგრძელდა და სისტემის ცვლილებით დასრულდა.

სუფრაჟისტები, როზა პარკსი, მარტინ ლუთერ კინგის ისტორიული სიტყვა და მარში ვაშინგტონისკენ, მაჰათმა განდი და მისი მშვიდობიანი ბრძოლა ბრიტანეთის იმპერიისგან თავის დასაღწევად – ეს ყველაფერი ჩვენი მოსწავლეებისთვის შთაგონების წყაროა.

სასკოლო განათლების (ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები) ერთ-ერთი მიზანია, აღზარდოს მოქალაქე, რომელსაც შეუძლია საკუთარი და სხვათა უფლებების დაცვა ყველა კანონიერი საშუალებით. ამდენად, არაძალადობრივი საპროტესტო ქმედებების შესახებ ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით – საქართველოში, რომელიც ჯერ კიდევ დემოკრატიზაციის პროცესშია და სადაც მყარი ინსტიტუტების მშენებლობა ჯერ არ დასრულებულა.

სტატიაში მიმოვიხილავ რამდენიმე ვებგვერდს, რომლებზეც თავმოყრილია მრავალფეროვანი რესურსები პროტესტის არაძალადობრივ ფორმებსა და მშვიდობის მშენებლობაზე. მასწავლებლების მიერ მათი დამუშავება, აღსაზრდელთა საჭიროებებზე მორგება და მოსწავლეებამდე მიტანა ხელს შეუწყობს ცნობიერების ამაღლებას წინააღმდეგობის სხვადასხვა ფორმის შესახებ.

მასწავლებლები ყოველთვის განვიცდით ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი რესურსების სიმწირეს. არაძალადობრივი კონფლიქტების საერთაშორისო ცენტრი (ICNC) გვთავაზობს ქართულად თარგმნილ მულტიმედია რესურსებს. ორგანიზაციის რესურსებიდან აღსანიშნავია დოკუმენტური ფილმი „დიქტატორის ჩამოგდება“ და საკითხავი მასალა „სამოქალაქო წინააღმდეგობის სამი ძირითადი პრინციპი: ერთიანობა, დაგეგმვა, დისციპლინა“.

ვებგვერდზე ასევე ხელმისაწვდომია დოკუმენტური ფილმი „ყველა იარაღზე უფრო ძლიერი“ (ქართული სუბტიტრებით). ფილმის პირველ ეპიზოდებში მოთხრობილია მაჰათმა განდის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია, მეთოდები და წარმატების საიდუმლო. ასევე ნაჩვენებია, როგორ გამოიყენეს განდის მეთოდები ფერადკანიანთა კოლეჯის სტუდენტებმა 1960 წელს აშშ-ის ქალაქ ნეშვილში დისკრიმინაციისა და რასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ. მეორე ეპიზოდი ეთმობა 1980 წელს პოლონეთში კომუნისტური რეჟიმის და 1983 წელს ჩილეში სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ დაწყებულ არაძალადობრივ საპროტესტო მოძრაობებს. შედეგად, პოლონელმა ერმა თავი დააღწია კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა კავშირისგან ხელდასხმულ მთავრობას, ხოლო ჩილემ – აუგუსტო პინოჩეტის დიქტატურას.

ქართული რეალობიდან აღსანიშნავია გუდიაშვილის მოედნის გადასარჩენად დაწყებული მრავალწლიანი ბრძოლა, რომელსაც სათავეში „ტფილისის ჰამქარი“ ედგა. ორგანიზატორებმა პროტესტის მშვიდობიანი ფორმების გამოყენებით, კარგად დაგეგმილი მედიაკამპანიით შემოიკრიბეს თანამოაზრეთა დიდი არმია

სასკოლო განათლების ერთ-ერთი მიზანია, აღზარდოს მოქალაქე, რომელსაც შეუძლია საკუთარი და სხვათა უფლებების დაცვა ყველა კანონიერი საშუალებით. ამდენად, არაძალადობრივი საპროტესტო ქმედებების შესახებ ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით – საქართველოში, რომელიც ჯერ კიდევ დემოკრატიზაციის პროცესშია და სადაც მყარი ინსტიტუტების მშენებლობა ჯერ არ დასრულებულა.

სუფრაჟისტები, როზა პარკსი, მარტინ ლუთერ კინგის ისტორიული სიტყვა და მარში ვაშინგტონისკენ, მაჰათმა განდი და მისი მშვიდობიანი ბრძოლა ბრიტანეთის იმპერიისგან თავის დასაღწევად – ეს ყველაფერი ჩვენი მოსწავლეებისთვის შთაგონების წყაროა.

და დანგრევას გადაარჩინეს თბილისის ერთ-ერთი უძველესი მოედანი. ის გარდაიქმნა საჯარო სივრცედ, სადაც იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები: პრეზენტაციები, კონცერტები, ფესტივალები და ა.შ.

ვრცლად იხილეთ:
https://shorturl.at/hxFIY

ქართულ რეალობაში კიდევ ერთი წარმატებული კამპანიაა მშვიდობიანი მოძრაობა ვაკის პარკის გადასარჩენად. მისი წარმატება განაპირობა სწორად წამოყენებულმა მოთხოვნებმა, პროტესტის მშვიდობიანი ფორმების (პეტიცია, აქციები, კარვების გაშლა და ა.შ.) გამოყენებამ, საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებამ და ა.შ.

ვრცლად იხილეთ:
https://shorturl.at/hjp27

ფასეული რესურსების კიდევ ერთი საბადოა გლობალური მოძრაობა „მსოფლიო ომის მიღმა – World BEYOND War". მის ვებგვერდზე განთავსებულია ყველა სახის ინგლისურენოვანი მულტიმედია რესურსი. ორგანიზაცია გვთავაზობს ფილმების, ვიდეოების, სტატიების ფართო არჩევანს, რომლებშიც ნაჩვენებია ომის სისასტიკე, გავლენა საზოგადოებაზე, ცალკეულ ადამიანებზე და, საზოგადოდ, მსოფლიოზე. შესაძლებელია სამოქალაქო განათლების/გეოგრაფიის/ისტორიის ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება ინგლისური ენის მასწავლებელთან ერთად.

იმედი მაქვს, შემოთავაზებულ რესურსებს სასარგებლოდ მიიჩნევთ და გამოიყენებთ. ჩვენი როლი განსაკუთრებულია წინააღმდეგობის სწორი ფორმებისა და მიდგომების შესახებ მომავალი თაობებისთვის ინფორმირებაში.

ქეთევან ოსიაშვილი

უმცროსკლასელთა სწავლაში ჩამორჩენის მიზეზები და მათი დაძლევის გზები

მოსწავლის ჩამორჩენა, დაბალი აკადემიური მოსწრება ყოველთვის იყო სკოლების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა. შეიძლება ითქვას, რომ ის დღესაც ყველაზე მტკივნეული თემაა ნებისმიერი სკოლისთვის. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ თუ აღნიშნული პრობლემა დროულად არ მოგვარდა, შეიძლება, უამრავ სხვა პრობლემას დაუდოს სათავე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებით კლასებში მუშაობა, რათა მან ქრონიკული სახე არ მიიღოს, დაუძლეველ სირთულედ არ იქცეს და დამანგრეველი ეფექტი არ ჰქონდეს ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში. ამ შემთხვევაში სკოლის მიზანი შესაძლოა მიუღწეველი დარჩეს, რადგან, განათლების მოქმედი კანონის მიხედვით, ეს მიზანი მხოლოდ ბავშვისთვის ცოდნის გადაცემა კი არ არის, არამედ მისი პიროვნების ფორმირების სწორად წარმართვა, განსაზღვრული უნარ-ჩვევებისა და განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაცაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ ნებისმიერ პრობლემაზე, მათ შორის – სწავლაში ჩამორჩენაზე მუშაობას და მის დაძლევაზე ზრუნვას სასკოლო ცხოვრების დასაწყისშივე შევუდგებით. ერთი მხრივ, დაწყებით კლასებში სწავლაში ჩამორჩენის პრობლემა საწყის ეტაპზეა და მისი დაძლევა გაცილებით იოლია, მეორე მხრივ, უმცროსკლასელებთან უფროსის, განსაკუთრებით – პედაგოგის, ავტორიტეტი იმდენად დიდია, რომ მისი ქმედება კრიტიკას არ ექვემდებარება, რაც ასევე აიოლებს პრობლემის მოგვარებას.

ცნობილია, რომ პრობლემა ვერ მოგვარდება, თუ მისი გამომწვევი მიზეზები არ იქნა დაძლეული. გამონაკლისს ამ მხრივ არც სწავლაში ჩამორჩენა წარმოადგენს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დაბალი აკადემიური მოსწრების გამომწვევი ფაქტორები სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე შეიძლება სხვადასხვა და სპეციფიკური იყოს. ამდენად, თუ გვინდა, დავძლიოთ სწავლაში ჩამორჩენის პრობლემა, უნდა გამოვკვეთოთ ის მიზეზები, რომლებიც განვითარების კონკრეტულ ეტაპზე აღნიშნულ პრობლემას განაპირობებს.

უმცროსკლასელთა სწავლაში ჩამორჩენის ძირითადი მიზეზები

- დაწყებით კლასებში სწავლაში ჩამორჩენის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ, მნიშვნელოვან და საყურადღებო მიზეზს სკოლაში მისვლის მომენტისთვის ბავშვის სასკოლო მზაობის, კერძოდ, ინტელექტუალური მზაობის არასათანადო დონე წარმოადგენს. სასკოლო სწავლება საკმაოდ სერიოზული დატვირთვაა ექვსი წლის ბავშვისთვის და თუ აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, რამაც მისი სასწავლო წარმატება უნდა უზრუნველყოს, არ ექნება სათანადოდ განვითარებული, მალე სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. ვითარებას ხშირად ართულებს მშობლების დამოკიდებულება სასკოლო სწავლების დაწყების ასაკის მიმართ. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ერთი-ორი თვის გამო მთელი წლის დაკარგვა არ ღირს და ყველაფერს აკეთებს, რათა მისმა ხუთი წლის შვილმა

სწავლაში ჩამორჩენილ ბავშვთან მუშაობა ხანგრძლივი, შრომატევადი პროცესია და მისი წარმატებით დასრულება დამოკიდებულია როგორც მასწავლებლის მოთმინებასა და შეუპოვრობაზე, ისე მშობლების დახმარებაზეც, მაგრამ მთავარი მაინც თავად მოსწავლის სურვილია.

მეტყველება ერთ-ერთი ცენტრალური, უმნიშვნელოვანესი ფსიქიკური ფუნქციაა. ის უდიდეს გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკური პროცესების ჩამოყალიბებასა და გონებრივ განვითარებაზე. აზროვნების განვითარება დიდწილად მეტყველების განვითარებაზეა დამოკიდებული.

სწავლა დაიწყოს. გასათვალისწინებელია, რომ 5-დან 6 წლამდე ბავშვის განვითარებაში ცვლილებები ყოველდღიურად და ყოველკვირეულად ხდება, სხვა ასაკობრივ საფეხურებზე კი ამგვარ ცვლილებებს შესაძლოა თვეები და წლებიც კი დასჭირდეს. ამდენად, სკოლაში ნაადრევად შეყვანა შესაძლოა სერიოზული ზიანის მომტანი აღმოჩნდეს ბავშვისთვის, უფროსები კი ისეთი პრობლემების წინაშე დაგვაყენოს, რომლებსაც ადვილად ვერ გავუმკლავდებით.

- დაწყებით კლასებში სწავლაში ჩამორჩენილ, წარუმატებელ მოსწავლეებს შორის ხშირად გვხვდებიან მეტყველების დარღვევების მქონე ბავშვები. მეტყველება ერთ-ერთი ცენტრალური, უმნიშვნელოვანესი ფსიქიკური ფუნქციაა. ის უდიდეს გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკური პროცესების ჩამოყალიბებასა და გონებრივ განვითარებაზე. აზროვნების განვითარება დიდწილად მეტყველების განვითარებაზეა დამოკიდებული. მეტყველება განვითარების ყველა ეტაპზე დიდ როლს ასრულებს ბავშვის ქცევისა და საქმიანობის რეგულაციაში. სწორედ ზეპირი და წერითი მეტყველების დახმარებით მოუწევს მას ცოდნის მთელი სისტემის ათვისება. ამდენად, მეტყველების არასათანადო განვითარება შეიძლება სწავლაში ჩამორჩენის ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზად იქცეს. სამწუხაროდ, ერთი მხრივ, მშობლების დაკავებულობამ და შვილებთან მეტყველებითი კომუნიკაციის ნაკლებობამ, მეორე მხრივ კი კომპიუტერულ ტექნიკაზე ბავშვების მიჯაჭვულობამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა მათი მეტყველების განვითარებას, რაც უკვე აისახა უარყოფითად სასწავლო პროცესზე.
- უმცროს სასკოლო ასაკში სწავლაში ჩამორჩენის მიზეზად შეიძლება იქცეს ფიზიკური განვითარების პრობლემები. სასკოლო სწავლება სერიოზული დატვირთვაა ბავშვის არა მხოლოდ ფსიქიკისთვის, არამედ სხეულისთვისაც. ფსიქოფიზიკური ჯანმრთელობა სწავლაში წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. თუ ბავშვი არასათანადო ფიზიკური განვითარებისა და დაქვეითებული იმუნიტეტის გამო ხშირად ავადმყოფობს, აცდენს გაკვეთილებს, დიდი ალბათობით, სწავლა გაუჭრდება.
- ბავშვის სწავლაში ჩამორჩენისა და დაბალი აკადემიური მოსწრების ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია სასწავლო საქმიანობისადმი დადებითი, მდგრადი მოტივაციის ნაკლებობა. მოტივაციური სფეროს ჩამოუყალიბებლობა უარყოფით გავლენას ახდენს ცოდნის ათვისების უნარსა და სასწავლო საქმიანობაში ბავშვის წარმატებაზე. სკოლამდელი პერიოდის დასასრულს და სასკოლო სწავლების დასაწყისში ბავშვს, წესისამებრ, უძლიერდება შემეცნებითი ინტერესი, სწავლის სურვი-

ლი და მოუთმენლად ელის სწავლის დაწყებას, თუმცა, უკვე სკოლაში მოსული, არცთუ იშვიათად ინტერესს კარგავს სასწავლო საქმიანობის მიმართ, მისი მოლოდინი არ ემთხვევა რეალობას, ბავშვი განიხიბლება და შესაძლოა, გააპროტესტოს კიდეც სკოლაში სიარული. ინტერესის დაკარგვის მიზეზად შესაძლოა იქცეს ის, რომ ბავშვს წინასწარ ასწავლეს წერა-კითხვა, ანგარიში და ახლა მისთვის საინტერესო აღარ არის იმ გარემოში ყოფნა, სადაც იმას ასწავლიან, რაც უკვე იცის.

დაწყებით კლასებში ბავშვის სასწავლო მოტივაცია ასევე შეიძლება დააქვეითოს უზომო დატვირთვამ. არცთუ იშვიათად, სასკოლო სწავლების პირველივე დღეებიდან მშობელი ცდილობს, ბავშვი ჩართოს სხვადასხვა სახის საქმიანობაში, მათ შორის ისეთშიც, რომელიც მას საერთოდ არ აინტერესებს. ეს პროტესტს გამოიწვევს და ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ სასწავლო მოტივაციაზე ნეგატიურად აისახება.

რეკომენდაციები უმცროსკლასელთა სწავლაში ჩამორჩენის დასაძლევად

- სასწავლო საქმიანობაში წარუმატებლობის მიზეზების მრავალფეროვნება ხელს უშლის მასწავლებელს მათ გამოვლენასა და დაძლევაში. სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებთან ის უმეტესად ირჩევს მუშაობის ტრადიციულ გზას - დამატებითი მეცადინეობების ჩატარებას, რაც უმთავრესად განვლილი სასწავლო მასალის გამეორებას გულისხმობს, თუმცა ეს სამუშაო, რომელიც ბევრ დროსა და დიდ ძალისხმევას მოითხოვს, სასურველ შედეგს არ იძლევა. ეს ბუნებრივია, რადგან თუ ბავშვს, მაგალითად, აზროვნების კუთხით აქვს პრობლემა, ჩვენ კი, ნაცვლად იმისა, რომ მისი საზროვნო უნარების განვითარებასა და სრულყოფაზე ვიმუშაოთ, კვლავ და კვლავ ვამეორებინებთ განვლილ მასალას, შედეგს ვერ მივიღებთ.
- სწავლაში ჩამორჩენის პრობლემის დასაძლევად, გამომწვევი მიზეზების გამოვლენის შემდეგ, საჭიროა საკორექციო სამუშაოს ჩატარება კონკრეტული მიმართულებით. სასურველია, მშობელთან ერთად შედგეს სამუშაო გეგმა და საკორექციო პროგრამა გამომწვევი მიზეზების სრული ან ნაწილობრივი დაძლევისთვის. პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი მხარისთვის - ოჯახისთვის ან სკოლისთვის - გადაბარება არ იქნება გამართლებული. საჭიროა სკოლისა და ოჯახის შეთანხმებული და თანმიმდევრული მოქმედება.
- მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ ბავშვის განვითარების უახლოესი ზონა, გავარკვიოთ, რისი გაგება, სწავლა და ათვისება შეუძლია მას უფროსის მინიმალური დახმარებით, რათა ჩვენ მიერ ორგანიზებულმა სასწავლო პროცესმა და მიწოდებულმა სასწავლო მასალამ ხელი შეუწყოს მის განვითარებას და აკადემიური წარმატების მიღწევაში დაეხმაროს.
- მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ ასაკობრივ საფეხურზე ერთი და იმავე ასაკის ბავშვებთან გვიწევს მუშაობა, მოსწავლეთა ჯგუფები არასოდეს არის ერთგვაროვანი. ერთ ჯგუფში მყოფი ბავშვები, როგორც წესი, განსხვავდებიან ერთმანეთისგან შესაძლებლობებით, უნარებით, ინტერესებით, პიროვნული თავისებურებებით. ყოველივე ამის გამო, სასწავლო პროცესში წარმატების მისაღწევად და თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსავლენად აუცილებელია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებით ხელმძღვანელობა, ინდივიდუალური მიდგომა და დავალებების დიფერენცირება.
- ნუ დავივიწყებთ, რომ ბავშვების უმეტესობა სასკოლო სწავლებას დიდი ენთუზიაზმით და სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულებით იწყებს, თუმცა შესამჩნევი წარმატების არარსებობა, მით უმეტეს - წარუმატებლობა, აჩენს იმედგაცრუებას და სწავლისადმი ინტერესს აქვეითებს. თუ ბავშვს დროულად არ დავეხმარეთ, მასში თანდათან ჩაქრება საკუთარი ძალის რწმენა და წარუმატებლობა ქრონიკულ ხასიათს მიიღებს, რაც, თავის მხრივ, უფრო მეტად გაართულებს პრობლემის დაძლევას.

დაბოლოს, გავითვალისწინოთ, რომ სწავლაში ჩამორჩენილ ბავშვთან მუშაობა ხანგრძლივი, შრომატევადი პროცესია და მისი წარმატებით დასრულება დამოკიდებულია როგორც მასწავლებლის მოთმინებასა და შეუპოვრობაზე, ისე მშობლების დახმარებაზეც, მაგრამ მთავარი მაინც თავად მოსწავლის სურვილია. გავუძლიეროთ ბავშვს საკუთარი ძალის რწმენა, შევუქმნათ წარმატების განცდის პირობები მისი განვითარების დონის შესაბამისი სასწავლო დავალებების შეთავაზებით. ეს სასწავლო პროცესისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს და სასწავლო მოტივაციასაც აამაღლებს.

მარიამ ჯამდელიანი

აქტივობები წიგნიდან „სიყვარულით, ელლი“

მხატვრული ლიტერატურის კარნახით შექმნილი შემეცნებითი თამაშები და აქტივობები ტექსტის უკეთ გააზრებას უწყობს ხელს. ამ გზით მიღებული შთაბეჭდილებები ხანგრძლივად ასაზრდოებს მოზარდის ფანტაზიას და მეტ გავლენას ახდენს მის ცნობიერებაზე. წიგნის განხილვისას ავტორის მინიშნებები ახალგაზრდა მკითხველისთვის ინსპირაციად რომ იქცეს, ზოგჯერ ჩვენი, უფროსების თანამკითხველობაა საჭირო.

გიფიქრიათ, საით მივყავართ წიგნის გმირებს? როგორ შეიძლება, უფროსი მკითხველები მოსწავლეებსა და შვილებთან ერთად დავემგზავროთ მათ და სიზმარ-ცხადში აღმოვჩნდეთ?

მხატვრული ლიტერატურის კარნახით შექმნილი შემეცნებითი თამაშები და აქტივობები ტექსტის უკეთ გააზრებას უწყობს ხელს. ამ გზით მიღებული შთაბეჭდილებები ხანგრძლივად ასაზრდოებს მოზარდის ფანტაზიას და ძლიერ გავლენას ახდენს მის ცნობიერებაზე. წიგნის განხილვისას ავტორის მინიშნებები ახალგაზრდა მკითხველისთვის ინსპირაციად რომ იქცეს, ზოგჯერ ჩვენი, უფროსების თანამკითხველობაა საჭირო.

სწორედ ამ მიზნით შევქმენი აქტივობის ბარათები ერთი წიგნის მიხედვით, რომელიც, მიუხედავად არცთუ დიდი მოცულობისა, ბევრ საფიქრალს იტევს.

კატო ჯავახიშვილის პირველ საბავშვო ნაწარმოებს საოცრად ლამაზი ყდა აქვს. გაზაფხულის ფერებიდან ამოზრდილი ორი პატარა გოგონა ერთმანეთის პირისპირ დგას. წიგნს „სიყვარულით, ელლი“ ჰქვია.

ავტორი მზის მოსახელე ლილეზე გვიყვება. გოგონას მამა „მოწყენილობის კომიტეტში“ მუშაობს და ადრინდელივით ვეღარ იცლის შვილისთვის. ლილეს ძველი დრო და დედა ენატრება, დედა კი „მივლინებაშია“ და არა და არ ბრუნდება.

ბავშვები, რომლებსაც არ უსმენენ, არ ენდობიან, არ ამჩნევენ და ხშირად ატყუებენ კიდეც, კარგავენ სამყაროსადმი ნდობას და მარტოსულები ხდებიან. სწორედ ამ სირთულეების პირისპირ იდგა წიგნის მთავარი პერსონაჟი, როდესაც მის ცხოვრებაში არაჩვეულებრივი ელლი გამოჩნდა. ის ლილეს ნახატიდან გადმოვიდა და გოგონას გულთმისანი გახდა.

წიგნი ისე წავიკითხე, არც ღიმილი მომცილებია სახიდან და არც ცრემლი თვალებიდან. ეს ამბავი ჩემი შვილებისა და მოსწავლეებისთვის აუცილებლად უნდა გამეზიარებინა.

სტატიაში გიამბობთ იმ აქტივობებზე, რომელთა განხორციელების სურვილიც გამიჩნდა ნაწარმოების კითხვისას. ვფიქრობ, თქვენც შეიძლება გამოგადგეთ.

1-ელი ბარათი – „გახდი ავტორი“

წერა შემოქმედებითი პროცესია. ბავშვებს კი საკუთარი აზრების, წარმოდგენების გასიტყვება ხშირად ურთულესი რამ ჰგონიათ და დასაწყისშივე ნებდებიან. ასეთ დროს წინასწარ შედგენილი კითხვარი მათ უადვილებთ, თავი მოუყარონ სათქმელს და წერილობით გადმოსცენ. შედეგად თვითშეფასება უმაღლდებათ და მომდევნო მითითებებს უფრო ხალისით ასრულებენ.

წიგნის მთავარი გმირიც თავად იგონებს პერსონაჟს: არქმევს სახელს, წარმოიდგენს მის გარეგნობას, ხასიათს, სამოსს, საქმიანობასაც კი. ასე ჩნდება ლილეს ცხოვრებაში საოცარი გოგონა ცეცხლისფერი თმით, უზარმაზარპომპონიანი ქუდითა და ჯადოსნური კალმით, სახელად ელლი. კითხვის დროს შეგვიძლია, წიგნის გმირებს კვალდაკვალ მივყვეთ და ეს გზა მოსწავლეებთან და შვილებთან ერთად გავიაროთ.

დავალების მიხედვით, მოსწავლეები ქმნიან ახალ ტექსტს, წარმოიდგენენ პერსონაჟებს, ულრმავდებიან საკუთარ ფიქრებს, კითხვების დახმარებით კი თანმიმდევრულად და მარტივად გამოხატავენ სათქმელს.

ამბის შედგენის შემდეგ ტექსტის გაფორმების დრო დგება. ბავშვებს უყვართ ხატვა, ზოგს ამბის თხრობა ფერებით უკეთ გამოსდის. ამიტომ, მომდევნო აქტივობა სწორედ ილუსტრაციის შექმნას გულისხმობს.

მე-2 ბარათი – „გახდი ილუსტრატორი“

პატარა მკითხველზე, ნაწარმოების შინაარსთან ერთად, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს წიგნის ილუსტრაციებიც. ილუსტრატორს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია – სიტყვას ფერი და ფორმა უნდა მისცეს. ეს რომ შეძლოს, კარგად უნდა იცნობდეს ტექსტს და ხვდებოდეს ავტორის ჩანაფიქრს.

მწერალი მარტივი წინადადებებით აღწერს გარემოს, პერსონაჟებს, მაგრამ ისე ცხადად, რომ მკითხველი ადვილად წარმოიდგენს ჯადოსნურ სოფელს, პატარა სახლს, სადაც შუქი ანთია, კედელზე ბებიას გაკეთებული ჩირის აცმები კიდია, ფანჯრასთან კი ბიჭუნა დგას და გაჰყურებს, როგორ თოვს „ირიბად და ალმაცერად“.

ეს დავალება წყვილურ მუშაობას მოითხოვს. მოსწავლეები ცდილობენ, გონებაში წარმოქმნილი სურათ-ხატები ზედმიწევნით აღწერონ, შეარჩიონ ეპითეტები, რომლებითაც სათქმელს უკეთ გამოხატავენ. გაზიარებული შთაბეჭდილების საფუძველზე კი მეწყვილემ შესაბამისი ილუსტრაცია უნდა შექმნას. ამ აქტივობით ბავშვები გაიაზრებენ, რამხელა მნიშვნელობა აქვს დეტალებს, საგნების ფორმას, მათ დინამიკას და მეტაფორულ გარდასახვას.

მე-3 ბარათი – „იისფერი თოვლი“

ლილე ელლისთან ერთად დაუჯერებელ თავგადასავალში შეაბიჯებს. მისი სიზმრები ახალ პერსონაჟებთან შეხვედრის ჯადოსნური ისტორიებია. ამ პერსონაჟებს ქართველი მკითხველი კარგად იცნობს. საგულისხმო ის გახლავთ, რომ მწერალი ზოგიერთ მათგანს ლილესა და ელლის თანატოლად გვაცნობს, თითქოს ამით მათ მოზარდებისთვის უფრო ახლობელს ხდის. ყველა ეს შეხვედრა წიგნის მთავარ გმირზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს.

ლილე ჯერ პატარა ბიჭუნას გაიცნობს, რომელსაც ჯიუტად სჯერა, რომ თოვლი არა თეთრი, არამედ იისფერია. უფროსი თაობის მკითხველი მალევე მიხვდება, რომ ეს ბიჭუნა მომავალი პოეტი გალაკტიონ ტაბიძეა. ამ ზღაპარში ლილე ირწმუნებს, რომ „მთავარია დაკვირვება ისწავლო, რასაც ვერ ხედავ, ის რომ იგრძნო“.

მხატვრულ ლიტერატურაში ახალი ავტორების აღმოჩენა სარკმლების გაღებას ჰგავს – რაც უფრო მეტ სარკმელს ვაღებთ, მით მეტ სინათლეს ვუშვებთ მოსწავლეების სამყაროში.

ამ აქტივობით მოსწავლეები წიგნის გმირებთან ერთად პოეზიის სამყაროში აღმოჩნდებიან. უფროს თანამკითხველებს კი ისღა დაგვრჩენია, ერთი რუტინული სასწავლო დღე პოეზიის საღამოდ ვაქციოთ: წავიკითხოთ გალაკტიონის ლექსები, შევქმნათ ილუსტრაციები, ვითამაშოთ ლექსობანა და ვინძლო კლასშიც აღმოვაჩინოთ ისეთი მოსწავლე, ჯიუტად რომ სჯერა მოვლენების ალოგიკურობა.

მე-4 ბარათი – „ჟირაფების ქვეყანაში“

მომავალ პოეტთან შეხვედრის შემდეგ გოგონები ჟირაფების ქვეყანაში მოხვდებიან. ამ თავგადასავალში ისინი პატარა ჟირაფ ბოჟის გადაარჩენენ და შინ დააბრუნებენ. ელლი და ლილე ამას ვერ შეძლებდნენ კეთილი და გულადი ბიჭის დახმარების გარეშე, რომელიც მომავალში დიდი მხატვარი გახდება და ადამიანისთვალებიან ცხოველებს დახატავს. ამჯერად ავტორი პატარა მკითხველებს ნიკო ფიროსმანზე მიანიშნებს.



მასწავლებლებმა ვიცით, რომ გარდა სასკოლო სივრცეში განხორციელებული აქტივობებისა, სასწავლო მიზნებს ეხმიანება სკოლის ფარგლებს გარეთ დაგეგმილი ღონისძიებებიც. წიგნის ეს მონაკვეთი არაფორმალური განათლების საჭიროებასა და აქტუალურობას კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ ესტუმრებით ეროვნულ გალერეას, სადაც ქართველი მხატვრების შემოქმედებას გაეცნობით. სასიამოვნო იქნება მოსწავლეების გულწრფელი ემოციების ხილვა, როდესაც ფიროსმანის ნახატების თვალიერებისას წიგნთან გაავლებთ პარალელს. ამჯერად მოსწავლეები არა სიტყვის, არამედ ფერის ძალმოსილებაზე დაფიქრდებიან.

ნაწარმოების ეს მონაკვეთი ბევრ სასაუბრო თემას მოიცავს: როგორ უნდა ვიზრუნოთ ცხოველებზე, რას ნიშნავს თავისუფლება და როგორ იქცევიან ნამდვილი მეგობრები რთული არჩევანის წინაშე.

ამ მოგზაურობისას ლილე მნიშვნელოვან ჭეშმარიტებას ეზიარება – რომ „ყველა ადამიანი ერთნაირი არ არის“ და თავისუფლება ნიშნავს იმას, „როცა ლომივით გშია, მაგრამ ჟირაფს წასვლის ნებას მისცემ“.

საინტერესოა, როგორ ესმის ამ ეპოქის მოზარდს თავისუფლების ცნება?

მე-5 ბარათი – „ჯადოსნური ჰანგები“

მომდევნო აქტივობას ჯადოსნურ ჰანგებთან მივყავართ. წიგნის მთავარი გმირები ამჯერად შეხვდებიან ბიჭუნას, რომელმაც ჯერ არ იცის, რომ მომაჯადოებელი ხმა აქვს. მერცხლებს შურდულით დადევნებული, მას შემდეგ ისწავლის გალობას, რაც გაიაზრებს, რომ ფრინველებსაც შეიძლება სტკიოდეთ, რომ სამყარო ადამიანამდელ გამოცდილებას ინახავს და ამ ცოდნას მოფრთხილება სჭირდება.



გალაკტიონისა და ფიროსმანის შემოქმედების გაცნობის შემდეგ მოსწავლეები ჰამლეტ გონაშვილის ტკბილხმოვანებასაც თუ მოისმენენ, ლილესავით მიხვდებიან, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე გულს უნდა მოუსმინო, რადგან ასე შეიძლება, სამყარო უკეთესობისკენ შეცვალო.

მე-6 ბარათი – „სტუმრად ბარბარესთან“

მეოთხე პერსონაჟი, რომელსაც გოგონები ესტუმრებიან, არც მეტი, არც ნაკლები, თავადის ქალი ბარბარე ჯორჯაძეა. სწორედ ის ბარბარე, რომლის წიგნიც ჩვენი დედებისა და ბებიების სამზარეულოს შეუცვლელი ატრიბუტი გახლდათ. 1914 წელს გამოცემული რეცეპტების სრული

კრებული აქტუალობას დღესაც არ კარგავს და ტრადიციული ქართული გემოს ალმანახია.

ლილე ბარბარესთან სტუმრობისას აღმოაჩენს, რომ ტყუილს – მჟავე, მონატრებას – მლაშე, დარდს – მწარე, სიყვარულს კი თაფლივით ტკბილი გემო აქვს. კარგმა მზარეულმა იცის, რომ გემრიელი კერძის მოსამზადებლად ყველა გემო მნიშვნელოვანი და აუცილებელია, ჩვენ კი მათი სწორად გამოყენების ხელოვნებას უნდა დავეუფლოთ.

„გემოების გამოცნობა“ მხოლოდ გემრიელი აქტივობა არ გეგონოთ, ის სასარგებლო და „საჯამრთელო“ თამაშია. შეგიძლიათ, მოსწავლეებსა და შვილებს დააგემოვნებინოთ სხვადასხვა ხილი, ბოსტნეული თუ მზა კერძი. გჯეროდეთ, ყველაზე ჭირვეული დეგუსტატორის გულსაც მოიგებთ.

მე-7 ბარათი – „მარიამ დემურიას სახელობის თეატრი“

მოგზაურობის დასასრულს ლილე და ელლი, ბარბარეს რჩევით, თეატრის ჯადოსნურ კარს შეაღებენ და მკითხველთან ერთად პირდაპირ სცენაზე აღმოჩნდებიან. აქ გოგონებს საინტერესო მასპინძელი დახვდებათ.

როლური თამაშებით ტექსტზე მუშაობა მოსწავლეებისთვის ნაცადი და საყვარელი მეთოდია. რა მოხდება, თუ წაკითხული ნაწარმოებების სიუჟეტებს მინისპექტაკლებად გავათამაშებთ და დროდადრო კლასს „მარიამ დემურიას სახელობის თეატრად“ გადავაქცევთ?

უფროს თანამკითხველებზეა დამოკიდებული, დაინტერესდებიან თუ არა მოზარდები, მოისურვებენ თუ არა, მეტი შეიტყონ იმაზე, როგორ იქცა რუსეთის ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ საგანმანათლებლო კერად მარიამ დემურიას მიერ დაარსებული სახალხო თეატრი - „ავჭალის აუდიტორია“, სადაც უფასოდ იდგმებოდა სპექტაკლები და ისმოდა მივიწყების პირას მისული ქართული ენა. მომავალში კი, მისი ხელმძღვანელობით, საგანმანათლებლო ჟურნალი „ნაკადულიც“ დაარსდა.



ახალგაზრდა თაობისთვის მარიამ დემურიას სახელი, ისევე, როგორც ბარბარე ჯორჯაძისა, ნაკლებად ცნობილია. მოსწავლეების უმეტესობას თითქმის არაფერი სმენია მე-19 საუკუნის ამ ორ ქალ მოღვაწეზე, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებდნენ, რათა გარუსების პირას მყოფი თანამოქალაქეებისთვის თვალები აეხილათ.

ყველა ეს მოგზაურობა წიგნის მთავარი პერსონაჟისთვის მაკურნებელ ძალად იქცა. თუ როგორ, ამას ნაწარმოებიდან შეიტყობთ. ჩემი მიზანი კი შვილებსა და მოსწავლეებთან ერთად ლიტერატურული პერსონაჟების „ადევნება“ გახლდათ.

მხატვრულ ლიტერატურაში ახალი ავტორების აღმოჩენა სარკმლების გაღებას ჰგავს – რაც უფრო მეტ სარკმელს ვაღებთ, მით მეტ სინათლეს ვუშვებთ მოსწავლეების სამყაროში.

ნინო ლომიძე

მხატვრული ტექსტი – ემოციური ინტელექტის განმავითარებელი ინსტრუმენტი

ემოციური ინტელექტი ემოციების აღქმის, გაგების, გამოხატვის, მართვისა და რეგულირების უნარს გულისხმობს. საკუთარი და სხვისი ემოციების ამოცნობა, სახელდება, გაცხადება, გაცნობიერება და ქცევაში იმგვარად ასახვა, რომ ხელსაყრელი იყოს ინდივიდისთვის, მნიშვნელოვანი უნარია. ემოციურ ინტელექტს ადამიანი ადრეული ასაკიდანვე ივითარებს და ეს მას გადარჩენასა და გარემო პირობებისადმი ადაპტაციაში ეხმარება.

ემოციური ინტელექტი ემოციების აღქმის, გაგების, გამოხატვის, მართვისა და რეგულირების უნარს გულისხმობს. საკუთარი და სხვისი ემოციების ამოცნობა, სახელდება, გაცხადება, გაცნობიერება და ქცევაში იმგვარად ასახვა, რომ ხელსაყრელი იყოს ინდივიდისთვის, მნიშვნელოვანი უნარია. ემოციურ ინტელექტს ადამიანი ადრეული ასაკიდანვე ივითარებს და ეს მას გადარჩენასა და გარემო პირობებისადმი ადაპტაციაში ეხმარება.

უპირველესად – საკუთარ, მერე კი სხვის ემოციებზე დაკვირვება, მათი ამოცნობა-გარჩევა, სათანადო მოქმედების დაგეგმვა ის უნარია, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში იწრთობა და მისი ჯეროვნად განვითარება სწავლა-სწავლების პროცესის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

ამერიკელი ფსიქოლოგი დენიელ გოლმენი ემოციური ინტელექტისა და აკადემიური მიღწევების კორელაციას იკვლევდა. მისი დაკვირვებით, კარგად განვითარებული ემოციური ინტელექტის მქონე მოზარდები მაღალ აკადემიურ მოსწრებას აჩვენებენ. ის ემოციურ ინტელექტს განსაზღვრავს ასე: „როდესაც იცი, რას გრძნობს სხვა და იყენებ ამ ცოდნას საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად“.

საინტერესო საფიქრალს აღძრავს მკვლევრის ეს მოსაზრებაც: „ჩვენი აღქმის დიაპაზონი, აზრები, ქმედებები განპირობებული და შემოსაზღვრულია იმით, რასაც ვერ ვამჩნევთ. როცა ვერ ვამჩნევთ იმას, რაც მნიშვნელოვანია, რაც საჭიროა, საშუალებაც არ გვაქვს ვიმოქმედოთ ისე, რომ რაღაც უკეთესობისკენ შევცვალოთ“. ეს ნიშნავს, რომ თუ ვერ ვამჩნევ რაიმე მნიშვნელოვანს, თუ ჩემი აღქმა-თვალსაწიერი ვიწროა და შემოსაზღვრული, თუ ახალ შთაბეჭდილებებს, მოსაზრებებს, იდეებს, შესაძლებლობებს არ ვცნობ, მაშინ ჩემივე წარმოდგენების ვიწრო ჩარჩოებში, მათ ტყვეობაში ვატარებ ცხოვრებას და უამრავი რამ მრჩება შეუმჩნეველი.

რა წვრთნის ჩვენს აღქმას, წარმოსახვას, შემჩნევის უნარს რა გვივითარებს?

ჩემი პასუხია: მხატვრული ლიტერატურა. უფრო სწორად, ერთ-ერთი მძლავრი, ხელმისაწვდომი, სანდო და შედეგიანი ინსტრუმენტი ნამდვილად არის მხატვრული ლიტერატურა. დეტალებზე კონცენტრირება. აქტიური კითხვის მეთოდის გამოყენება.

ემოციებისა და მათი ამოცნობისკენ მიმართული აქტივობები მიმოხილულია ჩვენს ინტერნეტგაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში „ემოცია და გრძნობა“. აქ შეგიძლიათ გაეცნოთ საკითხებს: რას ნიშნავს ემოცია? როგორ განიმარტება ეს ცნება? რა განსხვავებაა ემოციასა და გრძნობას შორის? რა დაგვეხმარება საკუთარი ემოციური მდგომარეობის ამოცნობაში? როგორ გამოვიყენოთ მხატვრული ტექსტები რესურსად ემოციების ამოცნობისა და სახელდებისთვის?

თანდაყოლილი თუ შეძენილი?

აღსანიშნავია, რომ ემოციურ ინტელექტს გოლმენი განიხილავს არა მხოლოდ როგორც თანდაყოლილ „ნიჭსა“ თუ უნარს, არამედ როგორც ნაკრებს კომპეტენციებისა, რომელთა გამომუშავება და დასწავლა შესაძლებელია სათანადო მუშაობის შედეგად. მკვლევრის აზრით, პროფესიულ

და აკადემიურ სფეროში ამ კონკრეტული უნარის განვითარება-დახვეწის გარეშე წარმატება რთული მოსაპოვებელია.

ლიტერატურის მნიშვნელობის შესახებ წინარე თქმულს ვამატებ: მხატვრული ტექსტი ემოციური ინტელექტის განმავითარებელი საუკეთესო სამარჯვიც არის. წერილში სწორედ ამაზე გვექნება საუბარი.

მხატვრული ტექსტი და ემოციური ინტელექტი – მიმართება

როგორ შეიძლება, მხატვრულმა რეალობამ, გამოგონილმა ამბავმა, ნაწერმა ტექსტმა ხელი შეუწყოს ემოციური ინტელექტის განვითარებას?

თანაგანცდისა და თანაგრძნობის, სხვადასხვა ემოციის აღძვრის, თანამონაწილეობის მეშვეობით.

რას ნიშნავს ეს:

როდესაც წიგნს ვკითხულობთ, იქ ყოფნის განცდა გვიჩნდება. მწერლები ახერხებენ ისეთი რეალობის შექმნას, რომელიც ჩვენს წარმოსახვაში ცოცხლდება. გმირების თავგადასავალი, მათი ამბები, ადამიანს ცხოვრების განმავლობაში შესაძლოა არ მიეცეს საშუალება, თავი ამა თუ იმ სიტუაციაში გამოსცადოს, მისი ემოციური პალიტრა ყოველდღიურ ცხოვრებაში შესაძლოა შემოსაზღვრული იყოს „ძირითადი ფერებით“, ძირითადი ემოციებით, მაგრამ კითხვისას ფანტაზია შეუზღუდავია.

აღწერილი სიტყვის ოსტატის მიერ, ჩვენთვის ხელშესახები ხდება. ჩვენ თანაგანვიცდით იმას, რასაც გმირი განიცდის. ამაზე ჯერ კიდევ არისტოტელე მიუთითებდა. „პოეტიკაში“ ის საუბრობს ტრაგედიაზე და წერს, „შიშისა და თანაგრძნობის გზით ამგვარ ვნებათაგან განწმენდას“ ვაღწევთო. ანუ ვუყურებთ ტრაგედიას, განვიცდით ძლიერ ემოციას და დგება კათარსისი.

ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსი, ინგლისელი რომანისტი ჯოზეფ კონრადი წერს: **„ჩემი ამოცანაა, დაწერილი სიტყვის მეშვეობით მოგასმენინოთ, გაგრძნობინოთ, უპირველეს ყოვლისა კი დაგანახვოთ ის, რასაც აღვწერ. ეს და მეტი არაფერი. თუ ამას მივაღწიე, თქვენ იპოვით იმას, რასაც ეძებდით (წიგნში) – მხარდაჭერას, იმედს, შიშს, მოჯადოებას – ყველაფერს, რაც გჭირდებათ!“**

ემოციური ინტელექტის განვითარებაზე ზრუნვა, სწავლა-სწავლების პროცესის იქით მიმართვა, რომ დავეხმაროთ ახალგაზრდებს, ამოიცნონ საკუთარი და სხვისი ემოციები და საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედონ, მრავალი სოციალური პრობლემის გადაჭრის ბუნებრივი გზაა.

მასწავლებლის ამოცანა

მხატვრული ლიტერატურის უზარმაზარ სამყაროში საუკეთესო მეგზურობის გაწევა ახალგაზრდისთვის ლიტერატურის მასწავლებელს შეუძლია. ხშირად ვეკითხები ხოლმე საკუთარ თავს: რას ვასწავლი, როდესაც ლიტერატურას ვასწავლი? – და ერთ-ერთი სასურველი მიზანი ესაა: მინდა, მოსწავლეებისთვის იმ მეგზურად ვიქცე, რომელიც ამ სამყაროში ნავიგაციას, გზის გაგნებას, ნიშნებისა და სიმბოლოების ამოცნობას, გაუკვალავი ბილიკების კვლევის ინტერესს აღძრავს. თუ მოვახერხე და მხატვრული ლიტერატურა მათთვის საინტერესო თავშესაფრად ვაქციე, მიზანი მიღწეულია. მოწყენილობისა თუ ცუდად ყოფნის, მოგზაურობისა და ლაღობის, საუკეთესო თუ საზარელი ცხოვრებისეული გამოცდილების დროს თუ მათ გამოიხმეს ამ სამყაროდან თავიანთი გმირები, თუ დაიხმარეს ისინი, მიზანი მიღწეულია.

ეს ნიშნავს, რომ მხატვრული ლიტერატურა, კერძოდ კი სასკოლო კურსში შესული „განწირული ავტორები", შინაარსის კონსერვირების საშუალება კი აღარ იქნება, არამედ საშუალება, იკვლიო უვალი გზა, გაიფართოო თვალსაწიერი, განიცადო ემოციათა განუსაზღვრელი სპექტრი.

აქტივობები ეპიზოდების მიხედვით

სხვადასხვა თემატური ეპიზოდის მიხედვით მასწავლებელმა შეიძლება დაგეგმოს საკლასო აქტივობები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს, ამოიცნოს სხვისი ემოცია, დასახოს სამოქმედო სტრატეგია, გაითავისოს მორალურად და ეთიკურად მისაღები ნორმები.

მაგალითად, კონფლიქტური სიტუაციის განხილვისას შეიძლება დაისვას კითხვები:

- რა შეიძლებოდა ეთქვა ან მოემოქმედებინა კონფლიქტის **მოწმეს?**
- რისი გაკეთება ან თქმა იყო მიზანშეწონილი **გმირისთვის** მდგომარეობის შესამსუბუქებლად? იქ რომ ყოფილიყავი, რას გააკეთებდი?

მოსწავლემ თავი უნდა წარმოიდგინოს კონფლიქტის მოწმე



პერსონაჟად (არა საკუთარი/ პიროვნული ხედვის კუთხით, არამედ იმ პერსონაჟისა, რომელიც შეესწრო კონფლიქტს) და დაწეროს სცენარი – რა შეიძლებოდა გაეკეთებინა ამ პერსონაჟს სიტუაციის განსამუხტავად.

ყურადღების გამახვილება დადებითზე

თუ დავაკვირდებით, ლიტერატურის გაკვეთილებზე სამსჯელო და საკამათო თემებად ძირითადად მწვავე სიტუაციები ან დილემა-კონფლიქტები გვაქვს მიზანში ამოღებული. არადა, ძალიან მნიშვნელოვანია პოზიტიურ გამოცდილებაზე ყურადღების გამახვილება. ისეთი ეპიზოდების შერჩევა და განხილვა, რომლებშიც მორალური დილემა კი არ არის წარმოჩენილი, არამედ მოთხრობილია რამე სასიამოვნო, რომლებშიც გმირები ზრუნავენ ერთმანეთზე, მხარს უჭერენ, ეხმარებიან.

ტექსტზე მუშაობის დროს სასურველია პოზიტიური გამოცდილების, დახმარების, მზრუნველობის გამომხატველი სიტყვების ამოწერა ან აქტიური კითხვის მეთოდის გამოყენება და ამ მონაკვეთების ხაზგასმა.

ჩანაწერი დღიურში ან უბის წიგნაკში

ეს არის აქტივობა, რომელსაც მოსწავლეები ყოველთვის ხალისით ასრულებენ. მათ თავი გმირის ადგილას უნდა წარმოიდგინონ და გააკეთონ ჩანაწერი დღიურში ან უბის წიგნაკში. დღიურის ფორმატი თავისთავად გულისხმობს, რომ ჩანაწერი გულწრფელი და გულახდილი უნდა იყოს. მოსწავლე უნდა გარდაისახოს გმირად, გაითავისოს მისი სულიერი და ემოციური, ფსიქოლოგიური ან ფიზიკური მდგომარეობა და დაწეროს: რას გრძნობს; რას ფიქრობს; რას გეგმავს; როგორ ხედავს სხვა პერსონაჟებს; რას გრძნობენ, მისი აზრით, სხვები. მოსწავლეს უნდა მიეცეს საშუალება, გმირის თვალით შეხედოს სხვა პერსონაჟებს და შეაფასოს მათი ქმედებები და ემოციები.

მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი

საინტერესო იქნება ამა თუ იმ სიტუაციაში საკუთარი თავის წარმოდგენა და პასუხის გაცემა კითხვებზე: მე როგორ მოვიქცეოდი ამ პერსონაჟის ადგილზე? რას ვიგრძნობდი, ეს რომ გადამხდენოდა თავს? როგორ დავეხმარებოდი საკუთარ თავს/სხვას?

„ვარ“ თუ “როგორ ვარ“ – სიის ამოკითხვა სხვაგვარად

რამდენად გვრჩება მასწავლებლებს დრო და ენერგია იმისთვის, რომ ჩვენი მოსწავლეების ემოციური მდგომარეობით დავინტერესდეთ? რამდენს ვერ ან არ ვამჩნევთ და ვიმჩნევთ დღის განმავლობაში? მიფიქრია იმაზე, რომ სრულიად შეუძლებელია, ერთი მასწავლებლის ფიზიკური და ემოციური რესურსი ყველა მოსწავლეს გასწვდეს, მაგრამ სულ მცირე, მათი მდგომარეობით დაინტერესება კი უნდა ვცადოთ. ჩემთვის ეს საკითხი ასე გადავწყვიტე: მთავარია, მათ იცოდნენ, რომ თუ დასჭირდათ, ჩემგან უპირობო მხარდაჭერას მიიღებენ; იცოდნენ, რომ თუ დასჭირდათ, ჩემთან მოესვლებათ და მე, განსჯისა და თითის ქნევის გარეშე, მათთან ერთად განვიხილავ ყველა შესაძლო გამოსავალს. ავარჩევთ საუკეთესოს. აუცილებლად ვიპოვით გზას. გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს!

წიგნის ბოლო თავს, რომლის ქვესათაურია „სკოლა (სწავლა-სწავლება) და ემოციები“, დენიელ გოლმანი ერთი მასწავლებლის ყოველდღური რიტუალის აღწერით იწყებს. მოსწავლეები მის კლასში წრიულად სხედან, თავისუფლად. მასწავლებელი სიის ამოკითხვას იწყებს და მოსწავლეების პასუხიც არ აყოვნებს:

– ჯესიკა...
– ათი. გადასარევად ვარ! პარასკევია.
– პატრიკ...
– ცხრა! ცოტას ვღელავ.
– ნიკოლ...
– ათი. ბედნიერი. სიმშვიდით სავსე.

ემოციური ინტელექტის განვითარებაზე ზრუნვა, სწავლა-სწავლების პროცესის იქით მიმართვა, რომ დავეხმაროთ ახალგაზრდებს, ამოიცნონ საკუთარი და სხვისი ემოციები და საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედონ, მრავალი სოციალური პრობლემის გადაჭრის ბუნებრივი გზაა. მეტი დრო დავუთმოთ სასიცოცხლოდ აუცილებელი უნარების განვითარებას და ნაკლები – შინაარსების კონსერვირებას.

ქრისტინა სურგულაძე

პროფესია – მასწავლებელი

ერთი დამღლელი დღის ბოლოს ჩემმა მეგობარმა, რომელიც ფარმაცევტია, მკითხა, რომელი პროფესია უფრო რთულიაო. მე ვუთხარი: შენი, რადგან აფთიაქში შემოსული მომხმარებელი ხშირად გეჩხუბება, მე კი დაღლას და გადაწვას მოსწავლეების მიერ უკან დაბრუნებული სიყვარული მიწონის-მეთქი. დღემდე ასე ვფიქრობ.

ალბათ ყველა მასწავლებელს ერთხელ მაინც სმენია ფრაზა: „თქვენ მთელი ზაფხული ისვენებთ“. ალბათ ისიც უთქვამთ, თქვენი სამუშაო დღე მალე მთავრდებაო. ცოტა თუ ფიქრობს იმაზე, რომ ეს პროფესია გაცილებით მეტია, ვიდრე გაკვეთილზე მოსწავლეებთან ერთად გატარებული 45 წუთი დღეში მაქსიმუმ ექვსჯერ.

მასწავლებლები სკოლაში ადრე მიდიან ან შინ გვიან ბრუნდებიან; ხშირად ორივე ერთადაა, რადგან გაკვეთილებს დაგეგმვა სჭირდება, რესურსებს – მოპოვება, სამუშაო ფურცლებს – დაქსეროქსება, დახარისხება და აკინძვა, დავალებებს და ტესტებს კი – გასწორება. ხშირად მასწავლებლებს ტესტები და რვეულები სახლში დააქვთ, რომ მაშინაც კი იმუშაონ, როცა მათი სამუშაო დღე დიდი ხნის დასრულებულია. გინახავთ ის ცნობილი ნახატი? – ღამით ჩაბნელებული კორპუსია გამოსახული, ყველას სძინავს და მხოლოდ ერთი ფანჯრიდან გამოდის სინათლე. ამ ფანჯარას ხშირად აწერია ხოლმე: მხატვარი, მთარგმნელი, მწერალი... არასდროს – მასწავლებელი. თუმცა ცოტა თუ ხვდება, რომ ფანჯრის უკან სწორედ მასწავლებელი ზის და ტესტებს ასწორებს, ან რვეულებს, ან გაკვეთილს გეგმავს და რესურსებს ახარისხებს. რადგან მისი „მოკლე“ სამუშაო დღე არასდროსაა საკმარისი ყველა იმ პასუხისმგებლობისა და საქმისთვის, რაც ჩაბარებული აქვს.

მასწავლებლები ზოგჯერ ღამის თერთმეტ საათზეც კი პასუხობენ მშობლების ზარს. ეს ზარი კი მათ მომდევნო დღისთვის მოსამზადებელ რუტინას აწყვეტინებთ, რომელიც აგრეთვე სამუშაო დღესთანაა დაკავშირებული. სია შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, სიმართლე კი ერთია: მასწავლებლის მოკლე სამუშაო დღე სინამდვილეში ძალიან გრძელი და აუნაზღაურებელია, რადგან, როგორც წესი, მასწავლებლის ანაზღაურება მოსწავლეებთან გაკვეთილზე გატარებული 45 წუთის სიმრავლით განისაზღვრება. ამის შემდეგ რაც ხდება, ის ე.წ. ოვერთაიმია, რაზეც უარის თქმა მასწავლებელს არ შეუძლია, რადგან შუაში მოსწავლე დგას, მოსწავლე კი მასწავლებლისთვის პირველია და ამ ყველაფერში ბრალი არ მიუძღვის. მას ვერ გაემიჯნები, ვერ გაიფიცები. ყოველთვის, როცა მასწავლებელი საკლასო ოთახის კართან დგას, ყველა წყენას, ბრაზს და იმედგაცრუებას კართანვე ტოვებს. ვინც კარს იქით ხვდება, მუდამ ღიმილიანს ხედავს და ზოგჯერ ვერც წარმოუდგენია, რომ შეიძლება, მასწავლებელს რამე აწუხებდეს. ერთი მხრივ, ეს აუცილებელიცაა, თუმცა მეორე მხრივ...

მასწავლებლები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ცხოვრება სკოლის კედლების გარეთაც აქვთ, რისი გააზრებაც მშობლებს ხშირად მოსწავლეებზე არანაკლებ უჭირთ. როგორც ყველა ადამიანს, მასწავლებლებსაც ხშირად უწევთ პირად პრობლემებთან გამკლავება. თუმცა, პროფესიის ბუნებიდან გამომდინარე, ამის დამალვა უხდებათ. ადამიანების უმეტესობას ჩვევად აქვს, გაღიზიანება სხვა ადამიანებზე გადაიტანოს. წარმოიდგინეთ, რამდენი შინაგანი ძალის მობილიზებაა საჭირო, რომ ეს დათრგუნო და არ შეგეშალოს, არ გაღიზიანდე მეასედ დასმულ ერთსა და იმავე შეკითხვაზე, ხმაურზე, დაუმორჩილებლობაზე, არსაიდან მოსულ უკმაყოფილებაზე და ა.შ. რადგან თუ გაღიზიანდი, მერე შენვე ინანებ, მომდევნო კვირებს იმაზე ფიქრში გაატარებ, რომ ბავშვებს (შენგან განსხვავებით, – შენ ხომ ზრდასრული ხარ) თავიანთი ემოციებისა და საქციელის კონტროლი ხშირად არ შეუძლიათ და ამის გამო ტკივილი არ უნდა მიაყენო, თუნდაც

სულ მცირე. იქნებ რა უჭირდათ მაშინ, როცა შენიშვნა მიეცი, იქნებ რა უჭირდათ მაშინ, როცა მათ ვერ ხედავდი, იქნებ რა უჭირთ მაშინ, როცა სკოლიდან მიდიან, იქნებ რა უჭირთ მაშინ, როცა სკოლას აცდენენ... და ასე გადადის მასწავლებ-ლის განცდები უკანა პლანზე.

მასწავლებელი მუდამ თავის თავს ადანაშა-ულებს, თუმცა მისთვის მაინც გულდასაწყვეტია, როცა მედიაც და მედიის გავლენით ხალხიც პრობლემას ყოველთვის მასწავლებელში ხედავს. შუქდება ნეგატიური ამბები იმის შესახებ, რომ ერთეულებს რაღაც შეეშალათ, რაღაცას თავი ვერ გაართვეს... რატომ არ ჰყვებიან მათზე, ვინც წლების განმავლობაში თავდაუზოგავად შრომობს, დადის წრეზე, რომელიც მოსწავლის ა პუნქტიდან ბ პუნქტამდე მიყვანას გულისხმობს? ამ თავდაუზოგავი შრომის პარალელურად ყველა თითს გიქნევს, რომ საკმარისად კარგი არ ხარ და ბევრს არ აკეთებ, რომ თან, აი, ეს უნდა ქნა, კიდევ, აი, ეს და, აი, ესეც. მოსწავლეების უმეტესობაც ხომ, სამწუხაროდ, ძალიან გვიან ხვდება, თურმე რამდენს აკეთებდა ესა თუ ის მასწავლებელი მისთვის.

ამიტომ ყველანი ფრთხილად უნდა ვიყოთ მასწავლებლის პროფესიის შეფასებისას. მათ ყოველდღიურ რეჟიმში უწევთ ბრძოლა საკუთარ განცდებსა თუ ემოციებთან. მათ მუდამ უწევთ, რაღაცები წერონ სამუშაო საათების შემდეგ, ზოგჯერ ისეთი რამეებიც კი, რაც სწავლებასთან არაფერ კავშირშია. მათ მუდამ უწევთ, ისეთ ადა-მიანებს უსმინონ (სამუშაო საათების შემდეგაც) და თავი უქნიონ, ვინც კლასში ერთხელაც კი არ შესულა გაკვეთილის ჩასატარებლად. მათ მუდამ უწევთ, განვითარებაზე იზრუნონ და მაინც უპერ-სპექტივობას აწყდებოდნენ.

რაღაც გაგებით, კარგი მასწავლებელი კარგი მსახიობია. უოცნებია თუ არა ამაზე ბავშვობაში, მაინც მოუწია, რომ სცენაზე იდგეს. ოღონდ ეს სცენა სხვანაირი დეკორაციებითაა, შენ წინ ფარ-და არ არის, ის არასდროს დაიხურება, რომ ამო-ისუნთქო. ყველა გამომცდელი თვალით გაკვირ-დება, ისიც კი, ვინც ყოველდღიურ მაყურებლებს შორის არ ზის. მასწავლებლობა ინტროვერტების

თუმცა მაინც ნურასდროს ეტყვით მასწავლებელს, შენ რა გენაღვლებაო – ხშირად ისინიც ისხამენ დასამშვიდებლად სახეზე ცივ წყალს გაკვეთილზე შესვლის წინ, თუ, რა თქმა უნდა, საპირფარეშოში შესვლა მოსწრეს და დღის ბოლოს არ გაახსენდათ, რომ დღეს ეს არც კი გახსენებიათ.

პროფესია ნამდვილად არ არის, თუმცა დროთა განმავლობაში ინტროვერტები წარმატებით ვითვისებთ ექსტრავერტების სოციალურ უნარებს და ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ყოველდღიურად მართლა სცენაზე ვდგავართ.

ერთი დამღლელი დღის ბოლოს ჩემმა მეგობარმა, რომელიც ფარმაცევტია, მკითხა, რომელი პროფესია უფრო რთულიაო. მე ვუთხარი: შენი, რადგან აფთიაქში შემოსული მომხმარებელი ხშირად გეჩხუბება, მე კი დაღლას და გადაწვას მოსწავლეების მიერ უკან დაბრუნებული სიყვარული მიწონის-მეთქი. დღემდე ასე ვფიქრობ. თუმცა მაინც ნურასდროს ეტყვით მასწავლებელს, შენ რა გენაღვლებაო – ხშირად ისინიც ისხამენ დასამშვიდებლად სახეზე ცივ წყალს გაკვეთილზე შესვლის წინ, თუ, რა თქმა უნდა, საპირფარეშოში შესვლა მოასწრეს და დღის ბოლოს არ გაახსენდათ, რომ დღეს ეს არც კი გახსენებიათ.

ყავა კი მუდამ მაგიდაზე დევს და ცივდება.

ჩამოჯექი, მასწავლებელო.



ქეთევან კუპატაძე

ლალაჰანეს გოგონები

ლალაჰანე თურქეთის ერთი პატარა დაბაა. სადღაც ანკარასა და ჩორუმს შორის. გზის პირიდან არც ჩანს, შიგნით უნდა შეუხვიო და ჩვეულებრივ თურქულ დაბაში აღმოჩნდებით. სანამ თხრობას განვაგრძობ, მოდით, კიდევ გაგახსენებთ, თურქეთთან რა მაკავშირებს.

2015 წლის ერთ დილას გავიღვიძე და თურქული ენის შესწავლა გადავწყვიტე. არ ვიცი, რა სიზმარი ვნახე, რადგან დაძინებისას, გეფიცებით, მსგავსი აზრი არც მქონია. თუმცა, კლასიკური მერწყული გახლავართ და ამ ნიშნისთვის დამახასიათებელი ყველანაირი ახირება მახლავს თან.

ჰოდა, მერწყულმა თუ რამე გადაწყვიტა, მთელი ჯარი ვერ გადააფიქრებინებს. ავდექი და იუნუს ემრეს ენისა და კულტურის ცენტრში თურქული ენის კურსებზე ჩავეწერე. ჯგუფში ყველაზე უფროსი მე ვიყავი და ამიტომ სრულიად ახალგაზრდა მასწავლებელს ახმაურებულ ჯგუფსაც მე ვუწყნარებდი ხოლმე.

როგორც კი თურქული წინადადებების ერთმანეთზე გადაბმა გამომივიდა, იმდენად გავთამამდი, რომ ტუბიტაკში (თურქული სამეცნიერო ფონდია) პროექტი წარვადგინე, რომლის თანახმადაც თურქულ უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვა შემეძლო. ასე აღმოვჩნდი სტამბულის მედენიიეთ უნივერსიტეტში, სადაც ესქიშეჰირის ოსმან გაზის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დეკანი გავიცანი, რომელმაც უკვე სხვა ფონდი მიმასწავლა. მომდევნო რამდენიმე წელი სწორედ იმ ფონდიდან მიღებული დაფინანსებით ესქიშეჰირის ოსმან გაზის უნივერსიტეტსა და მეცნიერების პოპულარიზაციის ცენტრში ქიმიის მასწავლებლებს და მოსწავლეებს ვორქშოპებსა და პოპულარულ ლექციებს ვუტარებდი.

ბოლო ორი წელია ერასმუს პროგრამაც მოვიგეთ და გასული წლის მსგავსად წელსაც უნივერსიტეტში ვიყავი ლექციებით, სადაც ერთმა ჰოჯამ (ანუ, მასწავლებელმა) ადგილობრივი პროექტის ფარგლებში, მასთან ერთად ლალაჰანეს გოგონათა სკოლაში შემომთავაზა წასვლა.

ჰო, თქმა დამავიწდა, რომ ჩემი თურქული ისე გაიმართა, უკვე ლექციებსაც და ვორქშოპებსაც თურქულ ენაზე ვატარებ. ამიტომ, ლალაჰანეშიც, სადაც პატარა გოგონებმა მხოლოდ მშობლიური ენა იცოდნენ, სწორედ მათ ენაზე მომიწევდა ქიმიაზე საუბარი.

ამ დაბაში გოგონები და ბიჭები კვლავაც ცალ-ცალკე სწავლობენ და მხოლოდ საბაზისო განათლების მიღება შეუძლიათ. უფრო მაღალი საფეხურის განათლების მისაღებად რომელიმე ქალაქის სკოლაში უნდა გადაინაცვლონ.

როგორც კი თანხმობა განვაცხადე, თემის და ცდების მოფიქრებაც მე დამევალა.

ღმერთო ჩემო! რაზე შეიძლება ვესაუბრო ლალაჰანელ გოგონებს?

თურქეთის ქალაქებში წყალი მანქანებით დააქვთ. დიდ პლასტმასის ბოცებში ჩამოსხმულ დასალევ წყალს ვგულისხმობ. დადის მანქანა, თან დამახასიათებელ მუსიკას უკრავს და ჩანაწერში მომღერალი მღერის – დაამატე წყალიიი...

უკან მთელმა კლასმა გამოგვაცილა. გოგონები დამპირდნენ, რომ ქიმიკოსები გამოვლენ. ფიქრობთ, დავიჯერე? არა, რა თქმა უნდა, ამას შთაბეჭდილების ქვეშ მყოფები დამპირდნენ. თუმცა, ის ზუსტად ვიცი, რომ ქიმია ოდნავ სხვა თვალით დავანახე.

რაო? წყალი დავამატო? – ყურები ვცქვიტე.

ჰმ, გადაწყდა, ლალაჰანელ გოგონებს გაკვეთილი წყალზე ექნებათ, სახელწოდებით: „დაამატე წყალი“!

ეს კარგი, მაგრამ რას დავამატოთ? იმ რეაქციებს, რომლებიც მის გარეშე ვერ წარიმართება.

-„ლალაჰანელ ქიზლარი, ბენ ქეთი გელიორუმ“, ქართულად ნიშნავს-ლალაჰანელო გოგონებო, მე, ქეთი, მოვდივარ!

კლასში შევედით თუ არა, სტუმრის დანახვაზე გოგონები დაფაცურდნენ. გაცნობა-მისალმების შემდეგ საქმეზე გადავედი და ვუთხარი, რომ არსებობენ რეაქციები, რომლებსაც წყალი თუ არ დაამატე, არაფერი გამოვა.

პირველ რიგში, ორი სინჯარა ავიღე. ერთ მათგანში რამდენიმე გრამი კალიუმის იოდიდი ჩავყარე, მეორეში ტყვიის ნიტრატი. ეს ექსპერიმენტი ათასნაირად შეიძლება გამოიყენო. ყველაზე პოპულარული „ოქროს წვიმის“ სახელით არის ცნობილი, მეორე კი ტყვიის იონის აღმოჩენა წყალში. თუმცა, ამჯერად ჩემი მიზანი სხვა იყო. ორი ნივთიერება მყარ მდგომარეობაში ერთმანეთს შევურიე, მაგრამ რეაქცია არ წარიმართა.

დავამატე წყალი... და მაშინვე ყვითელი შეფერილობა მიიღო, ანუ წარმოიქმნა ტყვიის იოდიდი.

შემდეგი რეაქცია მაგნიუმის ფხვნილსა და ვერცხლის ნიტრატს შორის უნდა წარმართულიყო. შევურიე ეს ორი რეაგენტი ერთმანეთს და არაფერიც არ მოხდა.

დავამატე ერთი წვეთი წყალი და... რეაქცია აფეთქებით და სითბოს გამოყოფით წარიმართა.

$$Mg+2AgNO_3=Mg(NO_3)_2+2Ag$$

რადგან ლალაჰანელ გოგონებს აფეთქებისკენ საქმის შეტრიალება ძალიან მოეწონათ, ავდექი და კიდევ ერთი რეაქცია ვაჩვენე.

ერთმანეთს შევურიე ალუმინის და იოდის ფხვნილი. არაფერიც არ მოხდა.



დავამატე ერთი წვეთი წყალი და რეაქცია მცირე აფეთქებით და სითბოს გამოყოფით წარიმართა.

$$2Al+3I_2=2AlI_3$$

ყველა ქვეყანაში, ქალაქსა თუ დაბაში ბავშვი ბავშვია და ცეცხლებით და აფეთქებით მიმდინარე რეაქციები უყვართ... და რადგან გადავწყვიტე გოგონების გული საბოლოოდ მომეგო, კიდევ ერთი „აფეთქება“ ჩავატარე.

ავიღე საგანგებოდ წაღებული ხორბლის ბურბუშელას ყუთი. ცოტა ალუმინის ჯამში გადმოვყარე, დანარჩენი გოგონებს გადავაწოდე საკნატუნებლად.

ჯამში მოთავსებულ ბურბუშელას ზემოდან მცირე რაოდენობით ნატრიუმის პეროქსიდი მოვაყარე. გაგონილა? არაფერიც არ მოხდა.

თუმცა, დავამატე ერთი წვეთი წყალი და რეაქცია აფეთქებით და სითბოს გამოყოფით წარიმართა.

თქვენი აზრით, რომელ ქიმიურ რეაქციას ჰქონდა ადგილი?

გოგონებმა გამოიცნეს.

შემდეგ ავიღე სპილენძის სულფატი, ჩავყარე ფაიფურის როდინში და გავაცხელე. გათეთრდა, რადგან დაკარგა 5 მოლეკულა წყალი. გოგონებს დავპირდი, რომ ეს თეთრი ფერის ფხვნილი კვლავ ლურჯ შეფერილობას დაიბრუნებდა, რადგან გახურებისას „წართმეული“ წყალი მასთან უკან დაბრუნდებოდა.

რადგან წყლის წარმთევაზე მიდგა საქმე, მაგიდაზე შაქარი ამოვაცოცე. შაქარი მარტივი ნახშირწყალია, რომელიც წყალს შეიცავს. თუმცა, თუ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას დავამატებთ, ქიმიური ჭიქიდან შავი მასა ამოიზრდება. ეს შავი მასა წყალგამოცლილი შაქარია, რომლის შედგენილობაშიც მხოლოდ ნახშირბადის ატომები დარჩა. რეაქცია ეგზოთერმულია და ცოტა ნელა მიმდინარეობს (ანუ, არ არის მყისიერი).

ერთმა გოგომ ხელი ასწია და მითხრა:

ამ დაბაში გოგონები და ბიჭები კვლავაც ცალ-ცალკე სწავლობენ და მხოლოდ საბაზისო განათლების მიღება შეუძლიათ. უფრო მაღალი საფეხურის განათლების მისაღებად რომელიმე ქალაქის სკოლაში უნდა გადაინაცვლონ.

– ჰოჯამ (ანუ, მასწავლებელო), მაგ შავად ქცეულ შაქარსაც დაუბრუნდება წყალიო?

– არა. ეს გარდაქმნა ცვლილებას აღარ ექვემდებარება-თქო.

– მაინც ვცადოთ და წყალი დავასხათო.

დავამატეთ წყალი და ... არაფერიც არ მოხდა. დიახ, გარდაქმნა მართლაც უცვლელია.

მთელმა კლასმა გამოგვაცილა. გოგონები დამპირდნენ, რომ ქიმიკოსები გამოვლენ. ფიქრობთ, დავიჯერე? არა, რა თქმა უნდა, ამას შთაბეჭდილების ქვეშ მყოფები დამპირდნენ. თუმცა, ის ზუსტად ვიცი, რომ ქიმია ოდნავ სხვა თვალით დავანახე.

ამ ამბიდან ერთი კვირის შემდეგ, მანქანით საქართველოსკენ მომავალმა, კვლავ ლალაპანეს გადასახვევთან გამოვიარე.

– მშვიდობით, ლალაპანელო გოგონებო, იქნებ ოდესმე შევხვდეთ.

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„კვლევაზე დაფუძნებული სწავლება“

www.tpdc.ge